ჯვარი



შემოდგომის სერენადა

გათუმის ლიტერატურული ფესტივალი

6 2024

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის 66-ე წელი | ნოემბერი-დეკემბერი | №6 | 2024 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
გენრი დოლიძე
დავით თედორაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
თინა შიოშვილი
ცისანა ანთაძე
იაშა თანდილავა
ლალი კონცელიძე
გურამ ფუტკარაძე
ვახტანგ ღლონტი
მალხაზ ჩოხარაძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

კორექტორი

მაია ჯაფარიძე

სტილისტი

გურანდა ნიჟარაძე

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2024

რედაქციის მისამართი:
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

ია სულაბერიძე – ლექსები 3
ზურაბ ფირცხალაიშვილი – ლექსები 14
როინ აბუსელიძე – ლექსები 19
ნათია როსტიაშვილი – მოთხრობები 26
სალომეა ლომინაძე – ლექსები 37
თემურ ელიავა – ლექსები 46
რობერტ მესხი – ლექსები 54
ჭოლა ჯაში – უსათაურო ჩანაწერები სოციალური ქსელისთვის 63
გიორგი ტულუში – ლექსები; მოთხრობა 72
ნუკრი ბერეთელი – ლექსები 79
ლინდა ჯაფარიძე – მოთხრობები 87
ლალი ჯაფარიძე – ჩანახატები 91

თარგმანი

საადი შირაზელი; ნასერ ხოსროვი; ბაბა თაჰერი – ლექსები
(სპარსულიდან თარგმნა **გიორგი ხულორდავამ**) 96

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

შორენა მახაჭაძე – „ორ სამყაროს შორის გაჭედილი ცნობიერების ტრაგედია“ 103
გიორგი მასალკინი – „მე უცნაური ავტორი აღმოვაჩინე“ 112

ისტორია

საშა ლეკვეიშვილი – „პერიოდული სალიტერატურო ჟურნალების ისტორიიდან აჭარაში“ 114
„საქართველოს და უკრაინის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან“ 118

ᲘᲐ ᲡᲣᲓᲐᲒᲔᲠᲘᲫᲔ

* * *

აღმოსავლეთით, დასავლით,
ჩრდილოეთით და სამხრეთით
მივდივარ ჩემი ჩინით და
ეპოლეტით და სამხრეთი,

მივდივარ სულში რითმებით,
მხარზე – კომბლით და სახრეთი,
მივდივარ, თან მომყვებიან
საქართველო და სამგლეთი...

ჩვევაა – პირზე ღიმილი,
გული სავსეა „ვახმეთი“,
შენ, ჩემო უდარდელობავ,
სად მოუსვლელში წახვედი?

მთები, მინდვრები, ხევები,
სერები – სათიბ-სახვეტი,
მარტო სამშობლო კი – არა,
კიდევ ყოფილა სამგლეთი!...

მივდივაარ... ყველგან დრო არი
ყველაფერ კაის წამღლეტი,
რომც მდომებოდა, სად ვდევდი? –
დავღონდი, ვეღარ გავმხნევდი...

ფუი, რა ცუდად დიდდება
თაფლიან გუდის ნახვრეტი!
ჩამოვა, ჩამოიცლება,
დამრჩება გუდის ნაფლეთი...

ჩრდილოეთით და აღსავლით,
დასავლეთით და სამხრეთით
ვბრუნდები... ჯერ აქ არიან
საქართველო და...
სამგლეთიც...

შვილიშვილი

შენს სუნთქვაში ჩემი სუნთქვის
მეოთხედი ურევია,
შენთან ერთად ჩემი გენი
უკვდავი და ულევია!

შენს ღიმილში, ცხადად ვხედავ,
ღიმილია მამაჩემის,
ალბათ – მისი მამისაც და
სხვა რამდენი დანარჩენის!..

შენს ტირილში დედაჩემის
დედის დედის ცრემლებია,
სწორედ, სწორედ ეგ ცრემლები
შენი სულის მცველებია.

ნუ მომშლოდეს სიხარულად,
რაც ბოლო დროს არ მეშვება –
ჩემს ოთახში ყივჩაყივით
შენი შემოთარეშება!

ნეტარება – სრულყოფილად,
არა – პატარ-პატარებად,
შენი ძილის ყარაულში
თეთრად ღამის გატარება!

წყაროვ უთქმელ სიამისა,
საგანძურო, შე სადავო,

ულამაზეს დედისა და
ლამაზ მამის შესართავო!

რამდენს გვინდა შენი სითბო,
ციცქნა მხარი ვიგრძნოთ მხარში,
ისე ვატყობ, ცარცის წრეში
ჩაგაყენებთ ცოტა ხანში!..

ცოცხალ რიგში ველოდებით,
რა სიტკბოსაც შენ არიგებ,
სიბერესთან, სიკვდილთანაც(!)
ყველაფერთან შემარიგე!

შენს ძარღვებში უხსოვარი
წინაპრების წვეთი არი...
უსასრულო ყოფილიყოს
ემაგ წვეთის ხეტიალი!!!...

ვითა ცხენსა ნაპბრაბსა

არარსებულს შერევია არსებული
და წარსულის უღრანებში დანთქმულა,
იყო ქვეყნად სიყვარულით
სავსე გული,
რომელზედაც არაფერი
არ თქმულა...

თითქმის ცხადი, მაგრამ მაინც შეფარული
(და დღეები გადიოდა ზღაპრულად),
იყო ქვეყნად ერთი კარგი სიყვარული,
რომელზედაც არაფერი
არ თქმულა...

ლექსებად და რომანებად დაწყობილა,
ფილმებად და სპექტაკლებად დადგმულა,
მე მაფიქრებს ის ვნებები,
რაც ყოფილა
და რაზედაც არაფერი
არ თქმულა...

დალევია სიტყვა ენას, სიტყვაულევს
და სიჩუმეც საყვედურად გაისმის,

ეს ცრემლები – იმ საოცარ სიყვარულებს,
რომლებზედაც არაფერი
არ ითქმის...

და ჩვენ ირგვლივ სუფევს ჩუმი სინანული
ან მუსიკის, ან ფერების,
ან რითმის,
რომ ამქვეყნად არის ბეეევრი სიყვარული,
რომლებზედაც არაფერი
არ ითქმის...

ბალადა გლეხი კაცისა და ოჯახისა

შეატორტმანა სტიქიამ მიწა
და ყველა სულდგმულს დასცა თავზარი,
ნასახლარებად სახლები იქცა,
მოვარდა ელდა, უზარმაზარი...

წავიდა ელდა, მოვიდა სევდა,
ქვითინი – უხმო, მწარე, დამღლელი,
გამოეცალა ქართველ კაცს ერთად
თავზე – ჭერი და ფეხქვეშ – საყრდენი...

იყო ათასი კერიის ვნება
გადაზელილი მიწაში, ქვებში,
იყო ფუთფუთი და იყო ძებნა
გადარჩენილი სკამის და თეფშის...

უეცრად! ლხინი – ერთი ეზოდან!
თუ გილხინს, მიზეზს რაღა გამოლევს?
მომეჩვენა თუ მართლა მესმოდა? –
სტუმრად გვიწვევდნენ გამვლელ-გამომვლელს!

წაუქცეველი დედაბოძივით
იდგა ტაბლასთან ოჯახის თავი,
მივუახლოვდი ფეხის ბორძიკით
და შევეკითხე ენის ბორძიკით:
– ბატონო ჩემო, დღე გიდგას ავი –
სახლი წაგექცა, დაგექცა ხვავი,
რა გელხინება, რა გეღვინება,
ამ განსაცდელთან რად დადე ზავი?!

არ უჩივლია, – რისთვის, რატომო...
ის იყო ლაღი, როგორც – არავინ!
– სახლი დამენგრა, ჩემო ბატონო,
ოჯახი დამრჩა გაუბზარავი!

„ოჯახი კი არ დამნგრევიაო!“ –
ეს იყო ლექსი, ოდა და ხოტბა...
აგრე ვიაროთ,
აგრე ვიაროთ
მთლად დედამიწის ჯიშმა და მოდგმამ!!!

თუ სამშობლოს დაემართა რამე

წყვილი თვალი გასახელად მინდა,
სიყვარული გასამხელად მინდა,
თუ სამშობლოს დაემართა რამე,
მაშინ თვალიც დასათხრელად მინდა!

თავი ფიქრით დასაღლელად მინდა,
ფიქრი თავის დასახრელად მინდა,
თუ სამშობლოს დაემართა რამე,
ტყვია შუბლში დასახლელად მინდა!

ეს ლექსები გვარ-სახელად მინდა,
გულის კარის გასაღებად მინდა,
თუ სამშობლოს დაემართა რამე,
ლექსიც რაღა თავსახლელად მინდა?!

წამო

წამო, სანამ ჩამოთოვა,
სანამ გზები ჩაიკეტა,
წამო, სანამ შევუერთდით
დიდ არმიას ჩაის მსმელთა,

ცივი ზამთრის თბილი პალტო
სანამ ჩემს ტანს ჩაიცმევს და
წამოდგება და სიგიჟის
ბოლო ნამცეცს ჩაიფერთხავს,

წამო, სანამ რაც ანთია,
ყველაფერი ჩაიღვენთა,
სანამ სული ჩაიკირა,
სანამ გული ჩაისევდა,

წამო, სანამ კუპიდონი
გადიქცევა ჭამის ღმერთად,
სანამ თმების აბრეშუმი
შეერთდება ჩალის ღერთან....

წამო!
მაგრამ საით, – წამო?..
ერთად!
მაგრამ საით, – ერთად?..
– სადაც თვალი აიხედავს,
სადაც თვალი ჩაიხედავს...

უსამსახურო

გახლავართ იგი, ვინც იანვრად აქცია მარტი,
გახლავართ, ცისფერ საღებავებს ცას ვინც უშავებს,
თვალს მიაფარა ვინც მნათობი დაშვებით ფარდის! –
ამ ყველაფერში დამნაშავედ მე ვიმუშავებ!

დავდივარ მაინც, რა ხანია, უსამსახუროდ,
ბარემ დავთესავ, რაც სამყაროს ადარდიანებს,
წავიდე, – ნავთი სხვათა ხანძრებს უნდა ვასხურო
და ერთმანეთი ვაწყევლინო ადამიანებს!

დამნაშავე ვარ, რომ კაენმა მოკლა აბელი,
რომ ანგელოზი უსათუოდ უნდა დაეცეს,
დამნაშავე ვარ, რომ სამყარო, ეს დასაბმელი,
რას არ პოულობს! სიყვარულს კი არსად დაეძებს!

განა პოვნაა სანუკვარი, განა – მიგნება?
არამედ – ძებნა ცაში, ზღვაში, საკუთარ თავში...
. . . . . .
მე ვიცი, – ბოლოს ყველაფერი კარგად იქნება,
მაგრამ თუ – ბოლოს, არაფერი არ მინდა მაშინ!..

* * *

ვერც ჩემს ხროვასთან დავდე მე ზავი,
ვერც წამოვედი ჩემი ხროვიდან,
ეს ბედისწერაც, – ერთი მეძავი,
ათასნაირი ნიღბით მოვიდა...

სულ ვიღაც მსჯიდა უძღებ ძეს ამით, –
სულ რაღაც მქონდა და არ მყოფნიდა,
და ვერ შევირგე დედის რძესავით
ის, რაც მერგუნა ამ ჭრელ ყოფიდან...

გავყმუი ტრამალს ეულ მხეცსავით
ამ ხალხმრავალი მარტოობიდან,
ვერც ჩემს ხროვასთან დავდე მე ზავი,
ვერც წამოვედი ჩემი ხროვიდან...

ქურდებზე, პოეტებსა და ქურდ პოეტებზე

ეს პოეტები, ოჰ, ეს ქურდები!
ქურდი ქურდია – ყველა მიჰქარავს!
აგე, სავსეა ჯიბე ხურდებით,
მაგრამ მე ხურდას როდი ვიპარავ?! –

ქურდობა უნდა ღირდეს ქურდობად
და უნდა დარჩეს შეუნიშნავი,
მე ამ სიმართლეს გაწვდით ხუმრობად,
მე, ერთი ქურდი და ჩხუბისთავი...

ეს პოეტები! – ქურდის ქურდები,
ამ ძველ ხელობას რომ არ ველევით
და წიგნებიდან თავს ვუბრუნდებით
გამარჯვებული რომაელივით,

ცოტას ვხალისობთ, ხშირად ვღონდებით,
სულს, გაშიშვლებულს, ლექსით ვიფარავთ...
სავსეა ცხვირწინ ჯიბე ხურდებით,
მაგრამ მე ხურდას არ მოვიპარავ!

მეფე შიშველია

ცხადია, იტყვის ვინმე,
რომ შიშველია მეფე,
ყოველდღიურად ვითმენ
ლიტერატურულ ბლეფებს.

საინტერესო რამ არს
პატივცემული ბლეფი,
მდაბლად აძლევენ სალამს
უსმენონი და ბრმები.

სულაც არა ვთვლი შტერად,
ვინ უფრო ვგავართ დებილს? –
მე, თუ ათასჯერ ჟღერად-
სახელიანი ბლეფი?

პოპულარული ბლეფი,
„ნათარგმანები“ ბლეფი,
დაფასებული ბლეფი,
შემფასებელი(!) ბლეფი!..

წუმპეში ნასროლ ქვისგან
მხვდება ცდუნების შხეფი,
მის ჩამობანას ვრისკავ,
ვსუფთავდები და ვშრები...

ლექსში – ჩამწიფდნენ ბლები,
ლექსში – იყმუვლონ მგლებმა,
ლექსში – არც ერთი ბლეფი! –
მიჩვევა იცის ბლეფმა!..

გაბედავს, იტყვის ვინმე,
რომ შიშველია მეფე,
ჯერჯერობით კი ვითმენ
ლიტერატურულ ბლეფებს.

დრო გაიყოლებს კერპებს,
არ მოაბრუნებს უკან,
დღეს ხშირად ვისმენ ბლეფებს,
ხანდახან...
ტაშსაც ვუკრავ...

* * *

ყველა კაცია!
არაკაცი სხვა არის მუდამ!
მეც ვარ მათ შორის,
ჭირის მიზეზს ვინც სხვაში ეძებს,
ვისაც ათასჯერ გაუმართლა
და მეტჯერ უნდა,
ვინც გამჭრიახად სხვებში ხედავს
ბრმებსა და ბეცებს...

ყველა ბრძენია!
უვიცობა სხვისი აოცებს,
ყველას ჰგონია,
რომ სიკვდილიც სხვისი ხვედრია...
ჩახოცეს რემა,
მუსტანგები აქნეს სახორცედ
და თავმომწონე კოვბოები
ვირებს ხედნიან...

ვიცი, ეს ლექსი ზუსტად მივა
ადრესატამდე,
ოღონდ, არ ვიცი,
გაგრძელდება აგრე სანამდე...

2021-1921

აქედან მოჩანს გაზაფხული დამღლელად შორი,
თუმცა ახლოა კვლავ ხედების შეფერვა მწვანედ,
დგას თებერვალი ზამთარსა და გაზაფხულს შორის
და იკბინება შემოდგომის ბუზივით მწარედ...

„ოცდახუთია“, – თებერვალზე რაც მახსენდება,
გაუზავებლად მწარე ჯავრი ჩვენ გვისვამს ამ თვის,
ღამეა იგი, არა და არ რომ არ თენდება,
ზამთრისთვის – ბოლო, სამშობლოსთვის – საწყისი ზამთრის...

არ გამომივა გადახევა ჩივილთა ნუსხის,
არც მოხერხდება, ვისულდგმულო ერთადერთ დროში,

და დღესაც მაზრობს ბორიალი მაშინდელ სუსხის,
ასი წლის წიაღს გამომცდარი ყინვა და თოში...

შემეძლოს, – კარებს ჩავრაზავდი საგულდაგულოდ,
თუმც, არ ვღონდები არც ქარებით და არც – თოვლებით...
ო, თებერვალო, დღენაკლულო და ღმერთნაკლულო,
მე ოცდახუთსაც ამოგგლეჯდი სიამოვნებით...

მარტი

მთიდან ვერცხლი დაცურდება,
აცურდება ცაში ოქრო,
უთოვია რაც ბუნებას,
რომ პირწმინდად ააორთქლოს.

უნდა მორთოს მარტმა კორდი,
უნდა ღამე დაამოკლოს,
უთვალავი ტოტზე ტოტი
მარტომ უნდა ააკოკროს!..

ჩქარობს მარტი – აკრობატი
(ან რამ უნდა დააოკოს?),
რომ სიცოცხლის არომატით
დამათროს და გამაოგნოს...

იღვიძებენ, მოძვრებიან
სურვილები, ოკრო-ბოკრო,
გავცქერ ფერდობს, ბორცვებიანს
და ქარების საბობოქროს...

მარტი ათას გლადიატორს
დაულეწავს კარზე ბოქლომს,
მარტი ათბობს, მარტი ათოვს
გაზაფხულის დღეებს, მომქროლს...

ხან – მზესა და ხან ქარს გვიშენს,
ხანაც – წვიმას, ავტომატით,
ამნაირად თუ იგიჟებს, –
მარტი მარტო...
მარტო მარტი...

* * *

შუა გაზაფხულს, მას, რომელიც ითქმის აპრილად,
ვერ გავაბრუებ წამოკრეფილ, ნაყარ სიტყვებით,
საფრენ ზოლიდან ქარიშხალი თითქმის აფრინდა
და მერამდენედ, – მას რეისში აღარ მივყვები...

ამ უცნაური სიმშვიდისას ვის ვკითხავ მიზეზს? –
თითქოს ერთბაშად ყველა ვალი გადამიხდია...
როგორც – საბანი, ვახურივარ უნახავ სიზმრებს,
ერთხელაც, ალბათ, როგორც – საბანს, გადამიხდიან...

მანამ კი არ მსურს, ლაშქრობაში გავყვე ბელადებს,
და გული მათი დამარცხების გამო ვიღონო,
ფიქრის ხეივანს სანამ ძილი გადაბელავდეს,
სჯობს, ერთი კარგი მოგონება გამოვიგონო...



ზურაბ ფირცხალაიშვილი

* * *

კარგი იქნება ახლა ექიმი,
ძვლივს მესინჯება მაჯასთან პულსი...
ქარის მოტანილ ღამის რექვიემს
ღამესთან ერთად მდუმარედ ვუსმენ.
ვიცი, შენ ბაგეს ვეღარ ვემთხვევი,
ცას შეაშრება ცრემლი – ნადენი,
ასე მგონია, გული შემთხვევით
სადღაც დავდე და ვერ მივაგენი...

2023

* * *

უნდა მიეცეს ყველას თავისი,
გვირგვინი – მეფეს, ნუგეში – ღატაკს,
ქუდს გაუფრთხილდეს, ცად ნუ აისვრის,
ვინც გადაურჩა აქამდე ღალატს...
ყველას თავისი სტანჯავს იარა:
ყვავილს – სურნელი, სიმწვანე – ბალახს,
ღმერთიც რომ იყო, კაცი კი არა,
შენაც გესვრიან ოდესმე ტალახს...
ყველას კბილის წილ: გიჟს და კეისარს,
ლოდი – სიზიფეს, ხილვები – მისანს,
ერთად ათასი ფრთა რომ შეისხა,
გული მოძებნის მოსხლეტილ ისარს...
არ ღირს ეჭვებად, გზად ვინ გიყელებს,
წინ რა ზღვები და ხიფათი გიდევს,
უნდა მიენდო გამოწვდილ ხელებს,
ვით მდინარეზე გადებულ ხიდებს...

2023

* * *

სასწაულია – განიცდი, ისმენ,
ფიქრობ და ხედავ, ოცნებებს ლამბავ...
და ყოველივეს ღებულობ ისე,
ვით ჩვეულებრივ და წვრილმან ამბავს...
მიყვები ქარს და ყურს უგდებ ჩიტებს,
მზერას ურიგებ ნაცნობს და უცნობს,
და ყოველივეს ღებულობ ისე,
თითქოს ამაში არც რაა უცხო...
ათინათებით ცხელ უბეს ივსებ,
ლაჟვარდი ცისა გახურავს ქუდად,
გიყვარს და... ამას ღებულობ ისე,
ვით ტროტუარზე დაცვენილ ხურდას...
სადღაც შორიდან მუსიკა ლისტის,
სულში ქაოსი და ვნების ყანა,
და ყოველივეს ღებულობ ისე,
ვით საუზმეზე მორთმეულ ყავას.
არ გიკვირს – როცა ზარის ხმას ისმენ,
ფიქრობ და ხედავ, ოცნებებს ლამბავ...
და ამ სიკვდილსაც ღებულობ ისე,
ვით ჩვეულებრივ და წვრილმან ამბავს...

2024

* * *

მიკუნჭული ვარ ძველ წიგნივით სახლის კუთხეში,
მტერიც ველარ მცნობს, ვინ დაეძებს ძმას და მეგობარს,
ადრე მეგონა, რომ ვიღაცის ვიყავ ნუგეში,
ადრე, სულ ადრე, ბევრი რამე მართლა მეგონა...

სულს შემოაცვდა შემოდგომის ვნება ფერადი,
ვინაც მიყვარდა მონატრების ბილიკს შეუყვა,
ადრე მეგონა, მის გულისთვის მთებსაც შევძრავდი,
შენც არ მომიკვდე, ადგილიდან ძვრაც კი ვერ ვუყავ...

მხოლოდ ვარსებობ, ჩვეულებრივ, ასე, ამგვარად,
არ ვიცი, ვინ ვარ – კირითხურო, ბრძენი, მისანი,
მე რომ ვფიქრობდი, ის დღეები ჯერ არ დამდგარა,
ან იქნებ უკვე ჩაიარა და ვერ ვიცანი...

რა შეიცვლება, თუ ჯიუტად ისევ წინ ვივლი,
მტერიც ველარ მცნობს, ვინ დაეძებს ძმას და მეგობარს,
ადრე მეგონა, რომ ვიღაცის ვიყავ ტკივილი
და, მაპატიეთ, თუკი თქვენაც ასე გეგონათ...

2024

* * *

რომ არ მექსოვა ფიქრი რიოში,
მემარხულა და აღარ მენანა,
შეიძლებოდა ძველ აბანოში
ვინმესთვის ფეხიც კი დამებანა...

თვალები მუდამ მეჭირა გზისკენ,
სადაც ნიავი დაქროდა თბილი...
და გამოვედი ღმერთიდან ისე,
როგორც სახლიდან გადიან დილით...

და ავედევნე ძაღლივით შუკებს
მორჩილებისგან თავისუფალი,
მე დაკარგული ცხვარი ვარ უკვე
და ტყვილ-უბრალოდ მეძებს უფალი...

რომ არ დამეგდო ღვთის განაწესი
და ხეტიალი არ დამეჟინა...
შეიძლებოდა ბატიც მემწყემსა
და მერე რომი გადამერჩინა...

2024

* * *

ბევრი მქონდა,
ცოტა მქონდა,
ავდექი და ქვის ქვეშ დავდე,
წინ გზა მედო შორეული,
სად ვზიდავდი ამდენ დარდებს...

ღმერთი იმას შეეწიოს,
ჩამოივლის ვინც აქ ფეხად,
ხურჯინს პური არ ჰქონდეს და
დარდს რო ყუას მოატეხავს...

2023

* * *

შეჩვეული ვარ იარებს,
როგორც ყაჩაღი – იარაღს,
მე – ცხრა მთას გადავუარე,
მე – ცხრა ცამ გადამიარა...
მაღლით რაც ითქვა, ამიხდა,
მზეც ეპირება ჰარაკირს,
გზად სულხან-საბა დამიხვდა
თავის სიბრძნით და არაკით...
სიცოცხლე – ვერცხლის ისხარი –
ვერც დავთმე, ვერც ვუპატრონე...
ცხრა მთის იქითაც ის არი,
რაც ცხრა მთას აქეთ დავტოვე...
ველარც რაინდად ვივარგე,
ველარც მეფედ და შეიხად,
ბედის ღრმულს როცა მივაგენ,
ციხემ ცხრა კარი შეისხა...
სადაც მივდექ და მოვდექი,
სუყველგან დედა მიტირეს,
მიქაელს ვგავარ – მოდრეკილს,
იამბიკოთი ვიტირე...
კბილით მიჭირავს ცის კბოდე,
ოდესმე დამფლავს ლოდი ხარს,
თქვენ მაინც გაგმართლებოდეთ,
ვინც ახლა ცხრა მთით მოდიხართ...
შეჩვეული ვარ იარებს
როგორც ყაჩაღი – იარაღს,
მე – ცხრა მთას გადავუარე,
მე – ცხრა ცამ გადამიარა...

2023

* * *

ახლა რომ მტკივა, ამნაირად სტკიოდათ ადრეც,
ახლა რომ მიყვარს, ამნაირად უყვარდათ მათაც,
ახლა რომ დამაქვს, ამნაირი დაჰქონდათ დარდი,
ქვებზე რა გითხრათ, ცვენა იყო მათ ბაღშიც ქვათა...
ცა სულ ცა იყო, ამნაირი ეხურათ მათ ცა,
მიწას პაპეულს აბიჯებდნენ უწინაც ნდომით,

ორეულს ვხედავ, ვინც ოდესღაც იესო გასცა,
და ცრუ ნერონსაც, ვინც გადაწვა ბებერი რომი...
თითქოს ყოველი მეორდება დროიდან დროში:
ცრემლი ყოველთვის წრფელი იყო, ბედი – მორბედი,
თითქოს და ვხედავ – ჯულიეტას – მიმავალს ბრბოში
და ეს ყმაწვილიც ალი-კვალი არის მონტეგის...
და, ალბათ, ხვალაც დღე იქნება ძალიან მკაცრი,
იქნება ვნების აღრევა და თარეში ქართა.
ამოვა ვინმე, იქნებ სულაც ჩემივე მსგავსი,
და ფერად ყვავილს ჩამოგიწყობს აკლდამის კართან...

2023

* * *

იმ კაცივით ვარ, გოგონა რომ
ზღვისგან დაიხსნა
და ერთი სიტყვაც არ მიუგდეს
საამებელი...

– გმადლობთ, ყმაწვილო,
დამავალეთ მთელი სიცოცხლით!
საკუთარ თავსვე მღელვარებით
სველ ხელებს ვართმევ...

2023

როინ აბუსელიძე

ბედის—წერა

ლექსი რომ გაიგონა რადიოდან,
მერე ღრუბელ-ღრუბელ დადიოდა.
ველარ მოიშუშა ეს იარა,
როცა „ლურჯა ცხენებს“ ეზიარა.
თოფის გამჭოლ მიზანს მოარიდა,
გნოლი, აფრენილი ყორღანიდან.
ხოლო პოეზიის კალათაში,
კრძალვით აგროვებდა ბარათაშვილს.
ჰქონდა მოთმინება ტუტისებრი,
სახლში გაახარა თუთის ნერგი...
მინდვრებს უფლისციხის ყაყაჩოთა,
თითქმის ყოველ ღამით დარაჯობდა,
„სადაც ყვავილები მთავრდებიან“,
ბარდნარს მიაშურა ვარდებიანს.
შემდეგ უცისფრესი მატარებლით –
მტვერში წაქცეული პატარები,
ცხოვრება რომ ექცათ პანაშვიდად,
ატარა, გაართო, დაამშვიდა.
ქალი რომ დალანდა ალუბლებთან,
ფურცელს მისი სტროფიც გაუბედა.
ლექსებით ავსებდა საქაღალდეს,
დაპირდა, დაბრუნდა! – აღარ დახვდნენ.
წყვდიადის სამყაროც მოიარა,
თუმც არ უ-MEMENTO MORIA-რა.
დედა დაესიზმრა იმედიანს,
კაბისთვის გადადო სტიპენდია.
არადა გრძნობები ველარ თმობდნენ,
ოთახში ჰაერზე მეტადყოფნებს.
(ოთახიც სხვაგვარად უხერხულობს,
ფარდები ამთქნარებს ტუბერკულოზს)

მეფე თუ ვერ შექმნა პაიკიდან,
თავი პოეზიით დაიმკვიდრა.
გალავნად მოედო დედამიწას,
ღმერთმაც ბელურობის ნება მისცა.
მისი ნიკორწმინდაც ცად აზიდა
და იქცა ერთ-ერთად ათასიდან –
ვინც ლექსით ჯებირებს გაიტანდა,
ვინც ომში უშიშრად წავიდა და...

წამოდგომა

ფიქრის მახეში გაჭედილს,
ლექსები დაუწერები,
თითქოს გსერავენ მაჩეტით,
ტვინს ხვრეტენ მაუზერებით.
ღამე – ციკლოპის პროფილით
მთვარის წილდაწილ ნაფანტი,
არც „მე და ღამე“ ყოფილა,
არც პეპელა და სკაფანდრი.
წარსულის სევდავ, გიშერის
ბლანტი დღეებით ნაწებო,
ისევ წერა თუ გიშველის,
და, ალკოჰოლის პლაცებო...
ლექსი, ბებერი მგელივით,
ჯაჭვის საბელს რომ გაკვნიტავს,
ჯეროვნად თვალახელილი,
ამოვიყმუვლებ ნაკრინტალს:
რომ ისევ ვდგავარ, შორით კი
ლანდი ჩანს ჩემი კატარღის
პოეზიაში მორიგი –
ბილიკის ამოსათარგი...

მაია

ჩემი ბიძაშვილი,
ცქრიალა გოგონა,
ყოველი ნახვისას რომ მემანჭებოდა და
კისკისით გარბოდა ხოლმე,
დღეს ქუჩაში ძლივსღა ვიცანი...
ბავშვობაში გამოვედევნებოდი და

ვერ ვეწეოდი,
მისი სიცილი ზარივით წკრიალებდა,
იგი უჩინარდებოდა თვალსაწიერიდან,
მე ვიღლებოდი, ვჩერდებოდი და ასე უდარდელად გადიოდა ბავშვობა.
დღეს კი ქუჩაში ძლივსღა ვიცანი...
ის მოდიოდა მარტო,
შავებში ჩაცმული და წელში მოხრილი.
აი, სწორედ ახლა,
მე შემეძლო მას პირველად წამოვწეოდი,
ავდევნებოდი ისე, როგორც ბავშვობისას,
თუმც ვერ შევძელი, ვერ მოვახერხე...
მე ვიდექი გაუნძრევლად
და თვალსაწიერიდან ნელ-ნელა
უჩინარდებოდა უკვე 50 წელს
მიტანებული ქალი,
რომელსაც მორცხვად მოჰყვებოდა უკან
ცელქი გოგოს აჩრდილი,
გულზე დაკიდული შვილის ფოტოსურათი რომ აფრთხობდა და
მიახლოებას უკრძალავდა...

ვასიკოს

სიკვდილთან წავაგეთ ომი და
იმედის არ შეგვრჩა მისხალი,
წუხელ შენს საფლავთან მოვიდა,
ადრე რომ გიყვარდა ის ქალი.

ზამთარმა ჩაყლაპა სურნელი
თოვაში დარჩენილ ატამთა,
ციოდა და განუკურნელი –
ტკივილი ძვლებამდე ატანდა.

ნიჩბები ვითარცა მაჟორი,
ოცნების ტივიდან მონასმი,
საფლავთან აჟღერდნენ და შორით –
ქვითინი ისმოდა მონაზვნის...

მიწა კი ფიფქების საფანტით
დამბალი და ამოგრდემლილი,
უცქერდა თუ როგორ ვყლაპავდით
სიტყვებს და სიყვარულს ცრემლივით.

ხანდახან ლღვებოდა მირაჟი,
ხანდახან ხარობდა მოცხარი
და ირეკლებოდა ჭიქაში –
წარსული, – ბავშვივით ცოცხალი.

შენი ნეგატივი ზეციდან

იცი, ხშირად მიფიქრია:
რა მოხდება
ერთ საღამოსაც
ზღვაზე რომ ერთად წავიდეთ,
მე დავჯდე შენს წინ,
ზღვას ზურგი შევაქციო,
შენ უცქერდე ჰორიზონტს
და მზის ჩასვლას მაგ თვალებში ველოდებოდე?
მე მიფიქრია...

შენი წუთები სხვების წლებზე ბევრად ძვირი ღირს,
გადაშლილია ხომალდების ვრცელი ტაიგა,
მე კი სათქმელი შემრჩენია ისე ირიბი,
ლექსის გარეშე რთულია რომ რამე გაიგო.

ბინდდება, ქრება დროებითი ხაზი, ბილიკი,
ამღვრეულ ღელვას ჰორიზონტზე მიაქვს ნავები,
მზის ჩასვლის შემდეგ შენი მზერაც ისე თბილია,
ზღვაში კი არა მაგ თვალებში ვიბანავებდი.

სხეულშიც მეტი სიცხეა და მეტი ზეიმი,
ვიდრე ნაპირზე, ვიდრე ადრე, ვიდრე – ვიდრემდი
და როგორც ზღვაში მოტივტივე მეთევზეები
ითმენენ ლოდინს, გეფიცები ისე გითმენდი.

ვიცვლიდი ნიღბებს, იღვრებოდა ტალღის არია,
(თითო ნიღაბი გწამდეს ყველას გამოუჩარხავს)
მაგრამ მე ბედმა დამარწმუნა – უფრო მწარეა
ნიღბების მიღმა რომ გიყვარს და... რომ არ უყვარხარ!

იქნებ აღარ ღირს სიყვარულზე თავის შეწირვა?!
ქარს ვატან სიტყვებს ამიტომაც ქარის დინებით,
წუხელ გფიქრობდი და იმდენ ხანს არ ჩამეძინა
შენ რომ გცოდნოდა ალბათ არც შენ ჩაიძინებდი.

ბალადა ბერზე

I

დღე იყო ცივი და უტყუარი,
ამინდმა ზეცა კარგა ხანს ნაღმა,
მერე კი როგორც უცხო სტუმარი,
პირველი თოვლი დაკბინა ძაღლმა.
ხოლო ქარიშხალს – ამინდის ბოცმანს,
თითქოსდა სურდა ბიბლიის კითხვა
და ეკლესიის ეზოში ლოცვა,
მივიწყებული ლექსივით ითქვა.
ავსებდა ზეცა საღამოს ხურჯინს,
გელოდებოდი ხელში ტიტებით,
შენ კი იდექი მუნჯივით მუნჯი
და ცრემლში ტაძრის ეზოს იტევდი.

II

გიცქერდი, როგორც ქალაქს ტურისტი
უცქერს, ვერა და ვერ ჩაგიკალი
გულში, მერე კი შენი გულისთვის,
თითქმის ოთხი თვე მეცვა სტიქარი,
რომ დამეოკა ჩემი – მინდები
შენდამი, თუმცა ვეღარ გეღირსე
და მაგონდება რომ მაგ თითების
სურნელი ჰქონდა იმ დღეს სეფისკვერს,
როცა ღრუბლები – როგორც მგზავრები,
ხატავდნენ თავის თავს და ალიონს,
როცა ბავშვები გამოჯავრებით
ამბობდნენ – ნახე, მუნჯი ქალიო...
და იცინოდნენ... და შენ და თოვლი
იყავით თითქოს გარიყულები,
მრევლს კი ვარდისფერ ბურთებად აჩნდა
სახეზე სუსხის ალიყურები.

III

გაზაფხულს მიჰყვა სითბო და მარტის
გიჟი ამინდი, ერკელიები,
მე ვლოცულობდი და ამის გარდა,
მაინც ვერაფრით ვერ გელეოდი,
ხოლო აპრილში ისევ ისეთი
იყავი – მარტო, უფრო მარტივი,

სველი თვალებით წირვას ისმენდი
და ხატის გვერდით ჩანდი ხატივით
და სწორედ მაშინ მორიგი ფიცი,
უფლის წინაშე დავდე ხელახლა,
რომ წავიდოდი ტაძარში მიწყივ
ბერად, შენ ოღონდ გელაპარაკა.
ასე გათენდა აღდგომის დილა,
როგორც მორიგი კვირის ციტატა,
მე – ქრისტე აღსდგა – გითხარი ფრთხილად,
შენ მიპასუხე – ჭეშმარიტადო
და თითქოს გული გამისკდა, შემდეგ
გაკვირვებულნი დავრჩით ორივე,
ასე ვიგონებ იმ წამებს დღემდე
მე უკვე უფლის მონა – მორიგი.

IV

ვითვლიდი ორ წელს როცა ბერობის,
სრულად შეცვლილი ცხოვრების რიტმით,
მაგონდებოდი და გარდერობი
შენზე ლექსებით ავავსე თითქმის.
ერთ დღეს ტაძარში ველოდი დედებს
მოწყენილი და დაღლილი ერთობ,
ლოცვისას წამით გამექცა თვალი
და მონაზვნებში გიცანი!...
ღმერთო.
გარეთ ამინდი იდგა უხეში,
სულში წვეთავდა თითქოს მირონი,
შემდეგ ჩამჯდარი ტაძრის კუთხეში,
მახსოვს ხმამაღლა ვტიროდი.

V

ასე გავიდა ორმოცდაათი
წელი, ფიქრებით, ლოცვით, ჭიდილით
და ამ უაზრო დროის ნარატივს,
გადადებული შევრჩი ხიდივით.
მახსოვს ცასავით ჩაქრა თვალები,
ცაც ჩამოვარდა თითქოს ციდანვე,
იმ ღამით შენი გარდაცვალების
ამბავი როცა ამოიტანეს...
შემდეგ დავტოვე უფლის საუფლო
და გავიყოლე წარსულის გემო
და იმ დღის შემდეგ აღარ ვსაუბრობ
და იმ დღის შემდეგ მუნჯი ვარ ჩემო!..

შვილმკვდარი დედების

შვილის საფლავთან იდგა ქალი თავზე ჰიჯაბით,
იქვე ელავდა რამდენიმე ძველი ნიჩაბი,
ცისფერი კუბო გაჩხეროდა მიწის აორტას,
ტიროდა ქალი და მსხლის ხეზე მთვარე ყვაოდა.

მიკიოტები გაჰკიოდნენ, თითქოს შიშობდნენ,
როცა ნელ-ნელა დაემსგავსა ქალი ღვთისმშობელს.
ის აღარ იყო მოვლენილი კაცის ნეკნიდან,
ის იყო დედა! – ღმერთს რომ უკვე თავად შექმნიდა...

სხვადასხვა მრწამსის, რელიგიის, ლოცვის,
ვედრების –
ემსგავსებიან შიგადაშიგ ერთურთს
დედები.
იმედივით რომ გაიტაცებს ქარი
ლიანებს,
როცა შვილების მწუხარება
აერთიანებთ.

ნათია როსტიაშვილი

გადატვირთული დღე

აჭარული „განდაგანა“

შევნიშნე თუ არა, გამაცია. თბილისის სხვადასხვა უბანში კი რამდენჯერმე მინახავს ამ ქალის ცეკვა, მაგრამ აქ, ბათუმშიც თუ შემხვდებოდა – ვერაფრით ვიფიქრებდი. ახლოს მისვლა ვერც ერთხელ გავბედე, მაგრამ ჭაღარა თმით და მკვეთრი გრიმით არც შორიდან აგერევა ვინმეში.

აღფრთოვანებული მაყურებლის მოგროვილ მონეტებს და ქაღალდის კუპიურებს ხელს არასდროს აკარებს. არასდროს იღიმება და არასდროს არავის პასუხობს შეკითხვებზე. უპასუხოდ დარჩენილი ხალხისთვის კიდევ ყველაზე იოლი ამ ყველაფრის ფსიქიკური პრობლემით ახსნაა.

ამჯერად აჭარულს ცეკვავს. ცეკვავს და ვუყურებ დაძაბული. მეც ჩემი აკვიატებები მაქვს, ჩემი ფსიქიკის უხილავი ჯამბაზები მაბურთავებენ ნაირ-ნაირ ფობიებთან ერთად, სინქრონში.

გარშემო იმდენი ხალხი ახვევია, ხან მხოლოდ ამის ხელის მტევნები ამოფრინდებიან მაყურებლის თავზემოთ, თეთრი, დამფრთხალი ჩიტებივით, ხანაც, როცა ვინმე წრიდან გამოდის, გამოთავისუფლებულ ადგილას იმის მუქშინდისფერი კაბის კალთა ფრიალებს აწრიალებული. სანამ ვიღაც სხვა ჩადგება და ცოცხალი წრისგან შეკრულ გალიას ისევ ჩაკეტავს, შეიძლება, წამიერად, მოცეკვავის მთლიანი სილუეტიც გამოჩნდეს – გახდარი, გამხადრი, გალეული...

შორიდან ვაკვირდები და აქა-იქ გაელვებული ფრაგმენტებისგან, წარმოსახვაში მთლიან ქალს ვკინძავ. ვიცი, როგორც არ უნდა მოინდომო, ამ ავადმყოფურად გამხდარი, ჩემზე აშკარად უფროსი ქალის ფრაგმენტებისგან ჩემი კლასელი ნუცი ვერანაირად გამოდნება. ვიცი და მაინც ვერც ერთხელ გავბედე ახლოს მისვლა. აკვიატებული შიში მაქვს, რომ აი, მივალ და ამ უცნაური მოცეკვავის ნაცვლად, ხელში ჩემი ნუცი შემრჩება.

ნუცი, რაც თავი მახსოვს, სულ ცეკვაზე დადიოდა და სხვანაირად ცხოვრება ვერც წარმოედგინა. „ცეკვის რვეულიც“ კი ჰქონდა, თემატური ჩანაწერებისთვის. სტუმრად რომ მივდიოდი, გამოაძვრენდა ხოლმე ლეიბის ქვეშიდან და მიკითხავდა.

ერთ კორპუსში ვცხოვრობდით. ერთხელაც, სახლი გაყიდეს და მერე მასზე აღარაფერი გამიგია. როცა მომენატრებოდა, წასვლის წინ რომ „ცეკვის რვეული“ მაჩუქა, იმას გადავშლიდი ხოლმე და ნუცის ხმით ვკითხულობდი.

ჩანაწერი ნუცის რვეულიდან: „აჭარული ცეკვა „განდაგანა“ სატრფიალო ხასიათის ცეკვაა. ის სცენაზე პირველად 1946 წელს დაიდგა. მასში ნაჩვენებია ქალ-ვაჟის ერთმანეთისადმი ტრფობა და ლტოლვა“.

სამაია

ეს ჭაღარა ქალი, პირველად, ჩემი სამსახურის ფანჯრიდან დავინახე. სამაიას ცეკვავდა მაშინ... მარტო. სამი ქალის საცეკვს რომ მარტო ცეკვავდა, ეგეც საკმარისი იყო ჩემს დასათრგუნავად და პლუს ის დღეც გამახსენა, წლების უნახავ ნუცის რომ შევხვდი ქობულეთში. ნუცის და მისი მეგობრების სამაია გამახსენა და გული დამიმძიმა.

ოფისის ფანჯარა მივხურე, ჟალუზი ჩამოვუშვი, კომპიუტერის მონიტორზეც დავხურე სამუშაო ფანჯრები და დავჯექი, დაწვრილებით გავიხსენე აგვისტოს ის უცნაური, უხილავი ტიხრით გადატიხრული, ქათქათა თეთრ და მუქშავ ნახევრებად გადაყოფილი დღე.

აგვისტოს დასაწყისია, ჩემი პატარა ბიჭი ქობულეთში მყავს ჩაყვანილი დასასვენებლად. „ხაზეიკის“ ვიწრო სამზარეულოში ერთდროულად ხუთი ქალი მაინც ვამზადებთ სადილს.

ჭიშკართან მანქანა გაჩერდა. ახალი დამსვენებლები ჩამოვიდნენ. ვიღაც გადმოვიდა და ისე სწრაფად შემოირბინა ეზოში, თვალი ვერ მივასწარით.

სამაგიეროდ მძღოლი შევათვალიერეთ საფუძვლიანად. მაღალმა, სიმპათიურმა ბიჭმა მანქანის საბარგული გახსნა და იქიდან თეთრ ზონარგამობმული ჰელიუმის წითელი ბუშტები ამოფრინდნენ. ბიჭმა კუდში ხელის წავლება მოასწრო. გამოგვხედა და გვიცინის ბედნიერად. თან მეორე ხელით გვანიშნებს, მოდითო. უფრო სწორად, სამზარეულოს ფანჯარასთან უნებურად შეგროვილებს ასე მოგვეჩვენა და როგორც კი დერეფნიდან ვარდისფერ სარაფნიანი გოგო გამოვიდა და ბიჭისკენ გაიქცა, ხუთივე უხერხულად შევიშმუშნეთ.

სამზარეულოდან გამოსვლისას, პირისპირ შევეჩეხე ვარდისფერ სარაფნიანს და ერთმანეთს რომ უნებურად გავუღიმეთ, უცებ არ ვიცანი?!

– ნუციი!..

დიდად არ იყო შეცვლილი. მე ხომ აწმყოში ვარ უკვე და იმას თითქოს წლები არ მოემატა, ჯერ კიდევ წარსულშია, იქიდან მიყურებს. ჩემი ბავშვობა გამახსენდა და ლამის გული ამიჩუყდა. თვითონ ვერ მიცნო, დაიბნა. არ გამკვირვებია, რაც ბავშვი გავაჩინე და გავსუქდი, ლამის თვითონაც ველარ ვიცნო საკუთარი თავი. უფრო სწორად, ჯერ გავსუქდი და მერე გავაჩინე, მაგრამ ასე პირიქით ვამბობ ხოლმე, თავის მართლებასავით.

ამასობაში ის ბიჭიც მოგვიახლოვდა და ხან ნუცის უყურებს გაღიმებული, ხან – მე.

– მე ნუცის ბავშვობის მეგობარ-მეზობელი ვარ, მარიამი, – ვეუბნები, თან ნუცის ვაკვირდები, აბა თუ გავახსენდი.

– მე – ნუცის მეგობარ-მეუღლე, სანდრო. – ხელი ჩამომართვა, – ჩანთებს ავიტან, ნუც.

– ვაიმე, მარიამო!

ნუციმ მიცნო და ისე ჩამეხუტა, ის ჩვენს შორის გაჩხერილი წლები სულ ლაწა-ლუწით ჩაიფშვნენ და შევრჩით ერთმანეთს ძველებურად ახლოები. ქმარს აღარ აჰყვა ოთახში, ჩემთან შემოვიდა. იმდენი ვილაპარაკეთ და ვიცინეთ, დროის შეგრძნება დაგვეკარგა.

მომიყვა, რომ სანდრო რამდენიმე წლის წინ ბათუმში გაიცნო. ისიც მოცეკვავეა. ნუცი იმავე წელს სანდროს ანსამბლში გადასულა და საბოლოოდ, მათგან წარმატებული წყვილი შემდგარა.

„როგორც სცენაზე, ასევე პირად ცხოვრებაში“ – თეატრალურად დააყოლა და ამ სრულიად არასასაცილო ფრაზაზე სიცილით მოვკვდით. ბავშვობაში ვიცოდით ხოლმე ასე – გულიანი სიცილი არაფერზე.

მომიყვა, რომ წარმატებული კარიერის გამო ბავშვის გაჩენისგან თავს იკავებდნენ და ახლა უკვე გადაწყვიტეს, რომ თუკი ფეხმძიმედ დარჩება, აუცილებლად გააჩენს.

– სანდროს მამა ხეზე კვეთის ცნობილი ოსტატია. – მიყვება, – სანდროს დედა რომ გარდაიცვალა, ამ საქმეს შეეშვა თურმე და ახლა, ერთადერთი შვილი რომ დაუოჯახდა, ისევ მიუბრუნდა. ჩემს მოსახელე შვილიშვილს მეფური საჩუქარი უნდა დავახვედროო და ერთი განახა, ნამდვილ ხელოვნების ნიმუშს ჰქმნის! თავის ჩუქურთმებით, ორნამენტებით და ამბებით. იცი, რა ლამაზია? ლამის საკუთარი მომავალი შვილის შემშურდეს.

ვიცინით.

– და რაზე კვეთს მაგ ჩუქურთმებს? რა საჩუქარია? – ვეკითხები და მახსენდება, ბავშვობაშიც ასეთი მოყოლა იცოდა, რაღაც მნიშვნელოვანი აუცილებლად გამორჩებოდა ხოლმე და დამატებითი კითხვები რომ არ დამესვა, ვერაფერს გავიგებდი.

– საჩუქარი გახლავთ – სკამი.

სკამიო და... ხომ არაფერია სასაცილო, ხმით ვიცინით მაინც, ჩვენებურად, ალოგიკურად.

– კიდევ კარგი, სკამია და არა აკვანი, თორემ ჩემი ამბავი რომ ვიცი, უარის თქმა მომერიდებოდა და 21-ე საუკუნეში ჩავაკრავდი იმ ჩვენს საწყალ ბავშვს აკვანში.

ვხარხარებთ, ვერ ვჩერდებით.

– ანუ თავის სახელის დარქმევა უნდა, ხომ? და რა ჰქვია სანდროს მამას?

– იმასაც სანდრო. ალექსანდრე.

ისე ვიცინით, ვბჟირდებით. ბავშვობაში რამდენიმეწამიანი დაბრუნების შანსს ვაძლევთ საკუთარ თავსაც, ერთმანეთსაც.

მერე იყო, მოცეკვავე დაქალები რომ მოუვიდნენ და ეზოში სამაია გვიცეკვეს. ისე მინდოდა, იქ შეკრებილი დამსვენებლები ჩამომევლო და ყველასთვის სათითაოდ მეთქვა: „იცით, აი ეს გოგო, შუაში რომ დგას, ჩემი მეგობარია, ერთად ვართ გაზრდილები“.

ცეკვავს სამი ჩამოქნილი სხეული „სამაიას“ ჩვენი „ხაზეიკის“ მყუდრო ეზოში და მე მარტო ერთის, ნუცის უგრძელეს თითებს, ულამაზეს ნაკვთებს, ბზინავ წაბლისფერ თმას და თვალ-წარბს მივჩერებივარ ისეთი სიამაყით, თითქოს რაიმე წვლილი მიმიძღოდა ან ერთში, ან მეორეში, ან მესამეში, ან მეოთხე-მეხუთეში.

უცებ კიბეზე სანდრომ ჩამოირბინა, მუსიკა გამორთო და მაშინ იყო, უხილავი ტიხრით რომ გაყო ის დღე. გამორთო მუსიკა და სრულიად დაუჯერებელი რაღაც თქვა:

– ომი დაიწყო. წავედით.

ამ მუსიკაგამოცლილ, უბგეროდ დარჩენილ, გამოცარიელებულ სივრცეში ორმაგად უფრო დამზაფრავად გაისმა ეს ორი სიტყვა: „ომი დაიწყო“.

ახალამოლაგებული ბარგი ისევ მანქანაში ჩაალაგეს და ისევ თბილისში წავიდნენ.

ბუშტები უკან აღარ წაუღიათ.

ჩანაწერი ნუცის რვეულიდან: „ცეკვა „სამაია“ ეძღვნება ნაყოფიერების ღმერთს – მთვარეს. ძველად ამ ცეკვას ძეობის დღესასწაულზე ასრულებდნენ. ამჟამად გავრცელებული „სამაია“ სამეულის პრინციპზეა აგებული და სრულდება ქალთა სამეულის მიერ“.

ქალთა

იმ ჭაღარა ქალს, მეორედ, მშობლების მოსანახულებლად რომ ვიყავი და უკან ვბრუნდებოდი, მაშინ მოვკარი თვალი. ჩვენი უბნის სტადიონი თითქოს სასრიალო მოედნად იყო გადაქცეული – კი არ ცეკვავდა, დასრიალებდა ნისლივით ჩამოწოლილ მუსიკაში „ქალთას“ თხელი, მოთეთრო-მოცისფრო, ღრუბლისფერი კაბით. საღამო იყო და ორიოდე ლამპიონის მქრქალი განათების ფონზე, ამ

უცნაური ქალის გრძელ, გალეულ მკლავებზე ფრთებივით მოფრიალე თხელი ქსოვილის ფარფატს რაღაც ისეთი მისტიკური მუხტი მოჰქონდა, გნუსხავდა. თან ისე, რომ ვერც მიუახლოვდებოდი, ვერც შენ გზას განაგრძობდი მშვიდად. ეგრე შორიდან უნდა გაბმულიყავი იქიდან გამოსხივებულ უხილავ აბლაბუდაში და მერეც, როცა თავს დააღწევდი, მაინც დიდხანს გეგრძნო იმ გამჭვირვალე, უხილავი ძაფების შეხება, მკლავებსა და წვივებზე შემოტმასნვა.

ჩანაწერი ნუცის რვეულიდან: „ცეკვა „ქალთა“ ანუ „ნარნარი“ ძალიან ლამაზი საყურებელია, მას ნარნარი მოძრაობით ცეკვავენ ქალები. თითქოს ღრუბლებში დაცურავენ. ამ ცეკვას ასრულებდნენ საზეიმო თავყრილობების დროს“.

* * *

მივჩერებივარ და ვერაფრით ვიჯერებ, რომ ბათუმშიც შემხვდა. ცეკვავს და ცეკვავს გამხდარი, ჭაღარა ქალი „აჭარულს“. ცეკვავს, არ ჩერდება. ასე მგონია ოცდაოთხი საათი მაინც გავიდა, ან თოთხმეტი, ან ჩვიდმეტნახევარი. ჩემი ბიჭი, როგორც კი „განდაგანა“ შემოესმა, გაიქცა, მუსიკის ხმას გაჰყვა. ვეძახი და მივდევ გულაჩქარებული, ვერც ვეწევი, არც ჩერდება. უკვე ვნანობ, ქობულეთიდან ერთი დღით ბათუმში რომ გამოვასეირნე. მივდევ და რაც უფრო ვუახლოვდები ცოცხალ წრეს, ჩემი გულისცემაც უფრო მატულობს. წრესთან რომ მიირბინა, გაჩერდა, დამელოდა. კიდევ კარგი.

– დე, მეც ხომ ვიცი აჭარული! – გაბრწყინებული თვალებით მეუბნება, – ცეკვის ჩუსტები კი წამოვიღე თბილისიდან, მაგრამ ქობულეთში დავტოვე, ბეტმენიანი პარკი რო მაქვს, იმაში ჩავდე და უჯრაში შევინახე. ნეტა წამომეღო!

უცებ მივხვდი, რომ სულ ტყუილად დავმშვიდდი, ერთი სული აქვს, წრეში შევარდეს და იმ ქალს გამოეცეკვოს. სანამ ამის მიხვედრა და შეშინება მოვასწარი, გაიქცა, რამდენიმესარტყელიანი წრის ბოლო მწკრივი გაარღვია და მიიწევს წინ. გაოგნებამ უცებ გამიარა და დაზაფრული ვეცი წრეს, გავეკიდე.

* * *

დედაჩემს ჩემთან ნუციზე საუბარი მას შემდეგ ავუკრძალე, ნუცის მამიდა შემხვდაო რომ მითხრა და იმის მოყოლილი ამბებით გული გამიხეთქა.

– ქმარი აგვისტოს ომში მოკვდომია, საწყალს... – თქვა თუ არა, დედაჩემი გაქრა. მის ნაცვლად ვხედავ, როგორ ამოფრიალდნენ საბარგულიდან წითელი ბუშტები. თეთრ ზონარგამობმულები, მსუბუქები. ვხედავ, როგორი ლამაზია ნუცი, როგორ ძალიან ლამაზია ნუცი სანამ სანდრო მუსიკას გამორთავს და იმ ორ მძიმე სიტყვას წვალებით ამოაგდებს მჭიდროდ მოკუმული პირიდან. საზღვარს ვხედავ, რომელიც ამ ორმა სიტყვამ უხილავად გაჭრა. გაჭრა და დროსა და სივრცეში ყველაფერი ორად გაიყო: „ომი დაიწყომდე“ და „ომი დაიწყოს“ შემდეგ.

– იმ უბედური ბიჭის მამა თურმე სკამს თლის კაკლის ხის ქვეშ და მისულა მეზობელი, – ყვება და ყვება დედაჩემი, არ ამთავრებს. – ცუდი ამბავი მიუტანია და ეს კიდევ ამ სკამს არ ეშვება, თურმე, ნუცის მამამთილი, თითქოს არაფერი, თლის ისევ. წასულა, როცა იყო მეზობელი, კი გაკვირვებია, აბა რა იქნებოდა, ასეთი რეაქცია, უფრო სწორად, ურეაქციობა... ბოლოს უფიქრია, ომში შვილგაშვებული მამაა, ეტყობა შემზადებული ჰყავდა თავი, წინდაწინ, ყველაფრისთვისო. დაუსრულებია ამას, მამამთილს იმ სკამის გაკეთება და არ ასულა ზედ?! ასულა და...

დედაჩემის სახესთან ერთად, უკვე ხმაც ქრება და აქა-იქღა მესმის ფრაზები: „ის უბედური“... „მანამდე სახლში ხანძარი გასჩენიათ თურმე“, „ეს ქალიც, მამიდა, ისე ჩამომდნარა, ძლივს ვიცანი...“ მაგის ბიჭები გახსოვს შენ? გახსოვს ტყუპები, მარიამ?“

მახსოვს, როგორ არ მახსოვს ნუცის ტყუპი ბიძაშვილები. ერთხელ ნუცისთან ავედი და ეგენიც იქ დამხვდნენ, ომობანას თამაშობდნენ. ნუცის პაპა უყურებდა იმათ მხიარულ ომობანას და უცებ, რაღაცნაირი, ძნელად გასაშიფრი ტონით ეკითხება:

– იცით თქვენ ომი რაა?! არ იცით, პაპა. ნურც გაცოდინათ...

– ვიცით! – ტყუპები პასუხობენ და პლასტმასის თოფებს ახმოვანებენ, – ბა-ბაახ!

– ჩვენც ვიცით! – ნუცი ეუბნება. – ბა-ბაااااااახ! – ხმოვანი, სადამდეც სუნთქვა გასწვდა, გაწელა, რომ ტყუპების პასუხს „მოუგოს“.

– სსუ! – პაპამისი ეუბნება, – ომი გოგოებს არ ეხებათ. – და ისევ ტყუპებთან აგრძელებს ლაპარაკს.

* * *

წრე ბოლომდე რომ გაარღვია ჩემმა შვილმა და უკვე საცეკვაოდ რომ უნდა შესულიყო, მაშინ ჩავავლე მკლავში ხელი და უკან გამოვქაჩე. ამ დროს იყო, მოტრიალდა ჩვენკენ ის ქალი ცეკვა-ცეკვით და შავი ფანქრით სქლად შემოხაზული ჭრილიდან სრულიად გულგრილი, ცარიელი, უშუქო და მაინც ნაცნობი... ნაცნობი, ნაცნობი თვალები დავინახე. დავინახე და შემეშინდა. ოღონდ, ამჯერად, შიშმა ადგილზე კი არ გამაქვავა, პირიქით, უცებ ჩემს შვილს მკლავზე მოვქაჩე და სასწრაფოდ გამოვიყვანე წრიდან. კი არ მიმყავს, მივარბენინებ.

ეგრე მშიშრულად, ეგოისტურად, დამპლურად გამოვიქეცი და კოჭებიდან რომ დამეწყო, ყოველ ნაბიჯზე მაღლა და მაღლა ამოვიდა, ხვიარასავით მთელ სხეულზე მომედო უცებ და ლამის გამგუდა – საკუთარი თავის სიძულვილმა. თან ვერ ვიჯერებ. როგორ შეიძლება ეგრე მომხდარიყო? თითქოს მე აწმყოში ჩავრჩი და იმას კიდევ წლები მოემატა, უკვე მომავალშია, იქიდან იყურება.

ხორუმი

ბავშვმა დაიძინა და მე რა დამაძინებს. თვალახელილი ვწევარ გულაღმა და ვაკვირდები, ჭერზე გადღაბნილი ლაქები როგორ მუქდებიან, როგორ იწყებენ მოძრაობას.

შავ-თეთრ კადრებად ვხედავ, დანახშირებულ სახლში ჩადგმულ ორ კუბოს შორის, როგორ უძრავად ზის ჩემი ლამაზი მეგობარი. ზის თავის ვერდაბადებული შვილისთვის მოჩუქურთმებულ სკამზე და მზითგამოტენილი თვალებიდან შუქი ნელ-ნელა ეწრიტება. ხალხი გარშემო წრეს უვლის და ამის მკვდრებს ახარისხებს: „აქეთა ეკლესიაში უნდა დაასვენონ, იქითას ეკლესიაში არ შეესვლება“. წრეს უვლიან და ჩურჩულებენ: „იმ სკამზე ზის, ის რომ თოკის მისაწვდომად ავიდა. მაგაზე როგორ დაჯდა? შეიშალა? შეიშალა. თან არც ტირის“.

სიცხიანივით მაციებს, ვკანკალებ. თვალები დავხუჭე, აღარ მინდა ამაზე ფიქრი, უნდა დავიძინო.

დავხუჭე და ვხედავ, როგორ დაფრიალდა მუქშინდისფერი კაბა, დააბზრიალა მთელი სხეული და აჰა, კეფა აღარაა, სახეა ჩემკენ. მიცნო? ვერ მიცნო? ჩემს მოღალატურ გამოქცევას მიხვდა? ვერ მიხვდა? იმის მეხსიერებას და ფსიქიკას შეუძლიათ ამ ყველაფრის ანალიზი?

ვხედავ, როგორ დადის საცეკვაოდ უბნიდან უბანში, ქალაქიდან ქალაქში და უცებ მივხვდი: ეს ცეკვები და ადგილები არაა შემთხვევითი! მართლა კი არ შეიშალა, ომმა და სიკვდილმა კი არ დაამარცხა – ცეკვაა ამის პასუხი ომზე. ცეკვაა ამის იარაღი. ცხოვრებაზე ხელი კი არ ჩაიქნია, კი არაფერი დაავიწყდა, პირიქით, ცეკვით ჰყვება თავის ამბავს. ყველაფერს ჰყვება: ბავშვობის უბანში გატარებულ ზეიმებზე, სანდროს გაცნობაზე, თავის მარტო დარჩენაზე და ვერგაჩენილ შვილზე,

ვერშემდგარ ძეობაზე, ყველაფერს ჰყვება, ყველა ამბავს ცეკვავს და ომის ფეხებთან საწყლად კი არ იკუნტება, ცეკვით ამარცხებს. სუსტი კი არა, წარმოუდგენლად ძლიერია!

* * *

ძლივსმოსულ ძილს წარსულში მივყავარ. ნუცის ოთახი მესიზმრება, იმისი სახლის სუნი. ტყუპებისკენ მიტრიალებული პაპამისის ზურგს ქვევიდან ავყურებ და ვეუბნები, რომ ომი ყველას ეხება. გოგოებსაც. გოგოებს უფრო! ნუცის პაპას ზურგს არ ესმის და ნუცის პაპა ისევ ტყუპებს ეკითხება: „იცით თქვენ, ომი რა არის?!“ „ვიცით,– ტყუპები პასუხობენ, – ბა-ბაახ!“

„ომი სკამია“, – ვამბობ ჩურჩულით და ნუცი კვდება სიცილით. – „სხვისი სიცოცხლისთვის გამოთლილი სკამი, რომელსაც შენი სიკვდილისთვის იყენებ“. – ვამატებ.

ნუცი ისე ხარხარებს, ცრემლი მოსდის და ტყუპები კიდევ, ამ დროს, ხის ჯოხებად გადაქცეულ პლასტმასის თოფებს, უზარმაზარ დოლს ურტყამენ რიგრიგობით.

ამ დარტყმის რიტმს გამოვყავარ ცხადში. გამოვყავარ და კი არ იფანტება, პირიქით, უფრო მკვეთრად ისმის, რომელიღაც ნაცნობ, მკაცრ, რიტმულ მელოდიად კოწიწდება. ჯერ მიჭირს ამოცნობა და თვალს რომ ვახელ და საბოლოოდ ვფხიზლდები, მაშინვე ვცნობ: ხორუმია.

ხმა ეზოს ჭიშკრის მხრიდან შემოდის. შემოდის და მოაქვს ჭაღარა მოცეკვავის ამოუცნობი მისტიკა. უცებ მახსენდება, რომ რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა, უკვე მოხდა, რომ ის „ამოუცნობი“ სულაც აღარაა ამოუცნობი და გულზე მეშვება. მეშვება და მერე უცებ ორმაგი ძალით მიჭერს ყელში. დღეს ნუცის და სანდროსთან ამ სახლში შეხვედრის დღეა. ის დღეა და გარეთ ნუცი სამაიას ნაცვლად ხორუმს ცეკვავს. წარმოდგენა არ მაქვს, ამას როგორ ახერხებს, მაგრამ ნუცი აქაა და ამდენი კაცის საცეკვ ხორუს მარტო ცეკვავს!

ჩემს ბიჭს გავხედე – სძინავს. ამან ჯერ რა იცის, ომი რაა. ჯერ ისიც არ იცის, რომ ყველას ჩვენ-ჩვენი წილი გვაქვს საომი და ამისათვის „ბა-ბაახი“ აუცილებელი სულაც არაა.

– დე, – ვაღვიძებ. – შემომხედე... გაიღვიძე... მისმენ?

თვალს სანახევროდ ახელს და მე თვალებანთებული ვეუბნები:

– ბეტმენიანი პარკი რომელ უჯრაში შეინახე, დე? ადექი, მოვძებნოთ.

ჩანაწერი ნუცის რვეულიდან: „ხორუმი“ უძველესი საომარი ცეკვაა, ათასობით წლით თარიღდება. მას მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ. „ხორუმი“ ქართველი ხალხის სიძლიერეს გამოხატავს და სიმბოლოა ქართული მეომრული სულისა და ვაჟკაცობისა“.

ფუტკარი ბარამბოს ტოტზე

სიჩუმის ეს ხორკლიანი სახეობა ბავშვობიდან მძულს.

თითქოს, ხმას არავინ იღებს, მაგრამ მხარზე თითის წვერებით შეხება, ამოსუნთქვა, შემჭკნარ ყვავილს უცებ ჩამომძვრალი ფურცელი რაღაც მოგუდულ, ხორკლიან რხევებს აჩენს ჰაერში, ყურის აპკზე მაწვება და მტკენს.

ყველა, ვინც ოთახშია, თაიგულებს შორის უადგილოდ გამოჩხერილ ბარამბოს ტოტს მისჩერებია გაოცებული. რომც არ დამენახა ვინ მოიტანა, მაინც მივხვდებოდი. მარტო დოდიკოს შეუძლია მკვდარი მეგობრისთვის სოფლიდან ქალაქში ბარამბოს ტოტი ჩამოიტანოს, ზედ ფურცლის ნაგლეჯი მიამაგროს ტექსტით „ყველაზე ძვირფას ნაზის!!!“ და შავ არშიამოვლებულ გვირგვინებს შორის კმაყოფილმა „დააადგილოს“.

ნაზის გაცემულ რჩევებში, ბარამბოს „ლუმინალის“ ადგილი ეკავა. კუჭი გაწუხებს? ბარამბო უებარია! ნევროზი გიშლის ნერვებს? – აჰ, რა თქმა უნდა, ბარამბო! ჰიპერტონია? ასთმა? რევმატიზმი? ბარამბო, ბარამბოოო!

დოდიკო, ამ შავი შალით შეფუთული ჭაღარა თავით, ისეთ ბავშვურად გულუბრყვილო აზრებს დაატარებს, არ გამიკვირდება, სადღაც იმის იმედიც ჰქონდეს, რომ ყოვლისშემძლე ბარამბოს ადამიანის სიკვდილისგან განკურნებაც შეუძლია.

ტოტს ვაკვირდები. არ მეჩვენება, ბარამბოს ფოთოლზე ფუტკარი ზის და თავს ირწევს არხეინად, თავის წვლილი შეაქვს ამ მოგუდული სიჩუმის ქსოვაში. თითქოს წარსულიდან ნაზის არაერთხელ ნათქვამი ფრაზის ვიბრაციაც გამოიხმო და რიტმში აიყოლია: „ბა-რამ... ბო-სი... გი-ჟემ... დე-უყ... ვართ-ფუტ... კრე-ებს“.

ფუტკარი ირწევა, ბარამბოს ფოთოლს მტვერივით სცვივა სურნელი, წრეზე მოსიარულე ხალხი მანტრასავით იმეორებს: „ვიზიარებ, ვიზიარებ, ვიზიარებ...“ ეს ყველაფერი ნელ-ნელა მაჰიპნოზებს, სიმშვიდისკენ მექაჩება. სიმშვიდის იმ უიშვიათეს სახეობაში მითრევს, რომელიც სრულიად ულოგიკოდ მოდის ზუსტად მაშინ, როცა ყველაზე ცუდად ხარ.

ბიოლოგიის მასწავლებლისთვის ერთგვარი პროფესიული ჩვევა იყო – ნაზისთვის ყველა და ყველაფერი სახეობებად იყოფოდა. ეს ჩვევა მეც გადმომდო. მე და ლუკას ოდესმე შვილი თუ გვეყოლება, სიკვდილის წინ მოვიხმობ და საგვარეულო ბეჭდის ნაცვლად, ადამიანებისა და შეგრძნებების სახეობებად დახარისხების ბაჯაღლო ნიჭს გადავცემ.

* * *

– დედი, შენი ცოლი ძალიან იშვიათი სახეობის ადამიანია, – ლუკას უთხრა ერთხელ ნაზიმ, – ძალიან უნდა გაუფრთხილდე, ძალიან! ჩათვალე „წითელი წიგნის“ მცველი ხარ და გევალება.

– აუუუუუ!.. – „უ“ უსაშველოდ გაწელა ლუკამ, – რა „წითელი წიგნის მცველი“, რეებს იგონებ, ქალო?!

თვითონ არასდროს უთქვამს, მაგრამ ვგრძნობდი, შვილისგან ნათქვამი „ქალო“ ძალიან სწყინდა. ეს თითქოს უწყინარი მიმართვა რაღაც ძალიან სათუთს უჭკნობდა გულის ქოთანში.

ადამიანი თავის სახელს ასე ჰგავდეს, სხვა არც არავინ ვიცი. რაღაცნაირი საფრთხილო იყო, მსხვრევადი, მაგრამ რაკი ღმერთმა მის შესაქმნელ მასალად შუშა კი არა ხორცი ჩაიფიქრა, როგორღაც გადაურჩა ნამცეცებად ჩამოშლას. ნუ, აქამდე გადაურჩა, თორემ ახლა...

* * *

დოდიკო ამოწითლებული თვალებით მომიჯდა გვერდით. თავზე მოხვეული შავი შარფი შეისწორა და ჩამჩურჩულა:

– ხომ იცი, დედასავით გყავდა ცხონებული... რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: „დოდიკო, ქალიშვილი შევიძინე! დრო რომ მომივა, ვიცი, ცრემლით დამშვიდობებას არ დამამადლის!“

იქნებ ოდესმე რამე ამდაგვარი მართლაც უთხრა ნაზიმ, მაგრამ მე მაინც მგონია, ჩემი უხმო, უცრემლო ჭირისუფლობით გულნატკენმა დოდიკომ ძალა მოიკრიფა, საკუთარ თავში ეშმაკობის ძლივს შესამჩნევი სულ პაწაწინა ნამცეცები წამოფხიკა, შეაკოწიწა და გამოგონილი ტექსტით მიმანიშნა, რომ დროა რამე დავატირო დედამთილს, რომელიც დედაც იყო ჩემთვის, მეგობარიც, მაგრამ რა ვქნა, არ შემიძლია. თითქოს ჩემი ქცევის მართვის პულტი მე არ მეკუთვნის, სადღაც გდია ელემენტდამჯდარი და დოდიკო ხან ერთ ღილაკს დააწვება, ხან მეორეს – ვერაფერი.

* * *

მე და ლუკა რომ დავქორწინდით, პირველი, ვინც მოსალოცად მოვიდა, დოდიკო იყო. გავაღეთ კარი და დგას ზღურბლთან ფუმფულა, წითელლოყება, გულწრფელი სიხარულით გაბადრული დოდიკო. ხელში თავისი ბოსტნის ქლიავით, ბადრიჯნით, კიტრითა და კარტოფილით გამოტენილი დიდი, შავი ჩანთა უჭირავს და რაც მთავარია, ამ ჩანთის გაქლეტილ სახელურზე, თეთრი, კარგად გახამებული უგრძელესი მაქმანი აქვს ბაფთად გამონასკვული.

– წუხელ მომაფიქრდა. შენახული მქონდა, ახალგაზრდობის დროინდელი. გავრეცხე, „კრახმალში“ ამოვავლე, გავაკოხტავე. ასე გაბაფთული ჩანთა ხომ უფრო საზეიმოა, არა? ხომ უფრო ეტყობა რომ საქორწინო საჩუქარია?! – რიტორიკულად გვკითხა საკუთარი იდეით ბავშვივით აღფრთოვანებულმა და მერეღა შემოვიდა, მოგვილოცა.

დღემდე მახსოვს ნაზის უცნაური რეაქცია: ბავშვობის მეგობრის დანახვაზე თვალები კი გაუბრწყინდა, მაგრამ კი არ მიეგება, უკან დაიხია, თვალები დახუჭა და იდგა ეგრე, სუნთქვაშეკრული.

საღამოს, ძილისწინა რიტუალს, ქოთნის ყვავილებთან ლაპარაკს რომ მორჩა, დამიძახა.

– დეა, მოდი, ვიცი გაინტერესებს... ემოცია, დოდიკოს დანახვისას რომ გამიჩნდა, ისეთი იშვიათი სახეობისაა, როგორც მაგალითად, ceroid cacti ჯგუფის ერთი კაქტუსი. კაქტუსის ეს სახეობა მთელ წელში მხოლოდ ერთი ღამით იშლება. თუ ვერ მიუსწარი და დატკბი, მორჩა! დილისთვის უკვე დამჭკნარი დაგხვდება. ჰოდა, მინდოდა, ჩანთაზე მაქმანგამობაფთული, ბედნიერი დოდიკოს დანახვით გაჩენილი ემოციისთვის ჩამევლო, ჩემში შემეკავებინა, გამეხანგრძლივებინა, ბოლომდე შემეგრძნო. ეგეთი კადრი მეტჯერ ხომ აღარასდროს განმეორდება, არა?

* * *

მოგუდული სიჩუმისგან ჩამოქსოვილი ჰაერის ფარდა უცებ აფრიალდა, გამოვფხიზლდი. ვხედავ, ლუკა დგას ოთახის ზღურბლთან. თვალები აქვს დაჭყეტილი და ისეთი არაბუნებრივად თეთრი ფერი ადევს, რა დროს ესაა, მაგრამ გონებაში უნებურად ვაგებ წინადადებას: „და ჰა, განეძარცვა მას ყოველი ფერი ძეხორციელისა“.

შენელებულ კადრად ვხედავ, ლუკამ ხალხი მისწი-მოსწია, თან თვალს არ მაცილებს, მოიწევს დაფეთებული და უცებ მივხვდი, მე კი არა, ნაზის ფეხებთან მიწვენილ ბარამბოს ტოტს მისჩერებია, ფუტკარი დაინახა და მექანიკურად გამოექანა, რომ აუქშიოს. ნაზის ალერგია ჰქონდა ფუტკრის ნაკბენზე და საკუთარი ცხოვრების ყველაზე დიდ ტრაგედიად, ოჯახის დანგრევა კი არა, ეს ალერგიულობა მიაჩნდა, რაკი ბუნებაზე ყურებამდე შეყვარებულ ბიოლოგს არ შეეძლო, როგორც თვითონ იტყოდა „ამ გამრჯე მწერებს ჯეროვნად მოსიყვარულებოდა“.

ლუკას თვალებს ვუქაჩავ, ნაზიზე ვანიშნებ. ისიც მიქაჩავს და ფუტკარზე მანიშნებს. ვცდილობ, თვალებითვე ვუთხრა, რომ ლუკ! აღარაა ადამიანი ცოცხალი, ფუტკრის ნაკბენი ნაზის უკვე აღარ გაუსივდება, დამშვიდდი! თან ფუტკარმაც არა მგონია იმ მკვდარი ქალის კბენა იკადროს, მოსწავლეებთან ლამის დედა-შვილური სიყვარულით რომ საუბრობდა მის მოდგმაზე.

ლუკამ ყველაფერი გაიგო და აყვირებული თვალები უცებ ჩაიჩუმა. თითქოს მხოლოდ ახლა, ამ წამს, ნაზის სახლში ყოფნის ამ ბოლო წუთებშიღა მიხვდა, რომ მორჩა, დასრულდა დედამისი, აღარაა...

* * *

ნაზი ჩემი და ლუკას დამრიგებელი იყო სკოლაში. ერთხელ გავბედე და ვუთხარი: მას, მიყვარს, მცენარეებზე რომ გვიყვებით, თითქოს, თქვენი მოყოლილი მცენარეები უფრო ჯადოსნურები

არიან, ვიდრე ჩვენი დანახულები-მეთქი და ისე გაუხარდა! იმის მერე სულ ცდილობდა „მწიკვი“ ჯადოქრობა ყოველ გაკვეთილში გამოერია. გაკვეთილის ახსნის მანერაც კი შეეცვალა. ერთხელ, მაგალითად, ისეთი ფრაზა თქვა, ისეთი თეატრალურობა ჩააქსოვა, მთელ კლასს გაეცინა, ლუკასაც. მაგრამ რაკი ნაზი ახსნისას მხოლოდ მე მიყურებდა და მე კიდე არც გამღიმებია, დანარჩენების გა- თუ ჩა-ცინება არ შეუნიშნავს (მადლობა ღმერთს!). ფრაზა კი ასეთი იყო:

– ...და ეს სიცოცხლით სავსე თესლი უცებ ჰოოოპ! – ამოღვივდება, სასწაულებრივად ამოყოფს თავს შავი მიწიდან. პატარა, თავწვეტა გნომივით!

ახლა ვფიქრობ, ამ „თავწვეტა გნომივით“-ზე რანაირად არ გამეცინა, მაინც რანაირი უგერგილო ბავშვი ვიყავი?

მერე, უკვე რძალი რომ დამერქვა, სიცხიანი ვიწექი ნაზის ტახტზე და ვთხოვე, ყველაზე ჯადოსნურ მცენარეზე მომიყევი-მეთქი რამე.

– ოჰ, დეა, რომ იცოდე, როგორი ჯადოსნური მცენარეა მისი უდიდებულესობა ნეპენტესი! ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც „არავითარი მწუხარება“ (ne – არავითარი, penthos – მწუხარება). დოქის ფორმა აქვს და ამ „დოქში“ ეშმაკურად იზიდავს ცოცხალ ორგანიზმებს, შიგ გამოკეტავს და მათით იკვებება. ასეთია ნეპენტესის ბუნება, მაგრამ რა ქნა ერთმა საოცარმა სახეობამ? ვერ გამოიცნობ! უარი თქვა ცოცხალი ორგანიზმით კვებაზე და ფოთლებიჭამიად გადაიქცა! წარმოგიდგენია? ხომაა წარმოუდგენელი ჯადოქრობა?!

არადა, ნეპენტესზე მეტი ჯადოქრობა თვითონ აქვს ჩადენილი. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, კვამლი ხორცად როგორ გადააქცია.

მშობელთა კრება იწყებოდა. საკლასო ოთახთან ჩემი კლასელების გაპრანჭული, მზამზარეული ბედნიერებისგან ცხოვრებააფუებული დედები იდგნენ. დავინახე, როგორ ფეხათრევით, კვამლივით ზანტად მიიზლაზნებოდა მათკენ ნახევრად გამჭვირველე, ნახევრად – ნაცრისფერი ბებიაჩემი. ღია კარში ისე შეცურდა, ვერავინ შეამჩნია. მახსოვს გავიფიქრე, რომ ასე ლანდივით გალეულ ადამიანს, არც ჩაკეტილ კარში გაუჭირდებოდა გავლა.

კრებაზე კვამლად შევიდა და იქიდან ადამიანად გამოვიდა.

– ბები... მადლობაო, იმან... ნაზიმ, – იქვე ჩამჩურჩულა თვალებგაბრწყინებულმა, – მადლობას გიხდით კარგი შვილიშვილის გაზრდისთვისო!

ასეთი ბედნიერი მეტჯერ აღარც მინახავს ბებიაჩემი.

კი, ნაზი ჯადოქარი იყო. მასწავლებლის ის იშვიათი, ჯადოსნური სახეობა, რომელმაც გარიყული, ჩაკეტილობის გამო ოროსანი (ვიცოდი და მოყოლას ვერ ვბედავდი) ბავშვი საუკეთესო მოსწავლედ აქცია! ყოველდღე, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ დამსვამდა ცარიელ კლასში, ამოალაგებდა სახლში გამომცხვარ კექსს, ქილით – მურაბას და „მაიძულებდა“ ერთად გვეჭამა, გველაპარაკა, გვეცინა. ხან ლუკასაც შემოიყვანდა ხოლმე და მთხოვდა: „დეა, მგონი ლუკა მათემატიკაში ვერ გაერკვა, მიდი, აუხსენი, რაა. შენსავით კარგად ვერავინ გაიგებდა ახალ მასალას“.

ნელ-ნელა, გაკვეთილების მთელი კლასის წინაშე მოყოლაც გავბედე, მასწავლებლებმაც ამაძრეს თავიანთი მოწებებული ვირტუალური იარლიყები, „თვალებიანი კუნძი“ და „უსიცოცხლო“. ბავშვებსაც გაუჩნდათ ჩემთან დამეგობრების სურვილი. ჩემმა აქამდე ვერაფრით გაღვივებულმა თავდაჯერებულობის თესლმა ერთმანეთის მიყოლებით ამოყარა ნედლი ყლორტები. უკვე აღარ ვფიქრობდი, რომ რაკი დედამ ღრმა ბავშვობაში მიმატოვა, რაკი გრაფაში „მამის სამუშაო სტაჟი“ რეალურად მხოლოდ „ლოთობა“ შეიძლებოდა ჩაწერილიყო, რახან ქრონიკულად გადაქლეტილი ფეხსაცმლით დავდიოდი და ბებიაჩემი კიდე კვამლს ჰგავდა, არ ვიყავი ღირსი, ადამიანები თანასწორივით მომქცეოდნენ.

ნაზისთან სკოლის დამთავრების მერეც ვმეგობრობდი. ამ სახლში ამოვდიოდი ხოლმე სტუმრად, ამ მისაღებ ოთახში ვსხდებოდით. ახლა რომ წევს, ზუსტად აქ, ოთახის შუაგულში, კუბოს ნაცვლად ხის მრგვალი მაგიდა იდგა. როცა გამხმარი ყვავილების ჩაის ვსვამდით, კედლის იმ სარკეში ვიყურებოდი, ახლა ჩემს ზურგსუკან, თეთრი ნაჭერი რომ აქვს ჩამოფარებული, ვიღიმოდი და მიკვირდა: აი, რანაირად ვჩანდი ნაზის სარკეში გაცილებით უფრო ლამაზი, ვიდრე ჩემი სახლისაში? მერე და მერე, მე და ლუკა რომ დავახლოვდით, ამ სარკეში ჩახედვა აღარ მჭირდებოდა თავის გასამხნევებლად, ჩემი სათქმელი ლუკამ გადაიბარა: „რა ლამაზი ხარ, დეა!“ ახლა ვერ ვიხსენებ, ნეტა, მაგ პერიოდში როგორ მიმართავდა დედამისს, მაშინაც „ქალო“-თი?

პირდაპირ არასდროს უთქვამს, მაგრამ სულ ვგრძნობდი: ლუკას ნათქვამი „ქალო“ რომ ხიჭვივით ჩაესობოდა, იმ ხიჭვის ამოღება ჩემს ნათქვამ „დედას“ შეეძლო, მაგრამ ნაზიმაც იცოდა და მეც, რომ ძნელი იყო ჩემთვის, ლამის შეუძლებელიც – სათქმელი სიტყვისთვის ამ მარტივად დასალაგებელი ასოთაშეთანხმების ფორმა მიმეცა.

* * *

ხალხმა საათზე დახედვას მოუხშირა, თვალს ჩემკენ აპარებენ. როგორც ჩანს, უკვე დროა...

სიჩუმის ეს საზიზღარი, დამხორკლავი სახეობა ახლა, ნაზის სახლში ყოფნის ბოლო წუთებში, კიდევ უფრო აუტანელი გახდა. არ ვინძრევი, მაგრამ ამ სიჩუმის დაშვებით თუ ხელშეწყობით, თითქოს უკვე რაღაც უპატიებელს ვაკეთებ. თითქოს ჩემზეა დამოკიდებული, სიჩუმის ეს საძაგელი სახეობა აქ, პირდაპირ ჩემს ცხვირწინ, ჭერის ყველა კუთხიდან გადმობიბინდება, ამ დღის სამყოფი მოგონების ყველა მტკაველს ხვიარასავით მოედება, ყველა ნივთს გადაუვლის, ფანჯრიდან გადაეფინება და მთელ სამყაროს დაფარავს, თუ ძირფესვიანად ამოვძირკვავ აქ და ახლა და დინოზავრივით სამუდამოდ გადაშენდება.

ღმერთო, რატომ გამჭვირვალეს არ ხდი მგლოვიარე ადამიანის ხორცს, რომ გული და გონება გამოუჩნდეს? რატომ სჭირდება ხალხს, ხელი ჩაიყო სულში, თავი ამოიტრიალო და სანახაობა აჩვენო, შენი მკვდრის სიყვარული დაუმტკიცო? იქნებ იმიტომ, რომ სინამდვილეში მგლოვიარესაც აწუხებს ეს სიმუნჯე და ასე ეხმარები, ხალხის „შიშით“ მაინც ამოიღოს ხმა, შიგნიდან ტკივილი ამოიწუროს, უკან ჩაბრუნებული ემოციისგან გათავისუფლდეს?

ალბათ ნევროზის ახალი სახეობაა: ენას ვერ ვამოძრავებ და თვალებს ვერ ვაჩერებ, სწრაფ-სწრაფად დახტიან ერთი გვირგვინის წარწერიდან მეორეზე:

„უსაყვარლეს ნაზი მასწავლებელს მოსწავლეებისგან“

„თანამშრომლებისგან“

„მეზობლებისგან“

„ყველაზე ძვირფას ნაზის!!!“

გამომშრალ ტუჩებს ძლივს ვახლეჩ ერთმანეთს. თითქოს ხორბალს ეკალი არ აქვს, არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ პირში მოგროვილი ხორბლის მარცვლისოდენა ასოები ენაზე მჩხვლეტენ, ვერ ვალაგებ საჭირო მწყობრში.

დოდიკო ზის ჩემს პირდაპირ. ნაზის აქეთ – მე, ნაზის იქით – დოდიკო და თვალებით ისეთ იმპულსებს მიგზავნის, გამომშრალ ტუჩებზე ნესტს მიბრუნებს, ენის ნარ-ეკალს უცებ-უცებ კაფავს და სიტყვის ხორბალიც ღვივდება.

– მადლობა ყველაფრისთვის, შეხვედრამდე. დე.

რაღაცნაირი, ხიჭვებიანი ხმით ვამბობ და რომ ნამდვილად ვთქვი, ამას დოდიკოს თვალები მარწმუნებს. დოდიკოს თვალებიდან წამით, სულ ერთი წამით ნაზი მიყურებს ისეთი სიყვარულით, სი-

ყვარულის ისეთი იშვიათი სახეობით, რომ ღრიალი მინდა. ვღრიალებ კიდეც. ოღონდ, ვერასდროს ვერავისთან შევძლებ ვაღიარო, ვერ შევძლებ ავხსნა, რომ ეს ღრიალი – სიხარულისაა. რომ დიახ! მე ის ჯადოსნური ნეპენტესი ვარ, უარს ვამბობ მწუხარების აღქმაზე! ჩემს თავში, როგორც დოქში, მკვდარი სხეულის დარდს კი არა, სიყვარულს ვიტოვებ საკვებად, იმ სიხარულის ფოთლებს, რომელიც ამ ორი ასობგერის თქმამ დაბადა ჩვენთვის, ცოცხალი და მკვდარი ადამიანისთვის ერთდროულად. რომ ეს კიდევ უფრო იშვიათი სახეობის სიხარულია, ვიდრე მთელ წელს მხოლოდ ერთი ღამით გაყვავილებული კაქტუსის საკრალურობა.

„ადამიანი ერთხელ იბადება და ერთხელ კვდება“, – ნაზი ამბობდა ხოლმე, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ნაზის სახეობის ადამიანი „მრავალწლოვანი მცენარეა“. ოდესმე სხვა ფორმით, სხვა სახით, სხვა განზომილების მორგებით აუცილებლად ამოღვივდება, სასწაულებრივად ამოყოფს თავს შავი მიწიდან პატარა, თავწვეტა გნომივით და მხოლოდ ბარამბოს ტოტზე დარწეული ფუტკრის სმენისთვის სამყოფ სიხშირეზე იტყვის:

– ჰოოოპ!



სალომეა დოლიძე

ジョージ, 譲治, 譲二, 譲次

შენ ჩემი კარის პოეტი ხარ,
ჩემი დარბაზის.
იმ სარკის მეფე,
სადაც თავი გამოვიმწყვდიე.
ვინ მათქმევინოს
რომ კაცი ხარ,
კაცთან დავმარცხდი,
რომ ჩემს ბინაში
ვაწანწალებ ვიღაც მიწიერს!

შენ ხარ პოეტი
და ეგ სუნი, ახლად ნათიბი
ბალახის სუნი,
ვერ აუვა ქრისტეზე მდიდარს,
ვინ მათქმევინოს,
რომ კაცის წინ მწარედ ავტირდი
რომ მაწანწალა შეეჩვია ჩემს მყუდრო ბინას!

შენ გამომივსე ფარვანებით სახლი, საგულე...
შიშებთან ერთად მაიძულე მიწაც მეჭამა
და სანამ ცოდვის წარსულებიც
დამიკაკუნებს,
მე წავალ...

არ მოიწყინო,
ნადიმებზე ირმები მოვლენ,
სარკის მეფეო,
მოგითიბე ბალახი ხმელი,
მივდივარ,

ოღონდ ყელთან ერთად იმედი მომე,
რომ ეს გვირგვინი არ გახდება პოეტის მკვლელი...

შენც იცი ახლა ყველაფერი უადგილოა,
ყველა იმედი,
დაპირება,
წასვლა,
დარჩენა!
მაინც მომეცი ერთი მუჭა გულახდილობა
გამოსაკვებად,
უფრო თავის გადასარჩენად!

ჩემო მეფეო,
მთვარის ჩრდილებს ღრუბლები კეცავს,
ღამდება,
მალე წარსულები დამიკაკუნებს!
დედას კი არა,
სიყვარულო, გაფიცებ ჩემს თავს
– გადაივიწყე ყველა გზა რაც უკან გაბრუნებს!

მე კი არ ვიტყვი რომ კაცი ხარ,
კაცთან დავმარცხდი,
შენ მეფე ხარ და
მომცრო ბინა – ციხედარბაზი...

* * *

გრძელი ღამის ირონიით სავსე ოთახს
შიშის ჩრდილი მხარ-თეძოზე გასწოლია...
და წერს ქალი,
წერს კი არა, უფრო მოთქვამს,
რომ შიშები მისი რკინის საწოლია...
დაწერს დარდზე, დარაჯობს და არსად გარბის,
უფრთხილდება, უვლის შიშებს და ეს რკინა –
სამხრეები ახალგაზრდა ქალის კაბის...
შიშს მხრები და კაბას ქალი წამოსტკივდა...
წერს: – ესაა, ქალს ცარიელ სიზმრად რაც გხდის,
შეგაჩვია სავსე მკერდს და დაცლილ მკლავებს,
გაიქეცი, სანამ ვინმე კანსაც გაგხდის,
შიშისმჭამელ ქალებს ისე ხშირად კლავენ...

დაწერა და წაუკიდა ცეცხლი სცენარს,
შიშის თეატრს, საწოლს, სარკეს, ფარდას, ქოთანს,
ცეცხლის შუქზე შეამჩნია შიშისმსმელმა,
რომ შიშებს და ლექსებს ერთი ფერფლი ჰქონდათ...

ხელჩაქნეულებს...

დაკარგულებმა უკეთ იციან
ხელის ჩაქნევა როგორიც უნდა,
ღმერთო,
შენ იცი რაც გამიცია
ისიც,
სანაცვლოდ რა მცირე მსურდა...

დღეს, ხელჩაქნეულს არა მაქვს გზები,
ჩემი სავალი – ქარაფებია,
და მინდა ვწერო ისეთი გზნებით,
გადაჩეხვაც რომ არაფერია...

იმგვარად ვწერე გაიმზე, გაცზე,
თითქოს შვილები სამსხვერპლოს მყავდა,
მაგრამ ვერაფერს ვეღარ ვწერ კაცზე,
თავდავიწყებით რომ შემიყვარდა...

მიმყვება დარდი დაკარგულ ჭერზე,
არ უწერია ჩემს წარსულს გლოვა,
რეალობაში ვერასდროს შევძლებ
იმას, რაც მერე ლექსებში მოვა...

აღარ შემორჩა ჩაქნეულ ხელებს,
აღარც სურვილი და აღარც ძალა,
ეს ქალის შხამიც ისე მახელებს
– წადიო!..
ჰოდა ქარაფით წავალ.

დაკარგულებმა კარგად იციან,
ხელის ჩაქნევას რა ძალა უნდა...
ღმერთო, რამდენი რამ გამიცია
ხოლო სანაცვლოდ რა მცირე მსურდა...

მარტოდედა

ჩამოეშალათ ყველა კედელი,
ჭერი ისედაც არ ჰქონებიათ...
და, მაინც, „სახლში“ მარტოდედები
წინა ცხოვრების გოგონებია.
მათმა მხრებმა კი ისე გაუძლეს
ჩამონგრეული კედლების ტვირთვას,
პოეზიაა! – ჰოდა საუზმედ
ცრემლში ჩამბალი პურები ითქვას!
პოეზიაა. იქ ყველა პწკარი,
ჩანთა, საცვალი, საყურე, კაბა...
ის უკედლებო მუყაოს კარიც
ჰო, კარი, კარმა, კარიდან, კართან...
კარის ორ მხარეს ორი პასუხით
გზამოღალატე ქალი თუ ცხოვრობს,
თავი აწიე, ქალო, თავს ნუ ხრი,
პოეზია ხარ ბოლოს და ბოლოს!
ქალბატონებო ლურჯი მუხლებით
დაგრჩათ ცხოვრება მუყაოს კართან,
თქვენ პოეზიას ისე უხდებით,
რომ არაფერი არ იყოს კარგად.
კარგი ლექსიც ხომ მარტოკაცია,
მარტოდედამ კი რას უნდა გაწვდე.
როცა ხარ ყოფის სუბლიმაცია,
ჯერ მიწამდე და მიწიდან ცამდე!
ჩამოეშალათ ყველა კედელი,
ჭერი?
ისედაც არ იყო მათი!

* * *

შენ სხვანაირად გიხდება დარდი,
თავად დარდივით რაღაცნაირო,
მე რა ვიცოდი თუ ასე მგავდი
და არც გეძებდი, ჰოდა, ვაი რო...
რა იქნებოდა ერთხელ მენახა
სიზმარი ჩვენზე, შენი ძე მეშვა,
და, თუ არსებობს, მხოლოდ შენა ხარ
ბედნიერება ჩემი და... შეშლა...

არაფერია იმაზე მწველი,
წყურვილს რომ შენით სხვები იკლავენ,
გაძლება თქვი და იმდენი ვძელი...
ჰოდა, მოდი და გამომიმკლავე!
მეტაფორები ფოთლებად ცვივა,
მინდა მაგ დროის კაბაში მნახო,
ის ერთი ფრაზაც, რაც ასე მტკივა,
შენ უნდა მითხრა – მოგაგნე სახლო...
და არ მოხვიდე ჩემთან ვით მგზავრი,
როგორც პოეტთან, თითქოს სანდო ვარ,
რა პოეზია, წერილებს ვგზავნი,
როგორც პატიმრის ბოლო სათხოვარს...
განა მიყვარხარ, მე უფრო მწამხარ.
და ასეთს გელი, ჩემო ბაირონ...
ჰოდა, მოდი და ნუღარსად წახვალ
შე სევდასავით რაღაცნაირო...

* * *

ამასობაში
ვისწავლე ლოცვა
და უფლისადმი მადლობის წირვა...
გადაყვლეფილი მუხლებით ვცოცავ
და მაინც ერთი ნაბიჯით წინ ვარ...
ხომ ხედავ,
როგორ დამწრიტეს,
გავშრი,
მზეგამოწველილ მკერდზეც დამხედე,
ამოიცანი ჩემ სულში ბავშვი,
რომელიც ასე გაათავხედე.
ნეტავ ამ მკლავებს რაღად გინახავ
არსაითის გზად ვნებებს თუ ვხოცავ,
თუ ამ უკუნში ვერ დამინახავ
და თუ არ გესმის პოეტის ლოცვა.
ბედის ტალღებმა ჩამიხსნეს ხიდი,
ვით გაიმეტეს ის ერთი ბეწო...
გადაკარგვამდე ცხრაკლიტულს ხსნიდი,
რომელშიც მხოლოდ ლექსები მეწყო.
ხომ მოისვენე ჩემი ხის ჩრდილში,
ბოლოს ბონსაი რომ შერჩა ხელებს,

არაფერია, სიკვდილი შიში
ერთ ორ ლექსს თუკი ამომახველებს.
ჰოდა ნუ სწუხხარ და ფიქრობ ნულარ,
რის ვედრება და მადლობის წირვა...
ჩემი სამყაროს კიდესთან თუ ხარ,
ფეხი გადმოდგი – ნაბიჯით წინ ვარ!

* * *

ლექსები ასე არ იწყება.
და ღამის პეპელა ჭაღიდან
აფრინდა. ფიქრი ფიქრს მიეწყო –
არ ღირდა...

ის ქალი, ფარდებს რომ აღარ წევს,
რომ აღარ გაგანდოს მზესთანაც,
ამ სევდას ჩვილივით დაარწევს –
შემცდარა.

და მკერდთან შეხსნილი საკინძე.
და მკერდში მზის ნატეხს გინახავს.
ზამთარს ხომ ისედაც გაუძლებ –
ყინვა ხარ.

დროც გავა, ამბავიც იამბებს.
სიყვარულს მაშინ თუ ისწავლი,
როს ვნებას ძაღლივით მიაბამს,
ის ქალი,

ოთახის კუთხეში, სანამ შენ
პეპელას ააფრენ ჭაღიდან.
ის წავა, – წავა, რომ გადარჩეს –
სახლიდან.

ამ ამბავს ზღვაზე ან ცაზე, ან
ფანჯრებზე დაწერს და გატყდება,
რადგანაც ლექსები ასე არ
მთვარდება.

რომ ვერ ამიხდე...

სულ ცოტა დამრჩა
ამოვივსო მკერდთან ღილები,
გადამეჩვევა სილამაზეც,
აი, სულ ცოტა...
ჰოდა,
გელიან უშენობით დაღვრემილები,
ხელები, როგორც სამოთხემდე მიმავალ ცოდვას...

ახირებული სიზმრებიდან გამოაქციე
გული, რომელსაც ყელში უჭერს
ვნების ქაროზი,
ძალას დაიტანს,
მომიწონებს მამა საქციელს,
იცის,
სხეულში გამომწყვდეულ ევას გამოვზრდი,

რომ ვერ ამიხდე...
გამიდის და კიდევ ვიტირებ...
ბავშვივით ვტირი და მოვუხმობ
საშველად მამას,
ჩემს ლექსს კი არ ვწერ,
მგონი უფრო იმას ვციტირებ,
რომ ყველა ქალი ქალია და ერთ მეძავს მალავს...

ამიტომ ვამბობ,
რომ ხარ ცოდვა სამოთხის გზაზე,
არსაითის გზას არ სჭირდება შენი ჩადენა
და, სანამ ისევ მაისია, წვიმებით სავსე,
ამაფრიალე სამოთხისკენ,
ისე მჩატე ვარ...

და მაინც ვწერდი...

დაცლილ მკლავებზე შუაღამემ გადამიარა,
ისედაც ვიწრო და გამხდარი თითები ვიღრძე...
დილამდე ვწერდი,
როგორ ვიქცე ადამიანად,

როცა ამ ლექსის ტოლიც არ ვარ,
არც მისი სიგრძე...

სხვების ქუჩაზე
სხვებთან ერთად როგორ ვიარო?!
ჯოჯოხეთია აქ ცხოვრება – სხვების ქალაქში...
მავანნი თვლიან, რომ არასდროს არის გვიანო
და მოდურ მორალს გიკითხავენ, გვიან გადაშლილ

წიგნებიდან და ამ მორალის ყოველი მცველი
ზემოდან დაგცქერს და თავის ზნე შუბლზე აჩნია,
შენ კი შორიდან აკვირდები, ზომავ და ელი,
ასჯერ განაზომს
ეს „წმინდანნი“ როგორ გაჭრიან...

ამასობაში დღე ილევა,
დღესთან რა მინდა?!
რა იცის მზემ სხვა – რომ ამოვა, უნდა ჩავიდეს...
როცა საერთოდ არ გავსულვარ დედის სახლიდან,
ახალი ჭორი წიგნში ზუსტად იმ დღეს „ჩამიდეს“.
განა რა არის გასაკვირი, გასაოცარი,
ჯვარზე თუ აცვა უკვდავება ხალხმა მოკვდავმა.
მე არ მაქვს ჯვარი, არც ხატი და არც სალოცავი,
და მაინც ვფიქრობ,
ქვეყნად ღმერთმა რომ გამომგზავნა...

უბრალოდ ის ვერ გამიგია, რა უნდა ვწერო.
როცა უკვე თქვეს „რამ შემქმნაო ადამიანად“
ვიტყუებ თავს, რომ მომიყვანა ამ ქვეყნად წერომ,
მაგრამ
მამა ვარ ხასიათით, სახით, მთლიანად.

აქ რა მინდოდა?! – ვეკითხები მერე მამაჩემს.
– ჩემი გაჩენა ამათ გვერდით, უსამართლოა...
მამა წუხილით იმეორებს შვილის განაჩენს
– ეჰ, ჩემი შვილი ამდენ ხალხში მართლა მარტოა...
მე კი ვწერ,
ვწერ, რომ შეიცვლება ადამიანი!
თუმცა თავად ვარ ყველას მსგავსი ევას დროიდან,
სულ ნუ გამიცნობთ, არ გავხდები, არა, რქიანი,
არ გამოგათრევთ შეჩვეული სიმყუდროვიდან...

უკვდავებისკენ სიცოცხლეში დგამენ ნაბიჯებს,
მე თავად ჩავდებ ამ საფლავში პოეტის ცხედარს,
ოღონდ არ უთხრა მამაჩემო არც შენს ძმა-ბიჭებს,
რომ მოგიკვდი და, მითუმეტეს, ნუ ეტყვი დედას,

რომ მე ვცდილობდი სხვების მსგავსად, სხვების ქალაქში,
სხვების ქუჩაზე ავყოლოდი სხვების ამინდებს...
მე არ ვიქნები, ჩემს ნაწერებს როცა გადაშლი
და წერტილ-მძიმე გიკარნახებს, როგორ ამიგდეს...

ჰო, სწორედ მაშინ,
რომ ვიხდიდი ღამეს სათევად,
ჰო, სწორედ მაშინ,
საღამოსფერს რომ ვერ ვიტანდი!
როცა იმ სხვებმა
დამიმსგავსეს ლამის ნახევრად,
როცა მეგონა
სულს დილამდე რომ მივიტანდი,

ჩემი სამელნე სწორედ მაშინ გადაყირავდა
სხვების ქალაქში,
მაგრამ მოვკვდი საკუთარ თავში,
ზამთარი იყო,
დეკემბერი, თოვდა, ყინავდა
და, როგორც მტვერში წაქცეული ნუკრთვალა ბავშვი,

მეც ზუსტად ისე წავიქეცი,
თითები ვიღრძე...
დაცლილ მკლავებზე შუაღამემ გადამიარა!
ჰო, ვერ ვიყავი ლექსის ტოლი,
ვერც მისი სიგრძე,
და, მაინც ვწერდი. – როგორ ვიქცე ადამიანად...



თემურ ედიაშვა

თეთრი სიზმრები

I

როცა მწყემსები ყამონიანელთა,
შეიშლებიან ჭკუიდან და ცხვრებს ამოწყვეტენ,
როცა დამთავრდება წყალი და მარილი,
და ის წყალი, რაც დარჩა, მარილიანი იქნება.
როცა აღარ დაბრუნდებიან მერცხლები და მეზღვაურები,
მოვა იმედი.

ის იქნება ქვის სახლივით,
წვიმა და ქარი გახდება მისი ისტორია
და უბედურება ვეღარ დაანგრევს მას.

მის კარებთან დაიძინებენ მიჯნურები.
მის აბაზანაში ვარსკვლავებს გადაყლაპავს როკ-ვარსკვლავი
და ვარსკვლავი აენთება მაშინ მის თავზე.

ხელახლა აშენდება ქალაქები:
ბეთიაშიმოთი, ბაყალ-მაყონი, კირიათაიმი...
შენც... თეთრ სიზმრებში ბრალდებული, შენც იქ იქნები.
წინ წაგიძღვება მოციმციმე შორი ვარსკვლავი,
და ამ უძირო სიბნელეში გზას გაგინათებს,
სულს დაგიწყნარებს,
დაიწვება შენი გულისთვის.

მე ჯერ ზურგის ტვინი ვარ,
მიმაგრებული საშვილოსნოს კედელს,
მაგრამ ამჯერად გარდაუვალია ჩემი გაღვიძება –
იქ, ბროწეულების ბაღში,
წყნარ წყლებთან.

შენც, თეთრ სიზმრებში ბრალდებული, შენც იქ იქნები,
რადგან, არ არსებობენ ის მიწები შენს გარეშე
და რადგან მხოლოდ ბოროტებაა უმიზეზო,
ჩემი ბრალია ეს ცხოვრებაც,
როგორც დამღლელი მგზავრობა ავტობუსით,
სადაც ამოდიან და ჩადიან
სამსახურებთან, სასწავლებლებთან, ბაზრობებთან
და შენ გჯერა, რომ გზის ბოლოს,
გაჩერებაზე, გელოდება შენი კეთილი ღმერთი.

ის სულის შებერვით ხელებში აცივებს ორ ნაყინს,
ჩვენს მოლოდინში,
სასწაულები ხომ მისი ძველი ჩვევაა,
რომელიც ასე მოგწონდა მასში.

ჩვენ ვისეირნებთ გაფენილი სარეცხით აჭრელებულ ქუჩებში,
ეს - გაზაფხულის ქუჩაა,
ამ ქუჩით დადიან სტუდენტები, შეყვარებული წყვილები,
შატალოზე გაპარული კლასები, ექსკურსიის ავტობუსები,
ეს ყველაზე გადატვირთული ქუჩაა ამ ცაზე.

ეს ზამთრის ქუჩაა, აქ განუწყვეტლივ თოვს,
სიბერის ქუჩაა ზამთრის ქუჩა,
აქ ყველაფერი კარგად არის,
აქ იხსენებენ ახალგაზრდობას და კამათობენ პოლიტიკაზე,
კანტზე, დეკარტზე.
ამიტომ, სულ შემოდგომის ქუჩით მინდა გავლა –
იქ ხომ ფოთლები ყრია
და ხელჩაქნეულები დგანან ნაცნობი მეეზოვეები,
გრილი წვიმები.
მე კი, წვიმის კაცი ვარ, ჩემო კარგო
მე წვიმის კაცი ვარ
88 წლის ფილმიდან.
არაჩვეულებრივი რაიმონდ ბებიტი –
მე წავიდოდი შემოდგომის ქუჩით,
შეხსნილი თასმებით მკვდარ ფოთლებში,
მაგრამ შენ მეუბნები, რომ ზაფხულის ზღვაზე გადის
და უნდა წავიდეთ თოლიების საყურებლად,
ისინი შენს თეთრ სიზმრებს კი არ გვანან,
ისინი არიან შენი თეთრი სიზმრები.

II

ჩვენზე იტყვიან – ბინის ქირას
როგორ იხდიან?! (უკვირთ მართლა).
ნახატებს ვკიდებთ თავდაყირა,
„გოქსუს“ ვკითხულობთ უკუღმართად:

(სადაც თითები მთავრდებიან
და ყვავილები იშლებიან,
შენი ყვავილებით დაწყებული,
ჩემი გადარჩენის ნიშნებია).

მე ხომ იმ სახლის ფანჯარა ვარ,
მოსჩანს საიდანაც სადგურები.
ალხაზიშვილი, კაჭარავა
„დიაგნოზს მისვამენ, მატყუებენ“.

რომ ისევ დილის გათეთრებით,
მზე დაეცემა სახურავებს.
ჩვენი გაიხსნება კათედრები
და სხვა კათედრებს დახურავენ.

მაგრამ, წიგნების გარეკანი
ცუდად მენიშნა ამასწინათ.
იმ წიგნებს აღარ გავეკარე,
მერე მესამედ დამაწვინეს.

ნეტავ, ცოცხალი გყავდეს დედა,
სულ შენი იყოს „წერო“, „ქუჯი“...
ლაღიძის წყლებთან მიცდიდე და
შენთან მოვრბოდე ლადოს ქუჩით.

ნეტავ, თაროზე შემოდებით,
ორივე ვიყოთ რეფრენამდე,
ჩანთებითა და ჩემოდნებით
ცივი ქვეყნებისკენ მივფრინავდეთ.

III

ესმის ავსტრალიურ ლივისტონებს
ფლამინგოების ღაღადი
და შენ, ჯონათან ლივინგსტონი,
სიზმარი თეთრი და ქაღალდის,

დაფრინავ, თითქოს ალუბლები
დაგეპნა ქარაფთან მერნისა,
ყოველ მეორეს ეუბნები –
ნახვამდის, შევხვდებით მერმისად.

და შენ, ყველაზე თბილს და ლამაზს,
გხიბლავენ ჩვევები მეფური,
შენთვის აცხობდა შაქარლამებს
სევილიელი მეპურე.

ჯეინ ოსტინი – იდეალი,
გიხდება ჰაერი ურეკის,
სახლის ნომერზე ვუდი ალენს
შობის მისალოცად ურეკავ.

ივ სენ-ლორანმა შემოგგქარგა,
ან იქნებ ჟან პოლ გოტიემ,
მაგრამ, იცოდე, ჩემო კარგო,
მეც არ ვარ, ასე ვთქვათ, ოტია.

თუმცა, კარგად ვიცი ასტრის ფასიც,
და მეც ძაღლივით ვიცრები.
მეც არ ვარ, ასე ვთქვათ, დასწრებაზე,
თუ იქნა მიწა და ფიცრები.

როგორც მაისზე ენაგეთი,
ყვავიან გულისთვის არაფრის,
ჩემი ნივთები ხელნაკეთი,
ჩემი მიუვალი ქარაფნი.

სადაც ფასკუნჯები არიანო,
სადაც ოქროს ფული იჭრება.
მოვა ელენე დარიანი,
მერე თვითმფრინავის ბიჭები.

დავსხდეთ, მოვწიოთ თითო ღერი,
ფიქრებით გადავწვდეთ ქურაბაღს,
ფიქრებს დაგვიშლის ვინ ოხერი?!
ჩაისთან მარწყვის მურაბას.

და რომ გაფრინდები, იმისთანა –
ქარებით მოსული მაღალ მთის,
გეტყვი: ნახვამდის, ლივინგსტონო!
სიზმარო, თეთრო და ქაღალდის.

წერილები ნაქირავები ბინიდან

1
ჩვენ ავირჩიეთ ნათელი
და ბრალად გვედება:
ხმამაღლა სიმღერა, გამეტებით კამათი,
თავხედურად დაგვიანება –
არადა, პირველები მივედით სამძიმარზე,
იქ, სადაც ჭირისუფლებს მკვდარი ცოცხალი ეგონათ,
რადგან შეექცეოდა ღორის ხორცს,
რადგან იჯდა სუფრისთავში და კბილებს იჩიჩქნიდა.
შეხედეთ! შეხედეთ, როგორ ჭამს მკვდარი ცოცხალს!
– ვამბობდით ჩვენ.
ღვინო წყლად ვუქციეთ და წამოვედით.

2
გაყავდა მატარებლებს ქალაქიდან სკოლის ბავშვები,
კომედიანტები და ჯამბაზები,
გაყავდა მატარებლებს
და იკარგებოდა გვირაბებში მატარებლები,
სანამ არ დავრჩით მხოლოდ ჩვენ.
შენ ღვეზელს აცხობდი, ბიჭები კონიაკს სვამდნენ
და ისე არ გვინდოდა დაშლა,
და ისე გვინდოდა დარჩენა
მარადიულ ახალგაზრდობაში,
მაგრამ, ერთი ღამეც კი ილეოდა,
პეშვში დაგუბებული წყალივით.

3
ჩვენ ვიქირავეთ სახლი აეროპორტთან,
ვიწრო საძინებლით, პატარა აივნით,
ხელოვნური ყვავილებით.
ჩვენ არ გვაქვს ცხელი წყალი და ტელევიზორი,
მაგრამ, ყოველთვის, როცა ლექსებს მიკითხავ,
თვითმფრინავი გადაგვიფრენს ხოლმე
და ცაში გაფრენილი ლექსებით ივსება მისი შავი ყუთი.

– ეს ლექსი დედაზეა, ესეც –
ამბობ შენ და თითქოს გინდა ხმა მიაწვდინო,
ხმა გააგონო.
მაგრამ შენი ხმა იკარგება, სადღაც, უსასრულო სიბნელეში,
ვარსკვლავებს შორის.

4
მაგიდასთან ჰაუსმანზე საუბრობენ.
იხსენებდნენ ელიოტის კატებს,
დერეკ ვოლკოტს თარგმნიან,
მე კი, გულიდან არ ამომდის:

დაგავიწყდე ამდენ ხანში,
ჩემს აწყობილს ვინ დაშლის?!
წყალში თეთრეული ვხარშე
და თუ ისპაანში ხარ შენ,
მეც წამოვალ ისპაანში,
იმ შორ ფერეიდანში...

მუშები აშენებენ ქარხნებს,
უფროსები აწარმოებენ საყოფაცხოვრებო ნივთებს
და გააქვთ პორტებში გადამზიდებს სხვისი ნივთები.
იმ პორტებიდან გაყავთ, წყალში მთვლემარე გემებს,
ყველა გულგრილია მათთვის,
ისინი სადღაც ბერდებიან უსიყვარულოდ,
სამშობლოსგან შორს.
მაგრამ ერთ ქარხანაში სათამაშოებს კერავენ,
სათამაშოებს დიდ სიყვარულს უქადნის ცხოვრება,
დიდ თავგადასავალს, საუკეთესო მეგობართან ერთად.
მე კი, ფანჯარასთან ვზივარ და გულიდან არ ამომდის:

დაგავიწყდე ამდენ ხანში,
ჩემს აწყობილს ვინ დაშლის?!
წყალში თეთრეული ვხარშე
და თუ ისპაანში ხარ შენ,
მეც წამოვალ ისპაანში,
იმ შორ ფერეიდანში...

ეს მიწა ბაბილონის მიწაა, აქ ააშენებენ გოდოლს,
აქ მოაგროვებენ ქვებს
და დამთავრდება ჟამი ქვების შეგროვებისა.
აქ დაიწყება სროლა, როგორც 92-ში,
ისევ მიგვიხურავენ მანქანის კარებს ჩვენი მამები
და სამუდამოდ დარჩებიან ქვების სროლაში.
მაგრამ, თუ თესლებივით მიმოფანტეს გარშემო ქვები,
ცათამბრჯენები გაიზრდება, სადაც ვიცხოვრებთ.
მაგრამ, ჯერ მხოლოდ შეგროვების ჟამი დამთავრდა
და მე გულიდან არ ამომდის:

დაგავიწყდე ამდენ ხანში,
ჩემს აწყობილს ვინ დაშლის?!
წყალში თეთრეული ვხარშე
და თუ ისპაანში ხარ შენ,
მეც წამოვალ ისპაანში,
იმ შორ ფერეიდანში...

არსად ეჩქარება ფსიქიატრიულის პაციენტს.
მხოლოდ ფსიქიატრიულის პაციენტს არ ეჩქარება არსად.
მათ უყვართ სუფთა ჰაერი, ხელსაქმე და სხვისი სიგარეტი.
როცა დადიან, საკუთარი ჩრდილებივით, კორიდორებში,
მათ გულებში ყვავიან ოცნებები,
რომლებიც არასდროს გახდება აუხდენელი
და მათთვის სულაც არ არის სულერთი სამშობლოს ბედი.
მეც მისი ბედი უნდა მაღელვებდეს,
მაგრამ წყეული გულიდან არ ამომდის:

დაგავიწყდე ამდენ ხანში,
ჩემს აწყობილს ვინ დაშლის?!
წყალში თეთრეული ვხარშე
და თუ ისპაანში ხარ შენ,
მეც წამოვალ ისპაანში,
იმ შორ ფერეიდანში.

მზე ლაზეთის აქაც ქრება,
ზიდე მანამ კოვზით მთა,
შემოასხი ლაქაფს ფრთები,
ზღვა თურქეთის აქაფდება,
იქროლებენ მარქაფები,
იმ შორ მანაჰოზიმთან.

მაგიდასთან აღარ გეჯდე,
არ გამექცეს ნახარში.
არა ყამჩით, არა ბეჭდით,
მაინც თუ ხარ არაბეთში –
მეც წამოვალ არაბეთში,
იმ შორეულ დაჰრანში.

გაზაფხულის ხურუში, ხან
დეკემბერი, ზამთარი,
დარჩა ერთი ქურუშიღა,
დავუყარე ურუში ხარს,

აწი, თუკი ურუქში ხარ,
მეც წამოვალ, ნამთარო.

შესულია მთვარე ხანში,
მონადირეს მიზანში,
სხვა ვინ დაგიდგება მხარში
და თუ ისპაანში ხარ შენ,
მეც წამოვალ ისპაანში,
იმ შორ ფერეიდანში.

დაღესტნის წყალს გადალახავ,
იმ წყალს სვამენ ვერძები,
კიდევ რამდენ ხარდას ნახავ,
არ გასვენებს გული რახან,
მაგრამ, თუკი არსად არ ხარ,
არსად უნდა გეძებო!

როგორც ბავშვმა, ჰავარ ჰუნთა
ბრძოლის ველზე მომმართა,
ხელში დასადნობად უნდა,
დატკეპნილი თოვლის გუნდა,
მაგრამ არ შორდება გუნდი –
გუნდი, გუნდი ყორანთა.

შენ კი, იახსარის ხარო,
შენს ჯანს დიდხანს უვლიდა,
ჩალით ავსებული ხარო,
მაგრამ დასაკლავი ხარო,
შენი განწირული ხმა რომ
ამოვიდეს გულიდან:

დაგავიწყდე ამდენ ხანში,
ჩემს აწყობილს ვინ დაშლის?!
წყალში თეთრეული ვხარშე
და თუ ისპაანში ხარ შენ,
მეც წამოვალ ისპაანში,
იმ შორ ფერეიდანში.



ROBERT MESKHI

* * *

მატარებელში გამახსენდა,
წარა-მარა იღებოდა ვაგონის კარი,
რომელთანაც ძალიან ახლოს ვიჯექი და გამახსენდა:
თექვსმეტი წელი იმუშავა დედამ „გაზის აპარატურაში“
(ასე ერქვა სოხუმის ახალ რაიონში საკავშირო მნიშვნელობის ქარხანას)
და ვიდრე ომი დაიწყებოდა,
უფრო ზუსტად,
ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე
მიიღო ერთოთახიანი ბინა იმავე ახალ რაიონში.
უხაროდა დედას –
რკინის კარი შეჰკიდა,
გეგმა შეადგენინა,
წინასწარ განსაზღვრა, სად რას დადგამდა,
აივანს როგორ გადატიხრავდა,
რა ფერის საღებავით შეღებავდა...
სულ მალე ომმა გადაღება ქალაქი,
ზღვა და ადამიანები გადაღება ომმა.
მოვიდა ერთ დღესაც დედა და ასე თქვა,
რკინის კარი წაუღიაო ვიღაცას...
ჯანდაბას რკინის კარიო, დასძინა და შევნიშნე მაშინ,
რომ დედაც შეეღება ომს,
ვერცხლისფრად შეეღება, ჩალისფრად...
და მატარებელში რომ ჩავჯექი ახლა,
სადაც წარა-მარა იღებოდა ვაგონის კარი,
გამახსენდა იქ,
რომ ამ საზღვაო ქალაქის ამ უბანსაც ახალი რაიონი ჰქვია,
აქ არ ამზადებენ გაზის წითელ ბალონებს,
არც გაზის მანქანებით დაატარებენ,
არც შენ ჩამოხვალ ამ ქალაქში არასოდეს,

მაგრამ ამ ქალაქში გვექნება კარი,
რომელსაც ომი არ წაიღებს,
რომელიც გაიღება ნიჟარებიანი საათისკენ,
წვიმიანი აივნისკენ,
გადამფრენი წეროებისკენ და
ერთადერთი თვალით დააკვდება ჰორიზონტს
მაგნიტური ქარების ქოშინში...

დევნილის რეკვიემი

სახურავი უმაღლესი ნიშნულია,
საიდანაც ზღვაში გადახტომას შეძლებ.
მოთელვისთვის კორპუსის კიბეები გამოდგება –
კიდურებიც უნდა შეხურდეს,
წელიც და კისერიც.
არანაირი დაღლა!
დადგები მორღვეულ კიდესთან და შეეცდები ფეხის თითებით მოეჭიდო,
სხეულის მასა ცერებისკენ გადაგაქვს მაქსიმალური წინგდებისთვის,
ფრენისას მუხლებს მოხრი და ხელებით დაიცავ წონასწორობას.
გაიხსენე, როგორ ხტებოდი ნამდვილ ზღვაში
ნამდვილი ზვირთსაჭრელიდან
დიდი ხნის წინ,
სერიოზული ტრავმების გარეშე,
აკროფობიის გარეშე...
ახლაც თავისუფლად შეძლებ!
რა ხანია დააწყნარე წყალი,
წყალზე სიარულიც იცი,
ფეხიც აგიდგამს ზედ...
და კოშკურაზე, რომელზეც გაჩნდი, სიზმრებიდან ამოგდია ქალაქმა,
ქოშინით ამოგდიეს კაცებმა, ქალებმა, ძაღლებმა, ვალებმა...
ვერავინ დაგეწია,
ხმაც ვერ დაგაწიეს ვერაფრით!..
„ქართლის“ სახურავიდან შეუძლებელია შავ ზღვაში ჩახტომა,
თვით იმ ხელოვნურ ზღვაშიც,
შორიახლო რომ წევს და
ვითომ გაგიშინაურდა.
აქედან შეიძლება მეწამულ ზღვაში ჩახტე –
საკუთარი სისხლის გუბეში
და საკუთარი მზისკენ გაცურო,
რომელიც მხოლოდ ერთხელ ამოდის და
არასოდეს ჩადის...

ყვავილის მტვერი

ასე მხოლოდ შენ შეგიძლია, –
შუა ზამთარში
ცხრა მთის მიღმიდან
გამომიგზავნო ყვავილის მტვერი.
სიზმრებში წყალი ჩამიდგა და ვერაფერს ვშველი.
მახსენებ, რომ ცეცხლი მჭირდება,
რომ ლექსში ყველა სიტყვა უნდა ჩატკბეს, ჩაშაქრდეს
ცაცხვის თაფლივით –
(მე ხომ ახლახან სიყვარული დავასაფლავე).
და თუმცა შავი არ მაცვია,
ვცდილობ უფსკრულში არ გადავყვე რძისფერ ალიონს,
არ დავზაფრო გზა და მეგზური.
განა არ ვიცი,
ყვავილის მტვერი გულის კოვზით უნდა დალიო,
ან მზის მენზურით,
მაგრამ ესენიც მტვრად ვაქციე!
ექიმი თუ არ გაუწყრება სულელ პაციენტს,
არის კიდევ ერთი მეთოდი –
ქარს გაატანოს...
ხელისგულზე სულის შებერვით,
მე ბაქანზე დავუხვდებოდი!..

* * *

ერთადერთი მეგობარი მყავს.
ყოველთვის იქ ზის, სადაც საკრალური მუსიკა ისმის,
მშვიდი ვალსი იქნება თუ სვანური ზარი,
ხმას არ აუწევს.
იცის –
ჭრილებიდან გადმოღვრილ სითხეს ჭრილობიდან გადმოღვრილი სჯობს.
თოვლში დარჩენილ საფლავსაც ისე ეტყობა ჯვრად დაქცეული წითელი ღვინო,
ვითომ ქართული ბაირაღი წააფარე.
დგახარ და ფიქრობ:
სულ არ გჭირდება ანტიფრიზი,
თბილა სალონში
და ბარდნის.

ზღვაზე ნაპოვნი ლექსი

შენ გგავდა, ალბათ, კიპრიადა,
დოლა იგივე –
ასე მაცდური.
მაშრობ უდაბნოს ხორშაკივით,
განა მარწყულებ!..
ჰო, კითერაზე რომ გვეცხოვრა,
ანდა ათენში,
მე ვიქნებოდი შენი ძმაც და
პირისფარეშიც,
შენი ერთგული მეგობარიც და საყვარელიც...
და როცა ზეცას მოსწყდებოდა ბოლო არილი,
ჩვენ – ბრძოლის მერე –
ამბროზიის ნექტრით მთვრალები,
გადავცურავდით სელენასთან ერთად ლაგუნას...
მაგრამ მოხუცმა მოირებმა ესღა გვარგუნეს –
მე და შენ უნდა ვუერთგულოთ
კირკეს აიას
და უნდა ვმალოთ სიყვარული
ოქროს ვერძივით.

* * *

„აფხაზეთის ომის გმირის ვაჟა თოდუას საფლავი გაძარცვეს...“
გაზეთი „ჰო და არა“ (27.01.2022)

ადგა ვაჟა თოდუა და
ამ შუა ზამთარში,
ნინოობა დღეს
ხელახლა წავიდა ომში.
დასრულდაო, უჩიოდნენ გარშემომყოფნი, მარა ტყვილი.
ამ უპატრონო და უსამართლო ქვეყანაში ომს რა დაასრულებს?!

ჩანს ახლა ორ ბაირაღს შორის ეთერი და არც ჩანს...

ვფიქრობ:
ფერადი ლითონი რომ ხარ,
კვარცხლბეკზე ყოფნას ვინ გაცლის?
უსათუოდ გადაგცვლიან მონეტებში,
ოცდაათში თუ არა,

ოცში მაინც,
ან ოცდაორში,
რა ასაკშიც ევნე.
იმ აფთრებს სისხლი სწყუროდათ, ამ აფთარს – შია.
ძუძუმწოვრის ჯიში!

მერე კიდევ,
იორდანეს წყალს გადაივლებ თუ სუფსისას,
რა აზრი აქვს? –
მთავარია, ხელი გქონდეს სუფთა.

* * *

დღეს ცის კიდესთან მიკრულ გემებს დიდხანს ვუყურე,
მობრუნებულზე ერთ მშვენიერ კოშკში შევედი,
გადავეყარე დიოსკურებს, ფრთიან ურჩხულებს
და ტიმ სევერინს.
ვფურცლე და ვფურცლე კავკასიის ვრცელი ატლასი,
შევწვდი იალბუზს, არარატსაც ანუ აღრიდაღს.
ოქროს მთები მაქვს ძველ კოლხეთში, სადაც ახლა ვზი, –
შენღა მაკლიხარ!..

ალუზია

შენ ხომ ასეთი უსაზღვრო ხარ, დაუსაბამო,
სამაგიეროდ,
მე ხილული თუ უხილავი საზღვრებით მოვრთე
მიწა, წყალი, ცა და ღრუბლები.
რისი უფლება?! – იატაკიც დაგინაწილე...
(ეს კვადრატია? – „მძიმე ჯვარი“. ნერსე ბაწაში.)
და თორმეტი წლის მოზარდივით ვდგავარ ტაძარში.

ჩანახატი

თეთრი ლექსების წერად დაჯდა დღეს თებერვალი,
წერს და გვაკითხებს, –
დარჩენია კიდევ ათი დღე...
შავი ლაქების წასაშლელად შენ ნუ დაშვრები,
თებერვალს ზოგჯერ ფანქრით გააქვს ველზე
შაშვები.

* * *

მარიუპოლში
ამ გაზაფხულზე ხეები რომ გაიღვიძებენ,
რას იფიქრებენ?
ვის შესჩივლებენ, რომ ქალაქი სადღაც წავიდა?..
რომ ბავშვები სადღაც წავიდნენ?..
რომ მებაღემ (ყველა მებაღემ)
ყველა ვედროში
კირის ნაცვლად კუპრი ჩაასხა,
ძირები კი არ შემობარა –
ნასახლარებთან წამოზიდა მიწის ბორცვები...
მარიუპოლში
ამ გაზაფხულზე ხეები რომ გაიღვიძებენ,
რას იფიქრებენ?

MADE IN GEORGIA

როცა
ყინულოვანი ოკეანის კონტინენტური შელფიდან
კავკასიონის ცადაწვდილ მწვერვალებამდე
გაშხლართული მონსტრი
მარჯვენა თეძოზე გადაბრუნდება
და რკინის პრეზერვატივს წამოიცვამს,
ბებერი ევროპაც გაიღვიძებს,
შიშისგან ღვარცოფივით თვიურს აიტეხავს
და რამდენიმე ტკივილგამაყუჩებელს დალევს,
წარწერით –
“Made in Georgia”.
მიუხედავად სიბერისა, ევროპა კარგად ხედავს,
ხედავს სარკოფაგებად ქცეულ ადამიანებს,
რომლებიც დაქანცული სხეულების ჭრიალით
დანაღმულ ხიდებზე გადადიან,
გრძნობს ცეცხლმოკიდებული ტყე-პარკების სუნს,
მაგრამ არ იცის საითკენ დაუბერავს ქარი,
უსმენს თავისუფლების სადიდებელს:
„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა“,
მაგრამ ვერ ხვდება რა ენაზე მღერიან...
აქ კი მერამდენე აგვისტოა იბრძვიან,

ტირიან, გლოვობენ და იბრძვიან,
შიათ, სწყურიათ და იბრძვიან,
მღერიან, ცეკვავენ და იბრძვიან,
ლოცვად დგანან და იბრძვიან
ათასგვარი ომის მოსაგებად
ჯავშანმანქანების წინააღმდეგ,
ავიაგამანადგურებლების წინააღმდეგ,
საზღვაო კატარღების წინააღმდეგ,
ჭორფლიანი ჰაკერების წინააღმდეგ...
ევროპას უსაშველო თვიური ტანჯავს,
ხმელთაშუა ზღვას მონდომებით ღებავს,
წითელს აჯიბრებს...
წითელი აქტუალური ფერია.
რკინის მანქანებზე შემომსხდარ ჯარისკაცებს
წითელი თვალები აქვთ,
აფთრებივით,
წითელი ცხვირები უხურთ,
წითური თმიდან თანაბრად ეღვრებათ
ოფლი და სპირტი.
ქონდრისკაცი მეფეების ბრძანებას ასრულებენ ჯარისკაცები –
მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავენ,
სოფლებს და ქალაქებს ანგრევენ,
დაცულ ტერიტორიებს წვავენ...
და მიაქვთ:
ფეხსაცმელები და საცვლები,
სარეცხი ფხვნილები და საპნები,
ჩეჩმიდან მოხსნილი უნიტაზები...
წარწერით –
“Made in Georgia”.
ცივ მეგაპოლისში ცხოვრობენ ქონდრისკაცი მეფეები,
ორთავიან არწივებს აჭყავლებენ,
ნავთობსადენის მილებით ასმევენ
დამდნარ პლატინას და ოქროს...
და მაინც სხვისი მთა-ბარი ეხარბებათ,
სხვისი მდინარე ედარდებათ,
სხვისი ცარგვალი ელანდებათ
წარწერით –
“Made in Georgia”.
აქ კი მერამდენე საუკუნეა იბრძვიან,
ტირიან, გლოვობენ და იბრძვიან,
შიათ, სწყურიათ და იბრძვიან,

მღერიან, ცეკვავენ და იბრძვიან,
ლოცვად დგანან და იბრძვიან,
რათა მრავალჟამიერ გაისმოდეს
თავისუფლების სადიდებელი
იმ ენაზე,
რომელიც ევროპელებს არ ესმით და
და რომელსაც
სახარებასა შინა ლ ა ზ ა რ ე ჰრქვიან!

არიმათიელ

ვინ მოგცა გვამი, იოსებო, არიმათიელ,
ნუთუ პილატემ?!
წინ სახიფათო აღმართია,
საით მიათრევ?

ფეხდაფეხ მხოლოდ დედაკაცთა გუნდი მოგყვება,
სძლიეს ამაყთა, –
ქედდადრეკილნი, მწუხარენი დგანან სამარხთან...

შინ საქმე ელის თითოეულს – ნელსაცხებელი,
ხვალ შაბათია,
შაბათს უკვე ვეღარ შეძლებენ.

საბჭოდ რომ დასხდნენ მავანნი და ღამე ათიეს,
არ იმათი ხარ,
იოსებო,
არიმათიელ!

კოროკია

სად არის შენი კოროკია? – მწველი მზის ხანძარს
ვერ გაუძლო, შეეწირა ივლისს, ბუღიანს,
გახმა, ხმაც არ
ამოუღია.

ქუჩაში დენის გადრეკილი მავთული კინძავს
ხან მერცხლებს და ხანაც ბეღურებს.
მე ვდგავარ – მიწა –
და ცარიელ ქოთანს შევყურებ...

* * *

გათენდა,
ფეხით მივუყვები ვია კასიას
და ყველაზე იაფფასიან
თუთუნს ვეწევი, –
დღეს აქა ვარ, უფლის შეწევნით.
პინიას თავზე დაწრიალებს ერთი თოლია
და ვატყობ –
რომშიც უშენობა ჩამომყოლია...

* * *

არავინაა ჩამომხევი,
მაგრამ წლის ბოლოს მაინც ვყიდულობ კედლის კალენდარს
და ბებიას ოთახში შემაქვს.

ამასობაში სეფიეთში
ცადაწვდილ ჭადარს
ბოლო ფურცლებს აცლის ქარცივი...

ზამთრისპირული

ზამთარი მოდის ჯიქურ, მიშა ხერგიანივით,
ლიხი ჩახერგა, –
რკინის ცხენებით დავედევნე მე შენს ნატერფალს.
შემოდგომასთან გარდუვალი ელის დუელი,
ეძებს სეკუნდანტს,
ტყის კენწეროსთან ნატყვიარი შუბლი უელავს,
ქარსაც ეგ უნდა –
წიფის გვირაბს თავს არ ანებებს...
და ძირულასთან
ყრია ნოემბრის გალუმპული ხელთათმანები.



ჭოღა ჯაში

უსათაურო ჩანაწერები სოციალური ქსელისთვის

* * *

ერთი ქალაქელი კაცი იყო, მუსიკალურ სასწავლებელთან „ბირჟაობდა“, „კრივოის“ ვეძახდით, მე 20-ის, ის 30 წლის იქნებოდა, თევზსაჭერ სეინერზე ვმუშაობდით. მაშინ ზღვაში ოხრად იყო თევზი და 3-4 წლის გეგმაც წინასწარ გვქონდა შესრულებული. შტორმიან ამინდში ზღვაში არ გვიშვებდნენ და ერთმანეთის დანახვისას, თუ მოვასწრებდი, „შტარმავოია!“ – შორიდან დავუძახებდი, ან ის დამასწრებდა და მომაძახებდა – „შტარმავოია!“ ეს იმას ნიშნავდა, რომ იქვე, საშას დუქანში – „პიტაჩოკში“ (ახლანდელ საბაგიროსთან) გადავიდოდით, რომელიც საუკეთესო იყო იმდროინდელ ბათუმში და კერძების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ სეინერზე კარგად გვიხდიდნენ, მაინც ქეიფი გვერჩივნა. შემდგომში, ეს სიტყვა დარჩა მთელი ცხოვრება ეპიზოდური ურთიერთობების გამოხატვის ფორმად – „გამარჯობის“ მაგიერ. სადაც არ უნდა შევხვედრილიყავით: ქუჩაში, სტადიონზე, ქორწილში, – „შტარმავოია?“ გავძახებდით ერთმანეთს, და მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცოდით ამ სიტყვის მნიშვნელობა, რადგანაც პატარა ზეიმი, სიხარული, „მოგონებები გარდასულ დღეთა“ და ხალისიანი სიზარმაცე იგულისხმებოდა. ერთხელ, თვითფრინავში მჯდომს, უკანა სალონიდან მომესმა – „შტარმავოია?“ – მივიხედე და „კრივოი“ იყო...

საერთოდ, ცხოვრება ისეა მოწყობილი, ადამიანს 2-3-ჯერ შეხვდები, უკან მოიხედავ და ზამთარი კარზეა მომდგარი.

* * *

ეს ამბავი იმ დროს იყო, როცა ბათუმში „მორვაგზალი“ მორვაგზალობდა, განთქმული აჭარული ხაჭაპურით, ჩელენტანოს რეპერტუარით და ლამაზ კოხტა ბარში ბარმენი ლერი მუშაობდა.

მთელი „ბერეგი“ იცნობდა ძუკიას: ძველი მეზღვაური, პატარა ბუქსირის კაპიტანი, სულ მეზღვაურის ფორმით და საგულდაგულოდ შეკერილი კაპიტნის ქუდით, წელში გამართული, 60 წელს მიღწეული ხშირად სტუმრობდა ლერიას ბარს. უყვარდა ღვინო, არაყი, როგორც იტყვიან – დუდუკი, ქალები. მაშინ მორვაგზალში საუკეთესო სამგზავრო ლაინერები შემოდიოდნენ. ძუკიასაც „მოეხსნა“ რუსის ქალი გემიდან და ლერიას ბარში დაეპატიჟებია. უკვე კარგად შეზარხოშებული, ენას ძლივს რომ ატრიალებდა, მიადგა ბარის დახლს და ეუბნება.

– ბონი მინდა მე.

– რა გინდა? ვერ გაიგო ლერიმ.

– ბონი მინდა მე.

ბონი იმხანად მეზღვაურებისთვის განკუთვნილი ვალუტა იყო, რითაც სპეციალურ მაღაზიებში ჩიტის რძესაც იშოვიდი.

– წადი, ძუკი, ბონი არ მაქვს, მთვრალი ხარ და შეირგე სასმელი, – უთხრა ლერიმ.

ძუკიამ ამჯერად დახლზე დაარტყა ხელი და დაუყვირა:

– ბონი მინდა მე! – თან ისე მოიქნია ხელი, დახლიდან ჭიქები გადმოყარა და დაიმსხვრა. ლერიმაც არ მოუთმინა და ატყდა ჩხუბი, გაშველება, გინება, ჭურჭლის მტვრევა. ბოლოს ნაცნობებმა ძუკია ბარიდან გაიყვანეს და სახლში წაიყვანეს.

მეორე დღეს „ბერეგის“ ბიჭებმა მათ შესარიგებლად დიდი შეკრება, საქმის გარჩევა მოაწყვეს ბარში. როგორც გაირკვა, თურმე ძუკიას ცეკვა უნდოდა რუსს ქალბატონთან და ლერის ჯგუფ „ბონიემის“ სიმღერის ჩართვას სთხოვდა...

არა, ძველი დროის არა, ეს უფრო ახალგაზრდობის ნოსტალგიაა, გამოუსწორებელი რომანტიკოსი რომ ხარ...

ხანდახან, როცა წავაწყდები ამ ჯგუფს, ეს ამბავი მახსენდება...

ისიც, დიდი ლაინერები რომ შემოდიოდნენ თითქმის ყოველდღე და ბათუმი, სხვანაირად, განსხვავებულად ბათუმობდა რატომღაც...

* * *

ყურმოკრული ვერსია ბევრი იყო და ერთ-ერთი, ჯარში მომხდარ ინციდენტს ეხება. სასწავლო საწვრთნელო ბრძოლების დროს, მისი ტანკი ნაღმზე აფეთქებულა და აქედან იღებს ეს ისტორია სათავეს. ქალაქში გამოჩნდა ჯანღონით სავსე, ლოყებღაჟღაჟა, წითური მამაკაცი, წელგამართული, თავაწეული, ოდნავ კოპებშეკრული, აუჩქარებლად, დინჯი ნაბიჯებით რომ მოაპობდა ქუჩას. გზაჯვარედინზე შეჩერდებოდა, მიმოავლებდა გარემოს და დიდხანს ცას გაუსწორებდა მზერას, თითქოს ვიღაცის მოლოდინში იყო მუდამ. სად არ ნახავდით, ბაზრის მიდამოებში თუ ბულვარის ტერიტორიაზე, სანაპიროზე, რკინიგზის სადგურში თუ კინოთეატრებთან. ვინმე თუ გამოელაპარაკებოდა, თეატრალური, კომიკური ნიღბის ღიმილით უპასუხებდა. ერთხელაც, ქალაქის თავს, რომელიღაც ობიექტის დათვალიერების დროს, იქვე მყოფისთვის მიუმართავს – ვინ არის აქ უფროსიო? პასუხი ვერ მიუღია და განმეორებით, მკაცრად უყვირია, – მე შენ გეკითხები, ვინ არის აქ უფროსიო? და... – წადი, შე ჩათლახო, წადი, ჩათლახო! – უპასუხია ლოყებღაჟღაჟას. მერე იყო და დიდ მანქანებს, ნახმარ საბურავებს გამოაბამდა და თვითონ მისდევდა უკან. ხანდახან, ავტობუსში მგზავრობისას დაიყვირებდა – ნუ აკაკუნებთ! იქვე, მგზავრს შიშისგან გული გადაუქანდებოდა. დროდადრო დაიკარგებოდა, მერე ისევ გამოჩნდებოდა, ჯერ ბავშვები დასდევდნენ უკან „ბრინჯო, ბრინჯოს“ ძახილით, შემდეგ მთელი ბათუმი – „ბრინჯო, ბრინჯოო“, – უძახოდა... ისიც შეშლილი თვალებით ამოხედავდა, იგინებოდა. ბოლოს მისი გამოჩენა ზეიმად იქცა, ხალხი მიატოვებდა საქმეს და ბრინჯოს სანახავად გარბოდა. მანქანები შუა ქუჩაში ჩერდებოდნენ გამბული საყვირით. – ბრინჯო, ბრინჯო! – დიდიან-პატარიანად აბრაზებდა. ბოლოს შეეჩვია, თითქოს არც ისე სწყინდა. ერთ დღესაც კაბით გამოჩნდა, ჭრელი, დიდი, ფაშფაშა კაბით. დადიოდა და მღეროდა, მანამ განკუთვნილი, ფსიქიატრიულში დაბრუნების დრო არ მოუვიდოდა...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბრინჯო... გიჟი იყო, სულელი კი არა! ჭადრაკსაც თამაშობდა ზოგჯერ და იმასაც ხვდებოდა, ვინ აკაკუნებდა იქ...

* * *

ჩეჩე ჩვენს ეზოში ცხოვრობდა. ბავშვობაში ერთად ვთამაშობდით. ჩემზე ორი-სამი წლით უმცროსი იქნებოდა. დიდი თავი ჰქონდა და ერთმა მეზობელმა, იმხანად სახლმმართველობის უფროსმა, შეარქვა ეს სახელი და მის მერე ყველა ჩეჩეს ეძახოდა. მეტყველების უნარი დაქვეითებული ჰქონდა, რის გამოც სკოლასაც დაანება თავი. მშობლებს არაფერი დაუკლიათ მისთვის: მასწავლებლები, ექიმი, ფსიქიატრი, განსაკუთრებით მაშინ, როცა სახლმმართველს შორიდან

გაარტყა ქვა თავში და, იმანაც დაიჭირა ბავშვი, ის, ის იყო, უნდა გაეროზგა, ბიჭები მივვარდით და ხელიდან გამოვტაცეთ. „ჩე-ჩე-ჩე“, – იძახოდა გზაში. სახლმმართველი სახლში მისულა, დედამისი დახვედრია მარტო, მამა თბილისი-ბათუმის მატარებელზე გამცილებელი, ე. წ. „პრავადნიკი“ იყო და არ დახვედრია სახლში. სად არის შენი შვილი ჩეჩეო? – უკითხავს დედამისისთვის... აქედან წამოსულა ამ სახელის ნათლობა. ნუგზარი რომ დაგეძახა, არ მოიხედავდა, „ჩეჩეზე“ ჰქონდა რეაქცია. ჯანღონიანი ბიჭი იყო, ზღვაზე ერთად დავდიოდით. კეთილი იყო, მამამისი მორიგეობიდან რომ დაბრუნდებოდა, მოპარავდა ფულს და ხშირად გვიმასპინძლდებოდა ლიმონათებით თუ პონჩიკებით. მთელი ეზოს ბიჭები კინოშიც დავუპატიჟებივართ არაერთხელ. დილაობით მარტო დადიოდა ზღვაზე, დარი იყო თუ ავდარი, გაეპარებოდა მშობლებს, მერე ეძებდნენ ყველგან, მთელ სანაპიროზე. ერთი და ჰყავდა, მასზე უფროსი, ჩემი კლასელი, სულ დასდევდა ძმას და ეძებდა. გამოჩნდებოდა ეზოში, – სად იყავი, ბიჭო, რომ გაგვიხეთქე გულიო, რომ ეტყოდნენ, ის – „ჩე-ჩე-ჩე“, პასუხობდა. ერთხელაც მილიციელმა მოიყვანა ეზოში და იკითხა – ეს ბიჭი სად ცხოვრობსო? დედამისს გამოუხედია მეორე სართულიდან და ეს ამბავი რომ დაუნახავს, – შენ მოუკვდი დედაშენსო, უკივლია, რა მიქენი ესო, წივილ-კივილით ჩამოსულა ეზოში, ძლივს დაუწყნარებია მილიციელს, – დაწყნარდით, ქალბატონო, პირიქით, კარგი ბიჭია, ზღვაში დახრჩობას გოგო გადაარჩინაო... ცოტა რომ დაწყნარდა, დედამ მაინც გააგრძელა, – შენ მოუკვდი დედაშენსო, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა, მეზობლებს და – არ გამიხეთქა გული ამ ბიჭმა ყოველდღეო...

ეზოში ყველას გვიყვარდა და ამ ამბის შემდეგ ბიჭებმა უფრო კარგი თვალით შევხედეთ. თვით სახლმმართველიც თბილად ხვდებოდა – დახრჩობას გადარჩენილი გოგო მისი ძმისშვილი აღმოჩნდა და იმისმა მშობლებმა ველოსიპედი „ორლიონოკი“ აჩუქეს. სახლმმართველიც შეესწრო ჩუქების პროცესს.

მოგვიანებით, ჩეჩეს ოჯახი ქუთაისში გადავიდა. „პრავადნიკი“ მამა წყალტუბო-მოსკოვის მატარებელზე გადაიყვანეს სამუშაოდ. ველოსიპედი ბიჭებს დაგვიტოვა, არაფრის დიდებით არ წაიღო, მიუხედავად დედამისის დაჟინებული მოთხოვნისა.

სულ ცოტა ხანში, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნაზე უარესი ამბავი მოვიდა: ჩეჩე ქუჩაში მანქანამ გაიტანაო...

პირველად მაშინ შევიგრძენი ადამიანის სიკვდილით გამოწვეული შიში.

იმ „ორლიონოკზე“ ვისწავლეთ მთელი ეზოს ბიჭებმა ველოსიპედის ტარება...

* * *

ლიონია, ელამი ბიჭი, ჩვენი სადარბაზოს დამლაგებლის შვილი იყო. ტყუპისცალი და ჰყავდა. დღესაც არ ვიცი, ვინ იყვნენ, რუსები თუ სხვა ეროვნების, გატეხილი ქართულით საუბრობდნენ.

ჩვენს უბანში პატარა ჯიხური იდგა, სადაც ენაბლუ ჯემალა სიროფიანი წყალსა და „პერაშკებს“ ჰყიდდა. ჯიხურს რომ ჩაუვლიდი და ეტყოდი, – გამარჯობა, ჯემალ! – უკვე კვარტლის ბოლოში გასულს დაგაწევდა – გგგ ააა მმმარ ჯჯჯ ოოო ბააა! იმხანად 8-10 წლისა ვიქნებოდით. მიხაროდა, თუ ვინმე გამგზავნიდა სიგარეტის საყიდლად. დიდ ეზოში ვცხოვრობდი და ეზოს პატარა ფარდულში მეზობლები თავს იყრიდნენ, კარტს, ნარდს თამაშობდნენ, უმეტესად ყველა თანამდებობის პირი იყო: ქარხნის დირექტორები, ქალაქში განთქმული ქირურგი, კბილის ექიმი. ბავშვებიდან მე მიშვებდნენ მარტო ფარდულში. ერთხელაც სიგარეტზე გამგზავნეს. ვხედავ, ჯიხურთან ლიონია დგას, კაპიკიანი ამოიღო, ალუმინის დახლზე მჭახედ დაარტყა და ეუბნება: „ორი პერაშკი და სიროფიანი წყალი!“ შემდეგ ელამი თვალებით ჩემკენ გამოიხედა, ისეთი კმაყოფილი ღიმილით, დიდ, უსაშველო ბედნიერებას რომ ელის კაცი და წინასწარ ემზადება შესახვედრად. ჯემალამ, როგორც იქნა, მოიცალა მისთვის, კაპიკიანი ხელში შეათამაშა

და მოიქნია შორს. ლიონია უცებ შეცბა, თვალი გააყოლა კაპიკიანს, ვერ დაინახა სად დავარდა, მზერა ჩემზე შეაჩერა. ადამიანი დიდ უბედურებას რომ შეესწრება, ზუსტად ისე შეეცვალა ბედნიერი სახე. თავჩაღუნული და გაუბედურებული წავიდა ფულის საძებნელად. ცოტა ხანი ვიდექი და ვუყურებდი ლიონიას, ისე ეძებდა კაპიკიანს, თითქოს ეგონა მთელ სამყაროს იყიდდა იმ ფულით. ბოლოს ჯემალა მომიბრუნდა და მკითხა, – აببბა ششენნ ررررا ززززنددا?

– ოთხი პერაშკი და ორი სიროფიანი წყალიმეთქი.

ოღონდ, ეს იყო, იმ დღეს მეორეჯერაც მომიწია ჯემალასთან მისვლა დაბარებული სიგარეტის საყიდლად.

* * *

ბავშვობიდან ვიცნობდი, მქონდა ბედნიერება.

ყოველდღე ვხედავდი, როგორ ჩამოივლიდა ჩვენს სახლთან. იქვე, სახლის წინ, მამაჩემი ჯდებოდა ხოლმე ჩვენი ეზოს დურგლის, რაფოს მიერ გაკეთებულ გრძელ ხის სკამზე. ჯერ როგორ მოდიოდა! წელში გამართული, სუფთად, ფაქიზად ჩაცმული, როგორც იმ დროებას შეეფერებოდა. ცალ ხელში წიგნები ეჭირა უმეტესად. „რუსებს მალე მოეხაზებათ, ეს ამერიკელებიც კარგ დოყლაპიობას იჩენენო“, – ეტყოდა მამაჩემი, მერე წინა დღით მოსმენილ „ამერიკის ხმას“ მიმოიხილავდნენ. ბატონი ლადო ყოველთვის დინჯად საუბრობდა. როცა წავიდოდა, მამაჩემი იტყოდა – აი, ვინ არის პატიოსანი კაციო...

სხვა მოგონებაც მაქვს, უფრო ადრინდელი: ჩვენი მეზობელი ანზორ ბაღათურია ფორტეპიანოზე კარგად უკრავდა, „გეპეის“ ჯაზის წევრი იყო. სრულიად ახალგაზრდა ბატონი ლადოც ხშირად მოდიოდა მასთან. მახსოვს, ანზორი როიალზე უკრავდა და ხელდახელ რაღაც მელოდია შექმნა, ლადომ რამდენიმე წუთში ლექსი შეუფარდა და ავმღერდით...

უფრო გვიან, კაფე „აჭარის“ ე. წ. აკადემიაში ლადო სეიდიშვილის და ორი-სამი კაცის გამო დავდიოდით. ის უფრო ჩუმად იჯდა ხოლმე, ვიდრე სხვები, მაგრამ მისი სიტყვა გადამწყვეტი იყო. ყველაფერს ასწრებდა – ხატვას, ლექსების წერას, ოჯახის რჩენას... შესანიშნავი ოჯახის, რომელთანაც ახლობლობა გვაკავშირებდა უფროსებსაც და უმცროსებსაც. ეს ყველაფერი, ბატონი ლადოს გულის სითბოდან წამოსული, მეგობრობა-მეზობლობაში გადადიოდა...

ლადო სეიდიშვილს – მსოფლიოში ცნობილ კაცს, საქართველოში ბევრი არ იცნობს. მისი სურათები ამერიკის მუზეუმებშია. როგორც პოეტზე, სონეტების დიდოსტატზე, პოეტები ოდესმე უფრო მეტს იტყვიან. ერთმა ისიც თქვა: ჩვენ დავუმალეთ საქართველოს ლადო სეიდიშვილიო...

ბოლოს თბილისში ვნახე, გაჩერებაზე იდგა. გაგვიხარდა... ორივე ვხვდებოდით, რომ არ იყო ისე საქმე წუთისოფელში, ჩვენ რომ გვეგონა წინათ...

ბათუმზე დაწერილი მისი ერთ-ერთი ლექსის სტრიქონია: „აქ შეიძლება ჩაგიაროს გვერდით ჰეგელმა...“

ჩემთვის ის იყო ბათუმის ჰეგელი.

ბატონი ლადო სეიდიშვილი – 90 წლის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

* * *

დედის დღეა. ბავშვობაში, დედა „ლახანკაში“ ჩემს დაბანას რომ მორჩებოდა, ჩანით სამჯერ გადამავლებდა თავზე წყალს და მეტყოდა: „დიდი ბიჭი გაიზარდე, ჭოლა!“ ახლაც ასე ვარ, შხაპის ქვეშ, სამჯერ ვიმეორებ – „დიდი ბიჭი გაიზარდე, ჭოლა“. მე რომ აწი გავიზრდები, ისე გაიზარდა ჩვენი ქვეყნის დამაწყევარი, მაგრამ...

დედას ვიხსენებ, და დედა სულ ჩემთანაა...

* * *

დიდ ეზოში გავიზარდე. სახლი, სადაც ბათუმში ვცხოვრობდი, სტალინური ეპოქის არქიტექტურულ ნიმუშს წარმოადგენდა და სამ ქუჩაზე გადიოდა. ოთხსართულიანი იყო, დიდი ტუფის ქვებით იყო მოპირკეთებული. მეოთხე ქუჩაზე

გამავალი სახლი, გერმანელი ტყვეების მიერ აშენებული ორსართულიანი შენობა, მთლიანად ჩეკისტებისა და ორგანოს თანამშრომლებისათვის იყო განკუთვნილი. დიდ ეზოში ხშირად იკრიბებოდნენ მეზობლები პურის საჭმელად, საქეიფოდ.

– მე რომ ორგანოში ვმუშაობდი, მაშინ... – ასე იწყებდა საუბარს ძველი ჩეკისტი, აწ უკვე პენსიაზე გასული, და მოყვებოდა რაიმე ისტორიას ზუსტად ისე, როგორც ერთ ქართულ ფილმშია – „მე რომ ოსმალეთში ვიყავი...“ მას თითქმის არავინ უსმენდა, ერთი-ორი მეზობლის გარდა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა და აგრძელებდა: „მე რომ ორგანოში ვმუშაობდი...“

ერთი მეზობელი გვყავდა, ისიც ძველი ოპერმუშაკი, ლეგენდარული კაცი, კარლო გაგუა, ცნობილი თავისი პირდაპირობითა და იუმორით.

ერთხელაც:

– მე რომ ორგანოში ვმუშაობდი, მაშინ... – და კარლომ მიუგო:

– რა გაატრაკე საქმე, ტრაკიც ორგანოა...

ამის მერე მისი ხმა არავის გაუგონია...

„და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე“.

* * *

ჩემი მეზობელი, ვალდემარ ვიშნევსკი გამახსენდა. წინაპრები პოლონელი თავადები ყოფილან, ვარშავის აჯანყების შემდეგ გამოქცეული. ჩემზე 10-15 წლით უფროსი იქნებოდა.

მაშინ საქართველოში ბევრი პოლონელი დასახლდა.

ჯინჭარაძის ქუჩაზე, პირველ სკოლასთან ახლოს, ბელეტაჟის სახლი იდგა. დღესაც დგას, ოღონდ უკვე მიშენებულ-გადაკეთებული. გვირაბი შესასვლელი ჰქონდა იტალიური ტიპის ეზოს. გვირაბის თავზე გამოსული სხვენი, ერთფანჯრიანი, ჩამსხვრეული მინებითა და ჩამომპალი ჩარჩოს ხედით, ყველა პირველსკოლელს ემახსოვრება. ფანჯრის ზემოთ მომრგვალო რელიეფზე წარწერა იყო „1902“ – როგორც ჩანს, ამ წელს აშენებულა. ვიღაც მდიდარმა (ჩემი აზრია), ეტყობა, მთლიანი ბელეტაჟის შენობა თავისთვის ააგო, ეზოს ონკანსაც აჩნდა უცხოენოვანი წარწერა, მარსელის ორიგინალი კრამიტები კი სახლს დიდხანს ჰქონდა შემორჩენილი.

რაც თავი მახსოვს, მანდ, სხვენზე ცხოვრობდა ვოვა – ასე ეძახდნენ მას „საბუტილნიკები“, ანუ იმდროინდელი ბომჟები. ეზოში შემავალ გვირაბში ერთ ბოთლ „პოლიტრას“ 4-5 კაცი დალევდა და იყვნენ მერე მთელი დღე ბანცალში. ვოვას ძალზე გახუნებული და ძველი ტანისამოსი ეცვა, სამაგიეროდ, მუდამ სუფთა იყო, წვერგაპარსული, მოწითალო-მოყვითალო ფერის სახით. გაქექილ ცილინდრს ატარებდა. ძალზე გამხდარი იყო, მსახიობ კრამაროვს ჰგავდა. ცალთვალა პეტიასთან მეგობრობდა.

ახალგაზრდობაში თურმე ლეგენდები დადიოდა ვოვაზე. ის რომ პლიაჟზე გავიდოდა, გოგონები სხვადასხვა უბნიდან მოდიოდნენ მისი „აპოლონისებრი“ ტანის სანახავად. ევროპისა და საბჭოეთის პრიზების მფლობელიც ყოფილა ცურვაში. მოსკოვში ლომონოსოვის უნივერსიტეტი დაუმთავრებია და ასპირანტურაშიც იქ უსწავლია. ერთი ქართველი გოგო უყვარდა, ზემო აჭარიდან. იმასაც მაგრად ჰყვარებია. გაპარულან ერთ დღესაც. გოგოს მამას რომ გაუგია, – ეს როგორო? და მთელი ბრიგადა ხალხით ჩამოსულა. დაუჭერიათ, დანებით დაუსერიათ და უგონოდ დაუგდიათ ქუჩაში. გოგო ნათესავებს წაუყვანიათ. ცოტა ხანში საწამლავი დაულევია და გარდაცვლილა.

იყო ამის მერე ვოვა ხან – ფსიქიატრიულში, ხან – ციხეში, ბრადიაგობისთვის... სულ დაბანცალებდა, ბომჟების გარემოცვაში დალია სული.

სასკოლო გამოცდების დროს, მათემატიკაში თუ ფიზიკაში, ვოვასთან მორბოდნენ ბიჭები დახმარებისთვის და ისიც, მუდმივად მობანცალე, მარტივად უხსნიდა მათ ათასნაირ ფორმულა-განტოლებას. ჩემი მეგობარი ნოდარ ურუშაძე ცხოვრობდა იმ ეზოში, ნონა სიჭინავაც. ყველამ იცოდა ეს ამბავი.

ვალდემარ ვიშნევსკი.

„ვიშნევსკის“ მალამოც ხომ არის... უთუოდ ცნობილი გვარი იქნებოდა პოლონეთში.

$E=mc^2$... ან, აბსოლუტური ჭეშმარიტების მდგრადობა მიისწრაფვის უსასრულობისაკენ...

* * *

ბათუმელი პარკელი „შავიკას“ მოგონებიდან:

„ეტო ბილო იშო ტაგდა, კოგდა ია ვ მორეხოდკე მაგნიტაფონ სპიზდილ „აიდას“, ი სიჟუ დომა, გლუშუ კანიაკ ი სლუშაიუ „ტამერო“. ტუკ-ტუკ-ტუკ, კტოტო სტუჩიტ. ოტკრივაიუ დვერი, დიადია გოგი სტოიტ. შავიკ, ოტკუდა კონიაკ? სპრაშივაეტ დიადია გოგი. ვ მაგაზინე კუპილ. ვ კაკომ მაგაზინე? ჩესტნო გოვორია, ნა რუკახ კუპილ, დიადია გოგი“...

ახლა რომ „ცეროდენაა“, პარკთან, მანდ ლამაზი ლუდის ბარივით სივრცე იყო. შავიკა, ძველი თაობის ქურდი, რომ მოხუცდა და არაფრის თავი არ ჰქონდა, ლუდს სვამდა, პატარა ბიჭებს კი ნაყინით და კანფეტებით გვიმასპინძლდებოდა. თან გვიყვებოდა ამბებს.

თავის დროზე დიდი ლეგენდები დადიოდა სანაიების ოჯახის შესახებ: მამა უშიშროების ჩინოვნიკი იყო, სამი ძმა – „პრესტუპნიკი“, მეოთხე ძმა – ლადო, ლადო შოკოლადო!

...გატეხავდა შავიკა ბუტკას, დაისხამდა გაზიან წყალს „კრემ-სოდა“, დატოვებდა 5-კაპიკიანს და წარწერას: „ზდეს ბილ შავიკ, სტრაშნო ხოტელოს პიტ“.

* * *

აბა, მე რა უნდა ვთქვა ისეთი განსაკუთრებული ადამიანზე, რომელიც სამაგალითოა ყველა თაობისათვის, ბათუმის ქუჩებში დაიარება და მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქს დაამშვენებდა მისი მოქალაქეობა, კაცური ზნეობა.

ერზე უზომოდ შეყვარებული, ურყევი, ცხოვრებისეული გამძლეობის არნახული გამოცდილებით, მრავალ ქარცეცხლში გამოწრთობილი, ჯერ კიდევ საბჭოეთის საკონცენტრაციო გულაგიდან მოყოლებული, საკაცობრიო ღირებულებებისთვის მებრძოლი რაინდი, არაფრის დამთმობი, ჯიუტი.

მე ასეთ ორ კაცს ვიცნობ: ერთი ჭაბუა ამირეჯიბია, მეორე კი ჩემი მეგობარი – მამული, რომელიც, ჯოჯოხეთური გულაგის შემდეგ, დიდი საწარმოს დირექტორი და მმართველი გახდა ისე, რომ ღირსება არ დაუკარგავს, არ შეკვრია უკაცურობას, არავინ ჩაუშვია და სხვის უბედურებაზე ცხოვრება არ მოუწყვია. დიდხანს, საბჭოეთის დაშლამდე სამშენებლო ტრესტს ხელმძღვანელობდა და არ დაუტოვებია ნაცნობ-მეგობარი, დახმარების ხელი რომ არ გაეწვდინა. იციან ბათუმელებმა – ნახევარი ბათუმის სახლებზე ლოჯიები მისი ნაჩუქარი არმატურითა და ცემენტით, უანგაროდ არის მიშენებული... ხოდა, რეგალიებს რა ჩამოთვლის: ორჯერ საქართველოს პარლამენტის წევრი, საკრებულოს დეპუტატი, საპატიო ბათუმელი, მანამდე – აქტიური მონაწილე ეროვნული მოძრაობის, ომების ვეტერანი... ბევრი ფურცელი და კლავიატურის კაკუნი დამჭირდება მისი კაცური ბიოგრაფიის მოსაყოლად, რომელიც საზოგადოებამ ისედაც იცის.

ჩვენი ცხოვრება, სამწუხაროდ, ისეთია, რომ აუცილებლად გამოჩნდება ვინმე, ვინც იკადრებს მალულად, კულისებიდან აუგოროს სიბინძურე წესიერ ადამიანს. ამას შეჩვეულები ვართ. ის კი ერთს არ დაიწუწუნებს, აუგს არ იტყვის სხვაზე, იმიტომ რომ ტრადიციულ ქართულ ოჯახში არის გაზრდილი. სწორედ ოჯახიდან მოდის ეს დიდი, ყოვლისშემძლე ენერგია. მარტო ის რად ღირს, მისი ძმა ყველასათვის ცნობილი პიროვნება – სულიკო ჟღენტია და ამით ყველაფერია ნათქვამი. ძმისშვილი – ოლიკო, ხელოვნების და კინოს განთქმული სპეციალისტი და მემატიანეა.

დადის ბათუმის ქუჩებში დიდი პიროვნება – მამული ჟღენტი. დადის და მხრებით დაატარებს სამაგალითო, სანიმუშო ბეგრაუნდს, გარსმოხვეულია საამაყო შვილებით და თუ ვინმე არის, ვინც მის სიჯიუტეს გატეხავს – ეს მისი შვილიშვილებია.

დიდხანს, დიდხანს, დიდხანს იარე, ჩემო კაცურო კაცო.

იცოდე, ჯერ კიდევ ბევრს სჭირდები ამქვეყანაზე.

* * *

მოკვდაო, მექი, – გავარდა ხმა. „აკადემიაში“ ხშირად ნახავდით სუსტ, წელში მოხრილ, მარჯვენა ხელმიმხმარ, კოჭლ, ნაპარალიჩარ, შუახნის კაცს... „აკადემია“ მაშინ რესტორან „აჭარის“ ჯერ მეორე, შემდეგ მესამე სართულზე იკრიბებოდა. მექი აქ დადიოდა ქალაქის ინტელიგენციის ნაღებთან: მურად ხინიკაძესთან, იუსუფ კობალაძესთან, ხასან მეგრელიძესთან – გამოჩენილ სახალხო არტისტებთან, ალი სამსონიასთან – ბათუმელ მწერალ კოლორიტთან, ზურაბ გორგილაძესთან – აჭარის გალაკტიონთან, ლადო სეიდიშვილთან – ბათუმის ბაირონთან, ალექსანდრე ჩხაიძესთან – იგივე შოშიასთან, „ატეცასთან“, ანუ არჩილ ტოტოჩავასთან – „მოსიარულე“ ენციკლოპედიასთან, ჭაბუა ამირეჯიბთან – „დათა თუთაშხიასთან“, ანტონ ფილიპოვთან – ცნობილ მხატვართან, ნუგზარ ჯაფარიძესთან – „ვუნდერკინდთან“, ლევან ღლონტთან – დიდ მსახიობთან და განთქმულ თამადასთან, აზიზ ახვლედიანთან – უნივერსიტეტის რექტორთან, ანზორ კუდბასთან – ფილოსოფოს მწერალთან, ფინჯნის ფსკერზე დანალექი ყავის ოსტატ მხატვარ-წამკითხველთან, კოლორიტ ბათუმლებთან: გენო გეგეჭკორთან და მიშა არველაძესთან, ანზორ თალაკვაძესთან, სოსო კუტუბიძესთან, „ბლაუნა“ – თამაზ ლასურიძესთან, გურამ ქვირიასთან, ამირან ბარამიძესთან, მის ძმასთან – ჟორა ბარამიძესთან, იგივე „წკენტასთან“, ჯუმბერ ბოლქვაძესთან, ვაჟა მაღლაკელიძესთან, თამაზ ბეჟანიძესთან, ზურაბ ბაღდადიშვილთან – მეტსახელად „ჭიპონს“ რომ ეძახდნენ, გოგი ქურიძესთან – „მაგიდასთან“, დემური ტყეშელიაძესთან, თამაზ კილაძესთან, გურამ ჭელიძესთან – „რაჭველთან“, „აკადემიის“ სხვადასხვა პროფესიის „წევრ-კორესპონდენტებთან“... ამ შეხვედრებში დიდი წვლილი შეჰქონდა ზორბეგ ღლონტს, რესტორან აჭარის დირექტორს, რომელიც ყველანაირად ხელს უწყობდა „აკადემიის“ წევრებს.

მექი მოდიოდა, პარალიზებულ მკლავქვეშ ამოჩრილ გაზეთებს იქვე, მაგიდაზე გაასრიალებდა, კუთხეში დაჯდებოდა, ყავას შეუკვეთავდა – სონიას ყავას, ცხელ ქვიშაზე მოდუღებულს, მთელ საქართველოში განთქმულს, და უსმენდა ამ ინტელექტუალურ სამყაროს.

რას არ მოისმენდით აქ: მსოფლიო პოლიტიკის მიმოხილვას თუ „შინაურ“ ამბებს... რუსეთი და საბჭოთა კავშირი დღეში ორჯერ ინგრეოდა. ირჩეოდა ამერიკის და თავისუფლების ხმის რადიორეპორტაჟებიდან მიღებული ცინცხალი ამბები. სოლჟენიცინი, კოსტავა, გამსახურდია, ბუკოვსკი... ანტიკური ხელოვნება, ფილოსოფია, უილიამ ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება“, ჯოისი თუ დანტე, ჯემალ ქარჩხაძე, სტეინბეკი... თბილისის „დინამოს“ წარმატებები, მსოფლიო ფეხბურთი, ნონა გაფრინდაშვილი თუ მაია ჩიბურდანიძე... შუადღისკენ დისკუსია ქეიფში გადაიზრდებოდა და მიდიოდა სადღეგრძელოები დამოუკიდებელი საქართველოს... მსგავსს სხვაგან ვერაფერს მოისმენდი! დრო იყო ისეთი... ამათ ეკიდათ... ჩვენც, ახალგაზრდებსაც: ვახტანგ ღლონტს, გოდერძი ტოტოჩავას, ომზირა ღლონტს, „ჟეკი“ – ჯემალ შავაძეს, ბადრი თევზაძეს, დათო თედორაძეს, ზურაბ ფირცხალაიშვილს, მე – ჭოლა ჯაშს, „ბესტი“ – ამირან კაცაძეს, ბადრი მეგრელიშვილს, „ჟანგო“ – იური კალანდაძეს, მამაო – გიორგი ძნელაძეს, ჟიგული ჩიმაკაძეს, ნუგზარ ბაღათურიას... და სხვებსაც, შემორბენილებსაც...

მექი ფოსტალიონი იყო, ლაპარაკი უჭირდა. ფეხბურთზე თუ ჩამოვარდებოდა საუბარი, აღელვებული, კისერთან ძარღვდაჭიმული, ცალი ხელის ჟესტიკულიაციით გამოხატავდა ემოციას, უმეტეს სიტყვებიდან – ხურცილავას და ყიფიანს თუ გამოარჩევდი. ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებულს, გაზეთებიდან ამოჭრილი მთელი საფეხბურთო არქივი სულ ჯიბით დაჰქონდა. ბათუმში, იმ ავადსახსენებელ მაისის მიტინგზე, ქართული ენის დასაცავად შეკრებილებს, მთელი დღის განმავლობაში დაუზარებლად ურიგებდა სიგარეტებს, წყალს...

მერე „აკადემიაში“ ხმა გავარდა – მექი მოკვდაო. ბიჭებმა ფული შევაგროვეთ, აჭარის ქო-

რეოგრაფიული ანსამბლის ავტობუსი „ყუბანი“ ვიქირავეთ და წყალტუბოს რაიონის რომელიღაც სოფელში წავედით დაკრძალვაზე. ცოლშვილი არ ჰყავდა. ოთახში რომ შევედით, ყველა ფეხზე ადგა, გაოცებული და ამაყი ჭირისუფალი კი მადლობას გვიხდიდა, რაღაც განსაკუთრებულად. კონვერტში შეგროვილი თანხა, წარწერით – „ბათუმის აკადემიისგან“ – სპეციალურად გამოყოფილ ოთახში დავტოვეთ. – ეს რა ძმაკაცები ყოლიაო მექის, – ბევრჯერ გაიგონებდით... საბარგო მანქანის ძარაზე მდგომი, საყვარელი გუნდის გასვლითი თამაშიდან ბრუნდებოდა თურმე; წვიმიან ამინდში მანქანა ცუდად მოცურებულა...

უკანა გზაზე, გოგი-სვანიძის სახელგანთქმულ დუქანში, მექის შესანდობარს ბევრი სხვაც მივაყოლეთ, ალი სამსონიას თამადობით.

ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანების უმეტესობა ახლა ზეციურ საქართველოშია და მჯერა, იქაც ჩვენზე მიდის დისკუსიები. ბევრი რამ შეიძლება არ მოსწონთ, – სხვანაირები იყვნენ, უფალმა გაანათლოს მათი სულები. ჩვენც არ მოგვწონს რაღაცები – მათი გამოზრდილები ვართ...

ანზორ კუდბას, როგორც იმ თაობის ერთერთ უკანასკნელ მოჰიკანს, ასევე, ჟორა ბარამიძეს ისრაელში, – ყველას, „აკადემიაგამოვლილს“ თუ ჩემს მეგობრებს – ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და უამრავჯერ გათენებულ ახალ წელიწადს...

* * *

– აი, ნახავთ, პარიზში წავალ და მიშელ ელონი ვიქნები.

დილით, სკოლის ტუალეტში, სიგარეტის მოწევას ვერავინ დაასწრებდა, „ზმეიკიან“ ჩანთას, რომელზეც შავი საღებავით საგანგებოდ გამოყვანილი კალიგრაფიით მოეხატა „ტეხასი“, „კრისი“, „პარიზი“, „ალენ დელონი“, – რკინის გისოსიანი ფანჯრის რაფაზე ჩამოდებდა და იქვე, ფიცრებისაგან შეკრულ კუპედან გამოყოფდა გრძელთმიან „ბითლზის“ მოდიდო თავს. გაღიმებისას, წინწაწეული ქვედა ყბა მომცრო ეშვებიან კბილებს გამოუჩენდა, დიდრონ მოძრავ თვალებში ჩაბუდებული სიხარული მყისიერად გაუქრებოდა, მიტკლისფერ სახეზე შიში ჩაუდგებოდა და მუდამ მზადყოფნაში მყოფ ხელებს გადახრილ თავზე წაიფარებდა, მისალმებისას თუ ახლოს მისვლისას, თითქოსდა „თავზე წამორტყმის“ დამცავი აპარატი ჰქონოდა ჩართული, საგანგებოდ მომზადებული. განსაკუთრებით, თუ რამეს იტყოდა, გამომუშავებული ინსტინქტი თავისას შვებოდა, – „ვაითუ, მოსაწონი არ ვთქვი რამეო“... ჩვენთან ყოფნა უნდოდა სულ, თუ სიგარეტი არ ჰქონდა ვინმეს, სამალავიდან დააძრობდა, გაახარებდა ბიჭებს. ასეთი სამალავები ბევრი იცოდა, ბიჭებმა „საწყობის გამგე“ დაარქვეს. პატარაობისას, ეპილეფსიამ ორივე ფეხი მოუგრიხა, სახესაც დაღი დაასვა და ეს კომპლექსი აწუხებდა მუდამ. გაგებით ვეკიდებოდით. უცნაურად კეთილშობილური, ნაღვლიანი გამოხედვა ჰქონდა, რამეს თუ დაავალებდი, არასოდეს დაიზარებდა,

ძირითადად სიგარეტზე აგზავნიდნენ, იქვე ახლოს, გორკისა და ენგელსის ქუჩების კუთხეში, გორგოლაჭებით მოძრავ, „ქერიას მარკეტში“. სამაგიეროდ, ყოველ დილით „ოფკომის“ სასადილოში, აჭარული კვერცხიანი ხაჭაპური „ლახანკა“ გარანტირებული ჰქონდა. ასე ვეძახდით ძალიან დიდ ხაჭაპურს, რომელიც ქალაქში სულ ორგან კეთდებოდა კარგი – რესტორან „ტალღაში“ და „ოფკომის“ სასადილოში. „პირველ მაისსაც“ და „რესტორან გემოსაც“ არა უშავდა, მთლად ისეთი ვერ იყო... ორშაბათობით მთელი ჩვენი სკოლის „შანტრაბა“, დილის 10-საათიან სეანსზე, კინო „თბილისში“ ახალი ფილმის პრემიერას ვესწრებოდით და მიშაც იქ იყო. ეს პირველსკოლელების აუცილებელ, შეუცვლელ „საშტატო განრიგად“ ითვლებოდა, რომელიც ვერავინ მოსპო – ვერც სკოლის ადმინისტრაციამ, ვერც განათლების სამინისტრომ, ვერც მშობელთა უამრავმა კრებამ. ბევრჯერ ყოფილა – შუა კინოს დროს სინათლე აუნთიათ, ჩვენება შემწყდარა და დირექტორს გამოუცხადებია: „აბა, პირველი სკოლა გამობრძანდეს აქეთ, ელიავა, ნუ იმალები სკამებს ქვეშ“... ისიც კოჭლ-

ობით წამოვიდოდა დირექტორისკენ, ფეხებს მიათრევდა, სწორად ვერ დგამდა და ახლოს ჩავლისას ორივე ხელს თავზე წააფარებდა ინსტინქტის აპარატი, და ენის ბორძიკით იტყოდა, – არ დამარტყა, მასწ... ბევრად უმცროს „ჩანჩურასთან“ ერთად დადიოდა ხშირად, დაბალ, წითურ ბიჭთან, შეყვარებულს წერილებს მისი ხელით უგზავნიდა.

როცა ავად გახდებოდა, ბიჭები სახლში ვესტუმრებოდით. გახარებული დედამისი გამოიტანდა ცოტა ღვინოს, კერძებით გაგვიმასპინძლებოდა, თვითონ ჩართავდა დიდ ბაბინებიან მაგნიტაფონს და რადიო „ბეირუთიდან“ ჩაწერილ ახალ-ახალ სიმღერებს, უმეტესად ბითლზებს გვასმენინებდა. „ბეირუთი“ იმ დროს თანამედროვე მუსიკას გადმოსცემდა ყოველდღე.

ერთხელ, შორიდან დავინახე, „ჩანჩურასთან“ ხელებგადახვეული, სიმღერ-სიმღერ, კოჭლობით მიბანცალებდა ბედნიერი და რატომღაც დამამახსოვრდა, მეხსიერებაში ჩამრჩა, როგორც მრავალი ბავშვობის ფოტოკადრი. ეტყობოდა, ნასვამები იყვნენ. ხშირად, მორიგი სასიყვარულო წერილის გაგზავნის შემდეგ, მოილხენდნენ ბიჭები, რაღაც გაურკვეველ, მოგონილ სიმღერას მღეროდნენ... ახლა რომ ვიხსენებ, ალბათ, ამ წუთისოფელს უმღეროდნენ, სადაც ადამიანმა, რაც არ უნდა მოინდომოს, ბოლოს მაინც ხეიბარი და ჩანჩურაა სიცოცხლესთან, ცხოვრებასთან, ახალგაზრდობაში მის რიტმს რომ აჰყოლია მომავლის იმედით, თანახმაა გაუსწროს დროს, გამოტოვოს ცხოვრების რაღაც ნაწილი და საოცნებო ყოფაში დარჩეს დიდხანს... არ იცის იმ დროს, რომ საოცნებო ყოფა არ არსებობს, მუდამ წინმსწრებია: თუ გადადგამ სამ ნაბიჯს, სამი ნაბიჯით წინაა შენზე, თუ ხუთს – ხუთი ნაბიჯით, თუ ასს – ასით და მუდმივი დაშორების დისტანციაში ჰყავხარ, რაღაც არითმეტიკული განზომილების მსგავსად, და თუ სადმეა საოცარი ყოფა, ალბათ, იქ – ზეცაში, სადაც ჩვენი მეგობრები წავიდნენ: დათო ხინიკაძე, ლევან ჩხაიძე, ნიკუშა ჭელიძე, გელა ლომთათიძე, ბუთხუზა მესხიძე, ენვერ ნაკაიძე, კუსა ხვიჩია, ვახტანგ ლიპარტია, ანზორ ცინცაძე, გოდერძი ტოტოჩავა, ბევრი... მიშას მფარველები, ჩიტს რომ ვერ აუფრენდა ვერავინ, მათი შემხედვარე. ჩვენ, მათი სახელის უკვდავსაყოფად დარჩენილები: ვახტანგ ღლონტი, ჟიგული ჩიმაკაძე, ზურა კალანდარიშვილი, თემური კიკვაძე, ნუგზარ ტუსკია, ჭოლა ჯაში და სხვები, აუცილებლად მოვიგონებთ წასულებს, დავლოცავთ, წელს ხომ 50 წლის იუბილეა სკოლის დამთავრებიდან...

ხშირად იტყოდა:

– მე ვარ მიშა ელიავა – პარიზში ცხოვრობს ალენ დელონი. აი ნახავთ, პარიზში წავალ და მიშელ ელონი ვიქნები...

წავიდა... სკოლის დამთავრების შემდეგ, რაღაც 5-6 წელიწადში. ის... იქ დახვდა ბიჭებს...

გიორგი ტუღუში

ღმერთის ღაწვებზე

(ღამის ოთხ საათზე დაწერილი)

შენ ნაკვთები ხარ დაღალული, ღმერთის მტერმრუდეს,
ჩამოგემდუღრე თეთრ ღაწვებზე, როგორც მირონი,
არც სახლი მაქვს და არც მალული საბუდებელი,
მქვია სამყარო, უსაზღვრობა, ქორონიკონი.
ყველაზე მეტად რომ მიყვარდი, მაშინ მემრუდე,
იწერებოდა მაშინ ყოფნის მწარე სტრიქონი,
ეს იყო ღელვა, ალექსება საულმეფური,
პოეტიკურად გადაგღარე – მზის სტიქიონი.
მერე დავეცი ცივ მიწაზე და დავიღვარე,
თვალთეთრ ფანტელებს აქეზებდა ნამქრისფრად ზეცა,
სანამ და-ძმანი ღმერთის ნაჭდობს გადმოსერავდნენ,
დაისმა ჩემი ბოლო მუზა გაიყირმიზა.
რიონმა კლდეზე ჩხრიალჩხრიალ გადიკისკისა,
შემეცრემლაო ყოვლისშემძლის მხურვალე ლოცვა,
მე კი, უფალო, მინდა გკადრო სიტყვად ამისა,
მწადს შენს მტარვალებს შენდობისთვის შევევმუცალო.
პოეზიითვე ვასულდგმულე ფუჭი წრე-ბრუნვა,
ღმერთი, ღმრთის მწველი და ცრემლებად ჩაგუბული მე,
უზენაესი უტიფრობით ყველგან ქებულმა,
განდეგილივით გაქცეულმა წავუდუმილე.
მისნურ სიზმარში რომ გიხილე თავსაბურველით,
ჰქროდი ქარლურჯი შებინდების პირველ ხმაურში,
ხმაურში ჩუმში გიმღეროდა ქერუბიმეთი,
დალანდლანდობდი სიყვარულში ივერიულში.
ფერფლიანუმი გამოჩარხავს ახალ სამყაროს,
მე კვლავაც დავალ შემოქმედის თხელ-თხელ ღაწვებზე,
როდემდე უნდა მზისმიერად მასაჰარაო,
როდემდე უნდა მაწერინო თებერვალებზე.

თებერვალთბრუნვა მეორდება ციფერბლატებზე,
წვიმაში ქრები წვიმისმიერ აბლაბუდებით,
შხამს აღარ ვანთხევ პოეზიის ვეტერანებზე,
მხოლოდ ზეარსთან ვიპაექრებ გადაქუხებით.
ჩემი ხელები მიღმიერში დაამარწუხეს,
ცეცხლის ჭანგებით დამიშანთეს მთელი სხეული,
უცხო მგოსანი შემართებით ასათაურებს
ჩემზე პოემას – სათაურით მერმისეულით.
უტყვთა სულნარი სამუდამოდ გაადევრიშეს,
უფლის ღაწვებზე მოვჩანჩქერობ, ჩამოვმზისსხივდი,
ლანდთა ლანდებმა მარატივით დამავერდიქტეს,
ამ შეცოდებას ვერასოდეს გამოვისყიდი.

პირველ კოცნას როგორ უნდა ენდო

ახალშობილ ქარსაც უყვარს ქარავანთა ლეწვა,
მოწეული ობელისკი მართლაც უღირს ამად,
რომ სიცოცხლე დაემსგავსოს მარადიულ ღელვას,
მაგრამ ბოლოს ქარიც დარჩა მხრცოვან ქარიშხალად.
თუმცა თვისი შხამიანი, უბილწესი კვალი,
მჭლე ბედუინს ნაკბენივით მაინც დაამჩნია,
როცა ქარის ხმოვანების ურჩი მონაგარი,
ცოლ-შვილზე ფიქრს უდაბნოში წამლად დაანთხია.
კანკალებდა როცა ჩუმად მასში გადმომნათი,
მზის აჩრდილი სულ სხვა ღმერთის ახირების მსხვერპლი,
მე, ქარი და მზის ცრემლები – ძრწოლა საბოტაჟის,
მშობელს როკვით და ამბოხით, ცეცხლით ვემიჯნებით.
ჩვენ არარსი და არენა არ გვაქვს გასაყოფი,
რადგან მხოლოდ არსებობა ქარიანი გვწადის,
არ დაგვეტყოს დამღად შენი უნდო ნამყოფობა,
შენი პირმშო მოწიწებით „სობრანიეს“ მაწვდის.
და წამებით განდიდებაც დაგვითმია შენთვის,
დაგვითმია გოლგოთისა მტვერიანი გზები,
რომ წავედით, გავუყევით მოცისფრებულ მერმისს,
გაგვახსენდა ჩვენი ქუჩის თორმეტიანები.
ივნისური წვიმებისგან გასულთეთრებულნი,
ვეფარვოდით ვენახიან და ლეღვიან ეზოს,
წვიმდა, კარგო, როგორ წვიმდა კადნიერად მაშინ,
პირველ კოცნას, ჟრჟოლანარევს როგორ უნდა ენდო!
უკვე კვლავაც ყრუ ქალაქში ჩაბეტონებულნი,
ერთმანეთის სახლთა ხილვაც აღარ გვეძნელება,

შენ ქმარი გყავს მეფესავით თავდაჯერებული,
მე ხომ ცოლი დაფნის გვირგვინს ვეღარ მეცილება.
ვერ გავიგე ამ ცხოვრების უთავბოლო კრედო,
თუკი უნდა დამეკარგე, რაღას შეგესულე,
პირველ კოცნას, ერთადერთო, როგორ უნდა ენდო,
თუკი წყევლად დაგიბრუნდა, რაც კი აისრულე.
მაგრამ არა, საცისფრეთში ერთადა ვართ ისევ,
უნიღბობის აღტაცებით ფრიად სახემრთელნი,
ეს ზმანება მოგონების იყო მწველზე მწველი,
მუზების და სასულეთის წამით ამღერღელი.

მთანისლქარეთი

უკვე იმდენჯერ გადაგეთოვე,
სიბნელე შენში სრულად დაოსდა,
როცა მოთეთრო ფანტელლანდვაში
ნისლის აჩრდილმა გამოგაორთქლა.
მე შენ იმდენჯერ გადაგეცეცხლე,
აღარაფერი აღარ გათბობდა,
რომ დავრჩი მარტო და გასახელე,
გამოვიწვიე ყოფნის არყოფნა.
არყოფნის გულშიც შენ დაგინახე,
ქალაქმა ასხმა ქალაქთა შობა,
ლამპიონებით ფრთანორჩ სინათლედ
გადმოგასვეტა ალავერდობამ.
იქით მზეები, აქეთ კი ყინვა,
იქით სიცოცხლე, აქეთ ბაღები,
ფერიცვალების გზაგასაყარზე
ობელისკებად მოგელანდები.
უკვე იმდენჯერ მოგექარიშხლე,
შენი სხეული ჩემს ფრთებზე დნება,
ვიმღერებ აზიზ აპრილმაისზე,
ყვავილთა ზღვები გადაგვევლება.
ჩვენ დავიხრჩობით ფერად მდელოზე
ცისარტყელისფერ ყვავილნარებში,
თუ მოგიყვები მელანქოლიკზე,
წადი, დამტოვე მთანისლქარეთში.
შენ მიმატოვებ მთანისლქარეთში,
კვლავ უსინათლო სამყაროს მოვსხლავ,
უდაბნოდქცეულ კატაკომბებში
ცივ-ცივ წყაროს წყლას გაპკურებ მორცხვად.

აგედევნები ოაზისებად,
შემოგეწყლები ქვიშის თვალებში,
ამოვნაზდებით ორქიდეებად
ატომთა უსპეტაკეს ფანტელში.
და ბოლოს ლითონისებრ კლანჭებში
გამოვიღვიძებ უკვდავ პეპელად,
რკინის უმძიმეს მოზაიკებში
ამოვლექსდები მერმის პოეტად.

ნიღბები

სახსოვრად კვლავაც **სანდრო ბერიძეს**

ნიღბებს ვიხსნი და მეწვის ღაწვები,
მტკივა სხეული, მამტვრევს სახსრებში,
ჩემი უმანკო ხმის იოგები
ჩალურჯდებიან წმინდა მამებში.
ნიღბებს ვიხსნი და ვლეწავ ციხეებს,
თავისუფლება შევისისხლხორცე,
აისზე ფიქრში ღამეს აცივებს,
როგორც მე, როცა შემიავხორცე.
ნიღბებს ვიხსნი და მარტო დამტოვე,
რომ შევისუნთქო ღრუბელის კერტი,
გამიწება რომ ვერ მოგანდომე,
გადამაპნიე ხილვებით ზეცის.
ნიღბებს ვიხსნი და განგეშორები,
აღარ მომძებნო, აღარ მოხვიდე,
თუკი ისევე ამეტორღები,
ლექსების წერას, გთხოვ, ამარიდე.
ნიღბებს ვიხსნი და მეენეიდა,
ღმერთმა ამიშვა ცეცხლის ლაგამი,
მუზები მაინც რომ შემეისრა,
ავდექ და მეც მოვიკალი თავი.

პარალელური სამყაროდან

პირველსაწყისი კანკალებდა პირმომღიმარე,
როცა ქაოსში უსპეტაკეს ლექსად ამენთე,
ხორცშევისხმები სიმებში და ცვივა სინათლე,
ელექტრონების თოვლი მოდის სასიზმარეთე.

სარკეში ვჩნდები შემოქმედის ბოლო ნარჩენი,
ნაღალატევის, განწირულის, მერანნაგვემის,
შენ გაგრძელებად არმყოფობის ამოიწვერე,
ქრება ყოველი, უხილავში მენახევრები.
პოეზიაა ყველგანმყოფის საღმრთო მისია,
ისევ დავეძებ არაფერში წყლისფერ მწვერვალებს,
მე მოგევლინე შეჩერებულ ციფერბლატიდან,
სიყვარულისთვის დავუწერე სტროფი თებერვლებს.
თუ არსებობაც მითოსია, მაშინ მისმინე:
მე ვთხზავდი ცეცხლით გალაქტიკურ რომანს ტრფობაზე,
სადაც პირველად ლანდადქცეულს შენ გამიღიმე,
არ მიფიქრია არც მტრობაზე, არც მონობაზე.
პარალელური სამყაროდან როგორ მომაგნე?
პარალელური სამყაროდან რისთვის დამლანდე?
ექოს სიტყვა ხარ, ხარ ფიქრფიფქვა და ხმოვანება,
ვიყავი ჩემთვის, მაფრთიანე, დამაავადე.
და ახლა გიდგამ ობელისკებს ჩრდილთაჩრდილებში,
პარალელური სამყაროც ხომ პოეზიაა,
ამიბინდბუნდდი სტრიქონებად მირაჟთ ფიქრებში,
შენ დააარსე უახლესი ქრონოვერსია.

ვისაც ვუყვარდი

ვისაც ვუყვარდი, აღარ ვუყვარვარ,
ვინც მე მიყვარდა წავიდა ფარსით,
ხან უფლის ნაგვემს გამოვუვარდი,
ხან მივაპობდი თეთრ ქვიშებს მარშით.
უსივრცოობის ინტერვენციით
ვეზურმუხტები მწვერვალთა ქარებს,
თქვენ ისევ მტოვებთ, თქვენ ისევ მეტრფით,
მე კი ვააფრებ გვირილის აფრებს.
რომ მივაფრქვიო ვარსკვლავთა მკლავებს,
ჩანვთქა ზეციურ მინაფლეთებში,
თუკი განთიადს გავიავდარებ,
გავსწევ თეთრლურჯა მინარეთებში.
ჩემი ქვეყანა პორტალეული,
ევროპააზიიური ხიბლით,
მაიავნანებს ნისლში ნიავი,
ვიზრდები ლექსით მიმიკრიულით.
ქარიშხლიანი შემოვიქარგე
ზღვის ლანდლუნდებით შეცისფრებული,

მთათა ფერდობებს მივეჩხრიალე
უსიყვარულოდ შეცივებული.
ფიფქვად მოვიდა ფოთოლთ ნამქერი,
ყვითლად მოთოვა ნოემბრიული,
ამეკვიატა ოვიდიუსი
გულმოწყალე და ზოროასტრული.
მოიმსხვრევს ცხვირ-პირს ბნელი უფსკრული,
შემინაპირებს სცენარიუმი,
შევიცან სიღრმე ნავეზუვარი,
გადმოვალექსე მელანიუმი.
ვისაც ვუყვარდი, აღარ ვუყვარვარ,
ვინც შევიყვარე განმიდგა ისიც,
უთვისტომობით მაიალქანე,
დავრაზმო კირკე და პასიფაი.

ორი მოხუცი

მივაბიჯებდი ქუჩაში და ცივ-ცივად ცრიდა,
გადალუმპული ფოთოლცვენა მიყუჟულიყო,
ვხედავდი, მოხუცი ქალი ტროტუარზე იჯდა,
ყვავილებს ყიდდა, ნოემბერი მიწურულიყო.

მიველ ბებოსთან, შევიძინე ქრიზანთემები,
ყვავილები კი იმ დღეს მართლა არ მჭირდებოდა,
მე არ მადგამდნენ იმ დღეს დიდთა პოეტთა დაფნას,
არც სატრფოს მზერის მისტერია მილექსდებოდა.

ქვეშეცნეულში რაღაც დიდი მეზღვავებოდა
და არ ვიცოდი, სად წამეღო ქრიზანთემები,
ანაზდეულად გამახსენდა შვილმკვდარი დედა,
მისი დუმილი, სულსა შიგან მიღამებები.

მასთან მივედი და მივართვი წითელი გროვა,
რომ დავიწყნოდა წამით უნაპირო ნაღველი,
უნდა სჯეროდეს, აღმაფრენა ისევე მოვა,
ვარ ქრისტეთაგან, ვარ მხურვალე იოანელი.

ბედნიერება უსახლკარო ჩასახლდა ჩემში,
რაღაც უთქმელი, უსახელო, უტანტურფესი,
წვიმის ქირქილმაც ვეღარასგზით გამადევნილა,
შემოვიარე მზის ქალაქი უტატნურესი.

იღბლიანი მირზა

– მე ხომ გითხარი, ბინა ახლომახლო ვიგირაოთ-მეთქი, რომ შენ სკოლაში შეუფერხებლად იარო. ქალაქშიც საცობებია და შორს რომ განვსახლდეთ, სამეცადინო საათებს მგზავრობას შეწირავ. რაც არ გესმის, იმაზე ნუ მეკამათები, – ეჩხუბებოდა დედა მეათეკლასელ მირზას და ლურჯ პლასტმასის ბოთლს წყლით ავსებდა.

– კაი, დედა, კაი, გავიგე, – მშვიდად ჩაილაპარაკა ტანმორჩილმა ყმაწვილმა.

– ძაან კაი, – ცივად მიუგო დედამ.

მირზა დახავსებულ ეზოში გამოვიდა, რომელშიც წინა საუკუნის სუნი ტრიალებდა და იქვე, ქვის ფერფლისფერ კიბეზე ჩამომჯდარ 40 წლამდე უბნელს გვერდით დიდი ხნის მეგობარივით მიუჯდა.

ნოემბრის ბოლო იდგა. ირგვლივ ჭადრებისა და ქაფურების ფოთლებს ნაწვიმარი ქვაფენილი დაეყვითლებია.

მირზას ეს ყველაფერი შორეულ ბავშვობას აგონებდა, როცა ეს ეზო სიცოცხლით იყო სავსე და ქვემეხივით ქუხდა. ახლა ამ ახალი ეპოქის ტყვეობაში მყოფ წარსულის პირქუშ ქანდაკებას მოხავსური ფრთები ჩამოეყარა და მინავლებულიყო.

საუბარი მირზამ წამოიწყო და ელეგანტურ მამაკაცს თბილად მიესალმა. თავის მხრივ მამაკაცმა ჯერ მირზა და მერე მირზას მამა მოიკითხა, რომელთანაც მეგობრობდა და ყმაწვილს სწავლის ამბებიც გამოჰკითხა.

სანამ ეს უცნაური წყვილი თითქმის არაფერზე საუბრობდა, 70 წლამდე, ყავისფერქურთუკგადაკონკილმა ბაბუაკაცმა ჭიშკარი შემოაღო, რომელიც მოსაუბრეებს კანკალკანკალით მიუახლოვდა, დაახლოებით ერთი მეტრის მოშორებით შედგა და მირზას მამის მეგობარს ცრუღიმილნარევი სახით მიესალმა. მერე იკითხა ეს ყმაწვილი ვინაოო და რომ არ ეცნო, დავბერდიო ჩაიბურდღულა. უეცრად გეზი თავისი გადაცრეცილ-გადმოცრეცილი სახლისკენ აიღო და წყვილსაც დაემშვიდობა.

თავის მხრივ, მირზამ უბნელს ჰკითხა, ვინ არის ეს კაცი, არც მე რომ ვიცნობ და არც თავად მიცნობსო. მეზობელმა სიგარეტს მოუკიდა, მანამდე კი ჩაილაპარაკა, ეს ხალხი გამაგიჟებსო. ათწლეულებია ერთად ცხოვრობენ და ერთმანეთი ალბათ ერთი-ორჯერ თუ ეყოლებათ ნანახიო.

ბოლოს მეგობრის შვილს მიუბრუნდა და ასეთი ამბავი უამბო: „ეს ციგნების ოჯახია, რომელიც 40 წელია აქ სახლობს, მაგრამ მისი ორადორი წევრი, რომელიც და-ძმაა, არავისთან ურთიერთობს. ამბობენ, ქართველებზე გული აქვთ აცრუებული, რადგან ციგნებს საქართველოში არაფრად აგდებენ და ეს მათ აჯავრებსო“.

– კი, მაგრამ, მე მსმენია, რომ ციგნებს ყურადღებას მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ აქცევენ და ჩვენ ამაზე მეტად რატომ უნდა მივაქციოთ? თანაც, როცა საქართველოში სხვა თუ არაფერი, სახლი მაინც აქვთ.

– მომისმინე, ბიძიკო, – თქვა უბნელმა და კიბიდან წამოდგა, შარვალი დაიფერთხა, მერე კი განაგრძო, – მე არ მაინტერესებს ცივილიზებული სამყარო როგორ ეპყრობა ციგნებს, თუმცა გეტყვი, რომ თუ ასე ძაღლურად ეპყრობა, ძალიანაც ცუდი.

ჩვენ ვაჯობოთ დანარჩენებს და ადამიანებს ადამიანურად მოვექცეთ, – დაასრულა საკუთარი აღმაფრენით გაბედნიერებულმა და მირზას სახეზეღიმილათამაშებული მიაშტერდა.

– მართალი ხარ, მართალი, ადამიანი ადამიანია, – დაემოწმა ყმაწვილიც და ბიბლიოთეკისკენ გასწია.

ელეგანტური მამაკაცი ცენტრალური ქუჩისკენ დაიძრა და რაღაცნაირი, სევდამოკიდებული სიხარული შემოეალყა, ძველის ახლით ჩანაცვლების წინ რომ გვეალყება ხოლმე, ამ ქვეყნად მოვლინებას რომ ტკივილი ახლავს, რაღაც იმდაგვარი.



ნუკრი ბერეთელი

* * *

ჩემს მინდვრებს ახლა წვიმის სუნი აქვს,
ნადაბურიდან მოვარდნილ წვიმის.
მორბის მეზობლის ბობი თუ ბიმი
(ჩემი სოფელი ქვეყნის გულია
სადაც ორიოდ მამალი ყივის)
და ცალი თვალი დაბინდული აქვს.
ფრთხილად მილოკავს შეხვეულ მაჯას...
სხვა სულიერი სოფელში არ ჩანს.

ვბრუნდები. წუთით ვამძიმებ ბოგირს.
ქარი ფოთლებში აჯავრებს მოცარტს,
მთელი ცხოვრება ვერ იგრძნობს ზოგი,
რაც მე ამ წამის ამოთქმამ მომცა.
ოდნავღა მოჩანს ჭიშკარი, ერდო...
და როგორც დედის დამშრალი მკერდი,
ჩემის სოფელი შორიდან მლოცავს.

* * *

ეს ჩიტიც უცებ შემოგვეჩვია,
სველია ეზო, მუხები ჭარბობს.
ყველაზე სწრაფი ჩემი ეჭვია –
ყველა კედლიდან, კუთხიდან გარბის
თავპირისმტვრევით, როცა დავლანდავ
სადმე შენს სახეს, მშვიდსა და კეთილს,
და მიხარია რაღაც დაღლამდე,
ყველა ფოთოლი და ყველა წვეთი
მოძრაობს, თითქოს დაჰყვა მუსიკას,
თითქოს მუსიკას დაჰყვა ყანჩელის

და რაღაც ძალას ყველა უსიტყვოდ
ემორჩილება. მე კი დარჩენის
(ეს უნდა მეთქვა) შიში დამჩემდა,
გარდასვლის შიში გახრა ძვალივით.
ახლა არც სხვებთან, შენთან, არც ჩემთან –
არ მრჩება მშვიდად წასვლის ალიბი.
თუმცა, წასვლაზე რაც ითქვა, ითქვა,
ბოლოს თავის გზით მიდის სიკვდილიც...
და ვკრეფ რაფაზე დაცვენილ სიტყვებს,
ახლადშეჩვეულ ჩიტის სიფრთხილით.

ქრონიკები

დედის ნაწოლი საწოლივით თბილია მიწა,
ლიანდაგს მისდევს ჟანგიანი ვაგონის წყება
და ზოგჯერ ისიც მოგინდება, რელსებთან იწვე,
ან რელსებს შორის (შორს, ქალაქში ქარვასლა იწვის),
როგორც ამ ლექსის ამ სტრიქონებს... მოვაჭრე ყვება
რომ დაებუგა ოცი ნოხი, ორმოცი ფარდა
(საფარდე – ანუ), რომ მერია ჯერ ზარალს ითვლის;
რომ დაეღუპა ოჯახი და ოჯახის გარდა –
ქვეყანაც... დიდი ოჯახია ქვეყანა მისთვის.

სიცხიან დედის საწოლივით ცხელია ქვიშა,
ან უფრო მეტად... უფრო მეტად აქ წყურვილს ვებრძვით.
წუხელ მესიზმრა, წყალს მიჰქონდა ის ოქროს ვერძი
და სვეტიცხოველს უფლის კვართი კაცივით ეცვა.
აქ სხვანაირი თვალები აქვთ ბავშვებს და ქალებს,
აქ სხვანაირი ქარებია. ოჯახის ვალებს
გავისტუმრებ და გავიხურავ უდაბნოს ჭიშკარს.
ვარსკვლავებივით ამჩნევია ჰელმანდის ზეცას
ნატყვიარები. სხვა რა? ვცხოვრობთ, სხვა არა გვიშავს.

გარდაცვლილ დედის საწოლივით ცივია მიწა.
მამა ეძახის აზმუვლებულ ორი წლის მოზვერს,
ბებერ კოპიტზე მიაყუდებს სამთითა ფიწალს
და წელმოწყვეტით ჩამოჯდება მიგდებულ მორზე.
გადადის ღამე.
ჩადგა ქარი.
გულაღმა ვწევარ.
„ცხოვრება მოჰგავს ძველი ნავით ტალღებზე რწევას“, –
ვიხსენებ სადღაც ამოკითხულს, ოდესღაც, სტრიქონს,

თუ სწორად მახსოვს... იქნებ სულაც პირიქით იყოს:
ღამდება.
ქარი ამოვარდა.
გულდაღმა ვწევარ.

* * *

ორიოდ დღეში შემოდგომის სიგრილე მოვა,
ზურგზე დაგისვამს გამომშრალი ფოთლების ხაოს.
ჯერ კი აგვისტოს უქმეები გაცლის არაქათს,
მშობლებთან დაობ,
შვილთან დაობ,
ყველასთან დაობ!
ვინ შეგაჩეჩა ეს ქალაქი ლამაზქალაქად?
ვინ შეგახეტა ამ ქუჩებით მოფენილ ჭაობს?!
სკვერთან, გრაფიტში ჩატეული მკერდის ბარაქა,
ძაღლები,
ძელი,
ლოთები და ბოთლების გროვა.
სხვა ცხოვრებიდან შერჩენილი, თითქოს, ფრაზები
(ოცი აზიდვა შეასრულა მომწვანო ამწემ):
„წამოდი, სადმე მდინარესთან მე კარავს დავცემ,
უმთვარო ცაზე ვარსკვლავები დაჩნდეს, იქნება“...
ხომალდებისგან დარჩენილი თეთრი ხაზები
გაიფანტება, აიჭრება და აიქნება.
რით ვერ მოარგე გასაღები საკეტის ოვალს?!
შეხვალ, საწოლზე მიეგდები, როგორც ნაცემი.
ორიოდ დღეში შემოდგომის სიგრილეც მოვა.

ჩემი წიგნი

წუხელ სოფლად მოველ, ჩამოვიღე მხრიდან
მძიმე ტვირთი, მოწმე მთვარე იყო მარტო.
და წინკართან დედა სველ ტკივილებს მხდიდა,
როგორც ზამთრის წვიმით დამძიმებულ მანტოს.

დილიდან კი ისევ ორპირ ქარებს ვენდე,
ნალიიდან (ძველი) სხვა ჰაერი, სულ სხვა –
ჩავისუნთქე. მინდვრად მთელი ღამე ვეგდო
ხელგაშლილი – მინდა! სულმა იგრძნოს სუსხვა

რიჟრაჟისას. მთვარით გამობერილ აბგას
უდარდელა ბეჭზე მომცრო ცულის ტარით
შემოვიგდებ სტვენით. ღელე ამბებს დაფქვავს...
– გატლეკილა ენად – ეჭვიანობს ქარი,

აჭრიალებს მარნის ფარღალალა კარებს.
აჭარხლებულ სახეს ვერსად მალავს ხაპი:
ჭინჭილასთან, მორცხვად რომ გვაპარებს თვალებს,
ტუჩი ტუჩზე ედო წუთის წინათ – პაპის

ძველის-ძველის-ძველი საწნახელის გვერდით.
მეც გამექცა ფიქრი... გამახსენდა ახლა:
ჩემი მძიმე წიგნი, ოცდაშვიდი გვერდით,
შენი – ყველა გვერდით ოცდაოთხი დაღლა.

მე ვარ ამბოხი

„უკეთუ ტკბილი არა დაღვინებულ იყოს,
ამბოხ იწოდება“.

საბა

მე ამბოხი ვარ –
შენი ცრემლით დარწყულებული,
ახალ მთვარეზე ამისხიპეს დედას მკლავები.
უმთვარო ცაზე დაჩენილი ვარსკვლავებიდან
ერთი მათგანი შენიც იყო – დაწუნებული
(შენ ხომ სულ მუდამ ემდუროდი ბედის ვარსკვლავებს);
რაც არ უნდა ვთქვათ, ჩვენ ერთ ძელზე მაინც გაგვსვამენ,
ოღონდ, ეს მერე, მერე, ჩემო – სხვა დროს მოხდება...

მანამ კი დედას შესხეპილი მკლავების კოცონს
მთვრალი ჭინკები გადმოჰყავდა ძველი მარნიდან,
ცა უნათებდა გამურული, ძველი ფარნიდან
და მთების იქით გადარბოდნენ; ღვინიან ბოცებს
ჭამპურა ჭინკა მიათრევდა, ბუძგა, ბაჯბაჯა...
ძველისძველ ამბებს რომ გიყვები, ვიცი, კვლავ მოგწონს
და კუთხეს (ტუჩის) შეღიმება ძლიერ უხდება.

გავიზაფხულე. და შენ ჩემი იყავ ტაროსი –
მოოქვრილ კევრებს აბრუნებდი ცისფერ კალოზე.
დილით ნამავდი დედის კაბას ზურმუხტდაფერილს
და შენი ცრემლი უხდებოდა მსუბუქ სამოსელს.
აღარ მახსოვდა, იცი, მერე აღარაფერი:

კაცის თვალით რომ დავინახე შენი ცრემლები...
შენთვის რომ ტირი, სადღაც, ჩუმად, ახლაც ვევნები.

ღვინობისთვეში უკვე გახდი ჩემი ნაწილი,
ისე ერთბაშად გადმოხვედი ჩემში – დავმწიფდი.
დამიდიოდი...
ერთადერთი – და – რაც მიკვირდა:
ისევ ჭინკები ქირქილებდნენ მარნის იქიდან.
მერე კი, მერე, წვიმაში რომ მშრალ ხიდს გამოვცდით
და ცისფერ თავშალს შეეფარე ტაძრის ეზოში,
ბოლოჯერ მივხვდი: არაფერი აღარ მაოცებს!

მერე თვეობით ვასკდებოდი ხორკლიან კედლებს –
ვცდილობდი, მთელი შენი სიტკბო გამექრო ჩემში;
ბოლოს მოვდუნდი და ფუთფუთა ჩემს იღბალს ვენდე.
მთვარე ირიბად უყურებდა შენთმისფერ ფერდობს
(კვლავ რა ნეტარი სიმშვიდეა შენს სახლში, ღმერთო!).
ახლა მშვიდად ვარ. ალბათ, მალე სიმშვიდე შემშლის!
მე ვარ ამბოხი.
ამბოხი ვარ!
ამბოხი,
გესმის?!

მე გნატრობ

ამ ერთმა დილამაც დააწყო უშენო
თითები მინებზე და სუნთქვა შემიკრა –
ოქროსფერ ღილებით. კლდეს თავ-პირს უშენენ
უძილო ფიქრები და მესმის შენი ხმა.
და ერთ წყვილ სამკუთხედს მერცხლების დაჭრილი
კრიალა ზეცისას, თვალებზე დავიფენ.
ვმშვიდდები – დროებით... და ჭრელი ნაჭრებით
დახუნძლულ ხესთან ვარ:
ალიხე, მალიხე, სალიხე...
ალიხე...
და ღმერთმა შეგინდოს –
დღეს ჩემი დამხრჩვალი ოცნება ჭინკებმა
ქირქილის თოკებით ბეღელში შეჰკიდეს.
სიბნელე.
სიბნელე.
სიბნელე...

იქნება სულშიდაც გათენდეს,
ჩემამდეც მოხვიდე ეგება!
და თვალებს ლეკვივით ამიხელს
მაგ ცხელი ტუჩების შეხება.

ხომ ხედავ? – მე გნატრობ:
ალიხე, მალიხე, სალიხე...

ვერდი...

მე მომისაჯეს უშენობა. უშენოს, უშენ...
მთელი ზაფხული ეგ ღიმილი (მციოდა) მეცვა.
და ულაყივით ზეცას ტორებს ვუშენდი გუშინ,
ნაპერწკლებივით ვარსკვლავები სცვიოდა ზეცას.

ჰაერი იყო ჩახუთული. ჩახუთულ, ჩახუ...
მონაცრისფერო ოთახებში ვამსხვრევდი ფანჯრებს.
გაუთავებელ – საფეთქლებში – ჩაქუჩის რახუნს
ბოლო მოეღო: ცხოვრებასთან დასმენით ჩამჭრეს.

როგორ მეკიდა ეს ცხოვრება! მეკიდა, მეკი...
და მძულდა ყველა, ვინაც (თუნდაც დარცხვენით) ლოკა
მეფის ქოშები! გულზეც ჯვარი ეკიდა... მე კი
ის ვერ ვისწავლე, მოვუნაცვლო მარცხენა ლოყა,

როდესაც ვინმე მარჯვენა ყბის სიგამხდრეს უტევს.
შენ კი სიზმრებში დარიალობ. დარია. დარი...
მე კუბოსავით დამძიმებულს მივათრევ წუთებს
და უფსკრულებთან კიდევ უფრო ჩქარია ქარი...

გულადმა ლექსი

ახლა სიბნელე აწვალებს ფარდას –
კატის კნუტივით.
მე ვწევარ ზურგზე...
ირწევა ნავი, თუ დედის კალთა
და არმაზს უჩანს წაზრდილი კუზი.

მთვარე ჰგავს პურის ობიან ყუას,
თვალები ისევ ნაცრით მაქვს სავსე.
შორს, ნადაბურთან კვლავ მგელი ყმუის
და ცარიელ დოქს ყმუილი ავსებს.

ვერაფერს იტყვი, იქაც და აქაც,
უთუოდ ყველგან მოყირჭდი ყველას:
ვით საძინებლის თეთრ ჭერზე ლაქა,
ვით პანსიონში მოხუცის ხველა...

დაწუნებული ლექსების ხემსი
ჩაიწყო უნდა, აუყვე მაღლობს
და ქრისტეშობის (ნანატრი) მსგეფსი
მშრალი რითმები ლოღნო თუ ალღო.

მაგ დაშაშრული, ძირმწარე ენით,
ჯერაც რომ ვერ თქვი მართალი სიტყვა...
თუ ნერვებს მხოლოდ დაწყვეტა შველის,
თუ ზეცას შვენის ფერები მიტკლის –

ფეხს ნუღარ ითრევ მოხურულ კართან!
(სიზმარში დედა ხელსაქმეს უზის)
ირწევა ნავი, თუ დედის კალთა
და არმაზს უჩანს წაზრდილი კუზი.

მარტის ფოთოლცვენა

სხვანაირი ფიქრი იცის მამაჩემმა,
სხვანაირი ფიქრი და დარდი.

აი, ახლაც, გულაღმა წევს საწოლზე,
ჯარისკაცის ძველი, კიდეებგაცვეთილი ქუდი თვალებზე ჩამოუფხატია
და თითქოს მიცვალებულ მამას აჯავრებსო –
არ სუნთავს, არა!
მხოლოდ ხანდახან ჩაახველებს ხრინწიანი ხმით.

დღეს არც ცოლზე ეფიქრება,
არც შვილზე ეფიქრება.
არც – როგორც თვითონ იტყვის ხოლმე – „ამ დაქცეულ ქვეყანაზე“ ეფიქრება:
ბავშვობის ლანდებს დასდევს
ქუდის ჭრელ მღვიმეს შეფარებული თვალი.
ხედავს:
როგორ გამოაქვს დილის მზით ორთქლადენილი ბოსლიდან
დედას აქაფებული რძე და
სამფეხზე შემოსკუპებულ ქოთანში ასხამს;
როგორ ეცემა პატარა ძმის ცრემლები
სოხანეზე ვერცხლისწყალივით აგორებულ ცხელი რძის წვეთებს;

როგორ დასტრიალებს საარყე ქვაბს შეზარხოშებული მამა და
კვამლით აცრემლებულ თვალებს
ნაცარწმენდილით დასვრილი ხელის ზურგით იწმენდს;
როგორ ჩამოაქვთ ჭრიალაღერძიანი ურმით
უფროს ძმებს ყვავათავას მთიდან შეშა და
როგორ უხურთ კისრები ფერდებჩაცვენილ ხარებს;
როგორი რუდუნებით კრეფს ბაბუა ბეღლის გვერდით ამოსულ თუთუნს,
რომ მერე, დიდთოვლობისას,
გახურებული ბუხრის შეჭვარტლულ ქვას მიუკაკუნოს გაჩაღებული ყალიონი
და სოფლის დარდით ღამენათევმა აღარ დაგაყენოს შინ:
– ჰე! წყაროს გზა არ ჩაიკეტოს, შვილებო!
ჩადი, ოთარო და ამოდი!
ჩადი, ნოდარო და ამოდი!
ჩადი, ანდრიკო და ამოდი!

ზამთარში თბილია საფაჩქიის წყალი...

სხვანაირი ფიქრი იცის მამაჩემმა.
ნაშუაღამევს წამოდგება მთვარეულივით და
შიშველი ფეხებით მოძებნის ფლოსტებს.
წაფრატუნდება და წინკარამდე სამჯერ მაინც წამოახველებს.
აივანზე ფეხქვეშგაგებულ ძაღლს დაბალი ხმით მიეფერება და
ეზოში გასულს, გარინდებულს
გუშინდელი თოვლის სიცივე დაუბრუნებს დღევანდელობას.
მარტის თოვლზე გაცილებით ცივია ფიქრი:
ხვალ ოთარის საფლავს გათხრიან...

ჩადი, ოთარო და ამოდი!
ჩადი, ოთარო და ამოდი!
ჩადი ოთარო და...

ამოდის. ამოიწვერა...

საჩეხიდან გამოშვებულ ხბოსავით აზმორებს სოფელი.
„მამასაც სიკვდილამდე ერთი თვით ადრე წაერთვა ენა...“
„მაინც ვერ ჩამოუსწრო იმ დასაქცევი მოსკოვიდან ბიჭმა...“
„ის მარტიც თოვლიანი იყო, დედა რომ წავიდა...“
„თოვლიან მიწას ნუ აყრითო – მესაფლავეებს ეხვეწებოდა...“
„ფოთოლცენისას უნდა მოვკვდეო...“
„მარტის ფოთოლცვენაა ახლა.“

სხვანაირი ფიქრი იცის მამაჩემმა,
სხვანაირი ფიქრი და დარდი.

ლინდა ჯაფარიძე

ახალი ლამაზი დღე

(ამონარიდი რომანიდან „დანატოვარი“)

ახალი ლამაზი დღე გათენდა. ათამ ტკბილი კვერები ჩანთაში ჩააწყო და სკოლაში წავიდა. სკოლის ჭიშკართან დათა შემოხვდა. დათა წაბლისფერთმიანი, ლურჯთვალება ბიჭია. ათამ და დათამ ერთმანეთი სკოლის გამოფენაზე გაიცნეს. დათას ათანასია როგორც კი დაუნახავს გულისგულში უთქვამს: „ეს გოგო სულ მეყვარებაო“ და მას შემდეგ სულ ათაზე ფიქრში ატარებდა დროს.

გუგებგაფართოებულმა დათამ მოწიწებით ქვემოთ დაიხედა და იკითხა: – გამარჯობა, ათა, როგორ ხარ?

– კარგად, დათა, შენ?

– უკვე კარგად... ათა, რომელ საათზე ამთავრებ გაკვეთილებს?

– ორ საათზე, შენ?

– მე უფრო ადრე ვამთავრებ, დაგელოდები და ერთად წავიდეთ, რაღაც უნდა გითხრა.

ათა გაკვეთილზე გონებაგაფანტული იჯდა, დათაზე ფიქრობდა: – ჰმმ, ნეტავ რა უნდა მითხრას? თან ისე ნერვიულობდა... ნეტავ... ამ ფიქრებში დროც გავიდა.

სკოლის ჭიშკართან დათა აღელვებული წინუკან დადიოდა, მოლოდინში არ იცოდა, რა ექნა.

ათაც გამოჩნდა: – მოვედი აბა, რა უნდა გეთქვა?

– ათა, მოდი სკოლის ავტობუსს ნუ გავყვებით, ფეხით გავისეირნოთ სახლამდე.

– კარგი გავისეირნოთ.

სიჩუმე ჩამოწვა. შემოდგომის ფერად-ფერადი ფოთლები ნაფეხურების ქვეშ საოცრად შრიალებდა. დათა ხმის ამოსაღებლად მოემზადა, მაგრამ ფეხი წამოიკრა. ათას სიცილი წასკდა. ლოყებაკვასკვასებულ დათასაც გაეცინა.

– რა უნდა მითხრა, დათა? ნახევარი გზა უკვე გამოვიარეთ, შენ კი არაფერს ამბობ.

– უნდა გითხრა, ოღონდ ერთი წუთით გაჩერდი!

– გეშინია ისევ ფეხი არ წამოიკრა?

– არა, მინდა თუნდაც ერთი წუთით გაჩერდეს სამყარო ჩვენთვის. დანახვისთანავე შემიყვარდი, შენი ციმციმა თვალები და კეთილი სახე ჩემთვის იმაზე მეტია, ვიდრე წარმოგიდგენია. ჩემს ოცნებებში მე და შენ შეყვარებულები ვართ!

ახლა ათას აუწითლდა ლოყები, ტუჩზე ღიმილთან ერთად ნერვიულობამ გადაურბინა, დამორცხვებულმა ძლივს წარმოთქვა: – დათა, რას ნიშნავს შენთვის სიყვარული?

– შენს თვალებში ვიკარგები და სიცოცხლე მიხარია, შენს გამო ყველაფრისთვის მზად ვარ, ჩემი სიყვარული თავად ხარ ათა.

– ყოველთვის გეყვარები დათა?

– პირველი ნახვით შემიყვარდი, სულ ყოველთვის მეყვარები, ციმციმა. შენ არაფერს მეტყვი?

– დათა... იცი... მეც მიყვარხარ! თანაც, მეც დანახვის დღიდან... მაგრამ არ მეგონა თუ შენც

იგივეს გრძნობდი. ფართო ღიმილისგან ათას ოცდათორმეტივე კბილი გამოუჩნდა. დათასაც მზესავით უნათებდა სახე: – მე კი ვერ წარმოვიდგენდი თუ შენც გეყვარებოდი. დიდი ხანია ვცდილობდი მეთქვა. ხან რა მოვიფიქრე, ხან რა, მაგრამ ვერა და ვერ გეუბნებოდი... – ნეტავ ახლა ისევ გზის დასაწყისში ვიყოთ, თითქმის მოვედით შენს სახლთან, ათა.

– არაუშავს, ისევ ვნახავთ ერთმანეთს, თუმცა უკვე გვეცოდინება, რომ ერთმანეთი გვიყვარს. აქედან მარტო წავალ, ჯერ საიდუმლო იყოს ჩვენი სიყვარული.

– კარგი, როგორც იტყვი, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხნით. დროებით, ათა, დღევანდელ ამბავს დღიურში ჩავწერ, რომელშიც შენს ამბებს ვინახავ.

– რა? რომელ დღიურში?

– ამას მერე გეტყვი.

– კარგი, დათა, დროებით.

ათა მომავალი შეხვედრით უფრო დაინტერესდა.

– ათა, ათა, ლამის დამავიწყდა. ეს ყვავილი სახლიდან წამოგიღე, დედას საყვარელი ყვავილია, იმედია შენც მოგეწონება. დათამ ჩანთიდან პატარა ქოთნით ვარდისფერი ვარდები ამოიღო.

– რა ლამაზია, დათა, ძალიან მომწონს. დიდი მადლობა.

– მიხარია, რომ მოგეწონა, კარგად ციმციმა.

– დროებით დათა.

თვალებაციმციმებული, განათებულსახიანი ათა ცეკვა-ცეკვით, სიმღერით შევიდა ოთახში, თან ნაჩუქარ ყვავილს ატრიალებდა. ამ დროს ბაბუმ გამოიარა, ჩაცინებულმა უთხრა: სულ ეგრე სიხარულით სავსე მენახე, შენი ჭირიმე, როგორ უხდება შენს ლამაზ სახეს შენი თბილი ღიმილი.

მადლობა ბაბუკო, მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ! ათა ბაბუას მაგრად ჩაეხუტა.

– ათა, შენი გამოხედვა, ცეკვა-თამაში ძალიან მეცნობა. პატარა სანათა გამახსენე. ზუსტად შენნაირად აფრქვევდა სიყვარულს, მზის სითბო მოდიოდა მისგან. წრფელი სიყვარული გქონოდეს მუდამ, კუსი. გაკვირვებულ ათას აინტერესებდა როგორ მიუხვდა ბაბუა? თან უხაროდა, რომ ბაბუამ უკვე ყველაფერი იცოდა: – ბაბუკა, დღეს დათამ სიყვარული ამიხსნა, ერთად მოვდიოდით, ჯერ დუმდა, ფეხიც კი წამოიკრა, შემდეგ კი გამიმხილა რომ წლებია ვუყვარვარ, ისევე როგორც მე.

– მაშ, ნერვიულობდა? და დუმილში სათქმელ სიტყვას ეძებდა? ჰყვარებიხარ ბიჭუნას, მაგრამ სანამ სიყვარულს ბოლომდე ირწმუნებ, დააკვირდი მას.

– აუცილებლად, ბაბუკო, ბაბუ, შენ როგორ გამოუტყდი ბებოს სიყვარულში?

– ჰეჰ, ჩემს ციმციმას?

ათას გაეღიმა. დათაც ხომ ციმციმას ეძახის: – კი, მომიყევი, ბაბუკო.

– ჩემს კოპწია სანათჩიკს წლები შევსციცინებდი სანამ გავუმხელდი. ერთ დღეს გადავწყვიტე მივსულიყავი და პირდაპირ მეთქვა. თმები გადავივარცხნე, კარგად გამოვეწყე. გზაში წინადადებებს ვაწყობდი, როცა მისი სახე დავინახე, მაინც ყველაფერი ამერია გონებაში და საბოლოოდ დავიბენი. სანათა მომიახლოვდა, თვალებს არ მაშორებდა. თვალებით თითქოს მეუბნებოდა თქვი, რაც გინდა მეც სათქმელი მაქვსო. მახსოვს, ბაბუკო, ძლივს ამოვიღე ხმა: – სანათა, წლებია ჩემს გულს ანათებ, რაც დაგინახე ყველაფერი უკეთ გამომდის, ჩემი ცხოვრების ძალა და აზრი ხარ, ძალიან მიყვარხარ-მეთქი. თურმე ისიც წლები ელოდა ჩემს ამ სიტყვებს. მაშინვე მიპასუხა, არ დამავიწყდება მისი სახე.

– ჩემო შაქრო, წლებია ამ სიტყვებს ველი მეც, უკიდეგანოდ მიყვარხარო.

გაღიმებულმა ათამ გაიფიქრა არის რაღაც მსგავსება დათას და ბაბუას შორის: – ბაბუკა ახლაც ისე გიყვარს ბებო, როგორც მაშინ?

– უფრო მეტად მიყვარს, კუსი, უფრო მეტად. ტყუილი ყოფილა სიყვარული ნელდებაო, სიყვარულს სიბერე არ ემუქრება. ჩვენთან წლებმა სიყვარულს ვერაფერი დააკლო, ერთმანეთის ჭაღარაც კი გვიყვარს. გულიც იგივე გვაქვს და გრძნობაც. ბევრი გამოვიარეთ, ბევრიც წარსულში დავტოვეთ, მაგრამ უსიყვარულოდ ერთი დღეც არ გვიცხოვრია.

„ვარდი უეკლოდ არავის დაუკრეფია“

მზიანი დღე იყო. შაქრო ყვავილებს რწყავდა და მისებურად ეფერებოდა. ყვავილებიც თითქოს გრძნობდნენ მის სითბოს და საოცარ სურნელს უბრუნებდნენ სანაცვლოდ. ულამაზესი სანახავი იყო შაქრო ბაბუს აყვავილებული ეზო. მიუხედავად არდადეგებისა ათანასიას მაინც ადრე ეღვიძებოდა, გაღვიძებულმა ბაბუ ყვავილებთან შენიშნა და მასთან მივიდა.

– ბაბუ, დაგეხმარები, მეც მოვრწყავ ყვავილებს.

– არა, შენი ჭირიმე, ცოტა დარჩა და მეტი აღარ სჭირდება, დაისვენე, დღეს შაბათია.

– ბაბუ, დათამ იმ დღეს პატარა ქოთნით ყვავილი მაჩუქა, იქნებ ისიც დავრგოთ ჩვენს ეზოში?

– მოიტანე, კუსი, გადავრგოთ.

გაცინებულმა ათამ ყვავილები გამოარბენინა: – აი, ეს ვარდისფერი ვარდები.

– კარგია, სანათჩიკსაც გაუხარდება ახალი ჯიშის ვარდების დანახვა. მახსოვს ადრე, როცა ვეპრანჭებოდი, ყოველ დღე სხვადასხვა ფერის ვარდებს ვჩუქნიდი. სანათას მამას არ მოვწონდი, ვარდებს ართმევდა და გარეთ ყრიდა. ატირებული სანათა კი სახლში შედიოდა. მეც გულდაწყვეტილი ვბრუნდებოდი შინ, მაგრამ ბაბუ ხომ გაგიგია „ვარდი უეკლოდ არავის დაუკრეფიაო“, სიმწარეც უნდა აიტანო, დაბრკოლებებსაც უნდა გაუძლო, იბრძოლო შენი სიყვარულისთვის. მაინც გავუძელით მე და შენმა ბებომ, მის ჭრელ თვალებს ვენაცვალე. ვინ იცის, რამდენი ცრემლიანი ღამე გაუთენებია მასაც.

– ჰმმ, ბაბუ, განა რატომ არ მოსწონდი? ნეტა რას გიწუნებდა? მშრომელი, ჭკვიანი და კეთილი ბაბუ ხარ.

გაღიმებულმა შაქრომ ათას ფუმფულა ლოყაზე აკოცა და საქმეში გადაერთო. ათა ხის პატარა სკამზე იჯდა და ბაბუკოს სიტყვებზე ფიქრობდა. ჩაფიქრებულს სანათა ბებოს ხმა შემოესმა.

– რა ლამაზია, ათა, ეს ვარდები საიდან?

– მეგობარმა მაჩუქა ბებო, ბაბუმ მითხრა, რომ მოგეწონებოდა.

– გიმუშავიათ დილიდანვე შენ და შაქროს.

– კი, ბებიკო, ვარდები ყველაზე მეტად გიყვარს?

– კი, ჩემო ცუგრუმელა. ვარდებს, რომ ვუყურებ თავი ისევ ახალგაზრდა მგონია. შაქრომ შემაყვარა, მაგას ვენაცვალე. როცა ერთმანეთის ნახვას გვიშლიდნენ, ყოველ დღე ვარდები და წერილები მხვდებოდა კართან, ყოველი წერილის ბოლოს ეწერა: „ვარდი უეკლოდ არავის დაუკრეფია“.

– ბაბუმ მომიყვა, შალიკო ბაბუ როგორ გართმევდა ყვავილებს და ყრიდა.

– დღემდე ახსოვს! ან რა დაავიწყებდა. ეგრე იყო ათა, მაგრამ ჩვენ მაინც ყველას ვაჯობეთ, – ბებიამ ვარდებს გახედა და თქვა: – ეს ვარდები მართლაც გამორჩეულად ლამაზებია, მადლობა შენს მეგობარს, მეც გამახარა.

– აუცილებლად გადავცემ ბებიკო.

120 წამი

ღრუბლიანი დღე იყო. ათა ცას გაჰყურებდა, როცა დათამ დაუძახა.

– გამარჯობა, ციმციმა, დღეს ისევ შევხვდეთ.

– კი, დათა, შევხვდეთ. ისევ ისე გავისეირნოთ.

– გაკვეთილებზე მასწავლებელი არ გააბრაზო. – გაეხუმრა დათა ათანასიას.

გაღიმებული ათა კლასში შევიდა. ათას მერხთან უცნობი ბიჭი იჯდა.

– გამარჯობა, მე დამიანე მქვია, შენ? – დამიანე ათას თვალს არ აშორებდა.

– ათანასია.

– სასიამოვნოა, უკვე მიხარია, რომ ამ კლასში მოვხვდი.

დამიანე ლაქლაქა აღმოჩნდა. ათანასიას გაკვეთილების მოსმენის საშუალება არ მისცა. უთავბოლო ისტორიებს უყვებოდა და მისი ჭკუით თავს აწონებდა გოგოს. ათა კი გაკვეთილების დამთავრებას ელოდა.

– სად ცხოვრობ? მანქანით მომაკითხავენ, შენც გაგიყვანთ.

– არა, არ მცალია.

– კარგი, მაშინ სხვა დროს იყოს.

ათა ჭიშკართან მომღიმარ დათას უყურებდა და ერთი სული ჰქონდა როდის მიუახლოვდებოდა.

– აბა, რას ვშვრებით, მივსეირნობთ ფეხით სახლისკენ?

– კი, კი, დათა, თან შენს დღიურზე ვილაპარაკოთ.

– ვიცოდი, რომ გამახსენებდი. ჩაიცინა დათამ და ჩანთიდან პატარა წიგნაკი ამოიღო.

ათა უყურებდა მინიატურულ, ხელით აკინძულ წიგნაკს, რომელსაც ყდაზე სხვადასხვა ფერის კალმით ეწერა – „ათა ჩემს გულში“.

ათამ ჩანაწერების პირველი გვერდი გადაშალა და კითხვა დაიწყო.

„გამორჩეული თარიღები:

17 ოქტომბერი – სკოლის გამოფენა, პირველი შეხვედრა სიყვარულთან.

22 ნოემბერი – ბიბლიოთეკა, სიჩქარეში შემთხვევით შეჯახება ათანასიასთან.

28 დეკემბერი – სკოლის ეზო, გუნდაობა ათანასიას კლასთან...“

ასე გრძელდებოდა დღევანდელ დღემდე. სიხარულით სავსე ათანასია ცდილობდა გონებაში ყოველი თარიღი გაეხსენებინა, რომელიც დათას ჩანიშნული ჰქონდა.

– დათა, სიტყვები არ მყოფნის, საყვარელი ჩანახატებია! ძალიან გამახარე!

– მე კი შენ მახარებ! ამ დღიურში უკვე ერთად ჩავწერთ ჩვენს ისტორიას. ახლა ბოლო გვერდზე გადაშალე.

დათას დიდი ასოებით ჩაეწერა: „18 ნოემბერი – სახლისკენ მიმავალი გზა – სეირნობისას ათას ჩავეხუტები“.

ათანასიამ როგორც კი დაასრულა კითხვა, დათას ზღვასავით ატალღებულ თვალებში ჩახედა. მოულოდნელად დათა თბილად მოეხვია. ორივე მოწყდა სამყაროს, თითქოს ყველა და ყველაფერი გაქრა. წრფელი გრძნობებით მფეთქავი გულები დგუშუნებდა. დათა ათასთვის არსებობდა, ათა დათასთვის. წვიმის წვეთები მათ მომღიმარ სახეებს სასიამოვნოდ ასველებდა. წკაპ... წკუპ... წკაპ... თითქოს წვიმა არემარესაც ეფერებოდა.

– ათა, აი ეს არის ნამდვილი ბედნიერების წვიმა.

– ბედნიერების და კიდევ სიყვარულის წვეთების წვიმაა, დათა. აუცილებლად ჩავწეროთ ჩვენს დღიურში.

სიხარულით და ენერგიით სავსენი ხელიხელჩაკიდებულნი მიაბიჯებდნენ წვიმაში. გზადაგზა ერთმანეთს სიყვარულით შესციცინებდნენ და იღიმებოდნენ. ათა სახლში ისევ ცეკვა-ცეკვით დაბრუნდა. დათა კი სიმღერ-სიმღერით გაუდგა გზას.

ლაღი ჯაფარიძე

ჩანახატები

* * *

ვუსმენ ჩიტების ჭიკჭიკს და ვეძებ სიტყვას, რომელიც ჩემს გრძნობას გამოხატავს!

ვეძებ და ვერ ვპოულობ...

ჟღურტულებენ ჩიტები და იქნებ სწორებ ეს არის სულის გამოძახილი, რომელიც მხოლოდ ჩიტების ჭიკჭიკში იჩენს თავს?

ხანდახან ვფიქრობ, რომ ეს სიტყვები ჩვენთვისაა დამალული. მხოლოდ მაშინ შეიძლება გავიგოთ, როდესაც უფრო სუფთა, უფრო ბუნებრივი ვიქნებით.

მანამ კი, უბრალოდ ვუსმენ ჩიტების ჭიკჭიკს...

* * *

გული ეტკინა, ცრემლებმა დაუნამა სახე, არ იმსახურებდა ამ საყვედურს, მაგრამ, დრო არავის ინდობს... თითქოს ყველა სიტყვა მძიმედ აწვებოდა და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმესაც კი ესმოდა მისი გულისტკივილი. თითქოს ყველამ და ყველაფერმა ზურგი აქცია, ვერ ხვდებოდა, როდის გადაიქცა ეს სევდა მისთვის ნორმად.

„არაფერია ასეა ცხოვრება“, – გაიფიქრა გულში, თუმცა მაინც ვერ შველიდა ამ სიტყვებს. გრძნობდა, რომ შინაგანად ნაპრალები ემატებდა და ის ნაპრალები უფრო და უფრო ღრმავდებოდა, როგორც ძველი ჭრილობები, რომლებიც არასდროს სრულად არ ხორცდება.

მაგრამ მაინც, შიგნით არსებულ სიბნელეში იმედის ნაპერწკალი ინთებოდა. თითქოს სადღაც, ბნელ კუთხეში, ჯერ კიდევ დარჩენილი იყო რაღაც, რისთვისაც ღირდა ბრძოლა – თუნდაც ეს მხოლოდ საკუთარ თავთან ბრძოლა ყოფილიყო.

ცრემლები მოიწმინდა, სარკეში ჩაიხედა და საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ არ დანებდებოდა...

* * *

თვალები გაახილა, ღრმად ჩაისუნთქა და გზა გააგრძელა...

თითქოს ირგვლივ ვარსკვლავები ჩამქრალიყვნენ. ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა, რომ ძალა ემატებოდა და წინ მიიწევდა. გზა მას მიჰყავდა, არ ეძებდა, არ ეკითხებოდა – უბრალოდ მიჰყვებოდა, როგორც წყალი მიჰყვება მდინარის დინებას.

გარშემო სიჩუმე იყო და თან ხმაური.

ის გრძნობდა – საითაც მიდიოდა.

მართლა მიდიოდა? ამის გარკვევას აზრი აღარ ჰქონდა. გზა იყო... და იქნებ არც გზა იყო, უბრალოდ უწყვეტი არსებობა, სადაც ნაბიჯები იყო მისი ქმედების ერთადერთი პასუხი.

ისიც მიდიოდა...

* * *

ფანჯარა გამოაღო, სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და...

მზის სხივები ხელისგულებზე დაეკიდა.

ცოტა ხანს ასე იდგა – ჩუმად, ფიქრებმა სადღაც შორს წაიყვანა, რა არ გაახსენდა...

თითქოს მთელი სამყაროს შემოვლა უნდოდა, მაგრამ, რაღაც უშლიდა ხელს და გამოსავალს ეძებდა.

სიჩუმე მანქანის სიგნალის ხმამ დაარღვია.

მერე კი თითქოს ყველაფერი ერთ წამში გაქრა,

ფიქრები ჩუმად შემოძვრნენ, სევდიანად,

დრო თითქოს მისგან შორს გაიქცა. ის კი აქ იყო, ამ რეალობაში.

ახლა მხოლოდ იმ მზის სხივების იმედი ჰქონდა, ხელისგულზე რომ ეკიდა და ათბობდა...

* * *

მას კი ეძინებოდა, მაგრამ ფიქრები

გონებას უსვამდნენ უსასრულო კითხვებს:

დღემ ასე რატომ ჩაიარა?

რა დარჩა ხვალისთვის, ან ვინ იქნება მომდევნო? წამები უხმოდ იკრეფდნენ ძალას, დაღლილ თვალებს სიზმარი ელოდა, მაგრამ გონებას სიჩუმის ეშინოდა,

და ფიქრები კვლავ უმძაფრებდნენ ღამის ჩრდილებს.

ძილი უკვე ხუმრობას ჰგავდა მისთვის. მას კი ეძინებოდა, მაგრამ ფიქრები გონებას ისე ეხებოდნენ, როგორც ქარი ფოთლებს, სიჩუმეც კი თითქოს ჩუმად ეჩურჩულებოდა: „არ დაიძინო“...

ერთ წამს ცრემლიც კი ჩამოუგორდა, მაგრამ ჩუმად ჩაიკარგა ბალიშის კიდეზე, გონება კი კვლავ იგივეს იმეორებდა,

„დღევანდელი ღამეც ფიქრებისთვის იყოს“.

სიცოცხლის გზა

უკვე მესამე კვირაა, რაც ნინო საავადმყოფოს ფანჯრიდან გაჰყურებს ქალაქს. მისი საწოლიდან ხედი მზის ჩასვლას და ქალაქის ხალხმრავლობას აერთიანებს. ფანჯრის მიღმა ქალაქი თითქოს არ ჩერდება, არ იკლებს მოძრაობა, მაგრამ მისთვის ეს ყველაფერი თითქოს გაჩერდა.

ამ ბოლო დროს, ნინო საკუთარ ცხოვრებას, როგორც გზაჯვარედინზე დგომას, ისე ხედავდა. ცხოვრება, რომელიც აქამდე მოჩანდა ისე ნათლად და განსაზღვრულად, ახლა ბურუსშია გახვეული. დიაგნოზმა, რომელიც მოულოდნელად გაიგო, გაანადგურა და ახალი რეალობის წინაშე დააყენა.

იყოველი წამი სიარულის მსგავსია უდაბნოში, სადაც არც წყალია, და არც მცენარეები, მხოლოდ სიბრტყე და სიცარიელე.

მკურნალობის პროცესში ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს: ექიმების კონსულტაციები, წამლები, ინექციები, ტკივილი, რომელიც ნელ-ნელა მისი თანამგზავრი გახდა. იმედი, რომელიც თავიდან ძლიერი იყო, ახლა უფრო მეტად ჰგავს ნაპრალს, რომელიც სულ უფრო ფართოვდება.

თუმცა, მაინც ცდილობს ძალების მოკრებას. ისიც კი, რაც ადრე ჩვეულებრივი ეჩვენებოდა – მზის სხივი, ჩიტების ჭიკჭიკი, საყვარელი ადამიანების გამოძახილი – ახლა ძვირფასია. თითოეული ეს ნიუანსი მისი დღეების ნათელი წერტილია, რაც ცხოვრებას აზრს აძლევს.

ნინოსთვის ცხოვრება, მიუხედავად სირთულეებისა, მაინც არის იმედის წყარო. მან შეიგრძნო, რომ ყოველი დღე შეიძლება იყოს ახალის დასაწყისი, რადგანაც ის, რაც ფანჯრიდან ჩანს, არის სიცოცხლის უწყვეტი გზა, სადაც ბოლო ჯერ არ ჩანს.

ფიქრობს იმაზე, როგორ იკარგება დრო. თითქოს წლების განმავლობაში ფეხი ვერ აუწყო ცხოვრების სწრაფ ტემპს, ახლა კი, როცა იძულებულია საწოლში დარჩეს, დრო გაჩერდა. ყოველი საათი უსასრულოდ იწელება და...

* * *

ორ საათზე მეტი იჯდა გაუნძრევლად, თვალით მხოლოდ ერთ წერტილს უყურებდა, ალბათ იქიდან რაიმე პასუხი უნდა მოესმინა, მის გონებაში მხოლოდ ერთი კითხვა ტრიალებდა — რატომ? რატომ მოექცა ასე?

მაგრამ ახლა... იმ მეგობრობის ნამსხვრევებზე იჯდა, და გულში სიბრალულთან ერთად ბრაზი იდგა. რატომ? რამ გადააწყვეტინა ასე მოქცევა? შესაძლოა, მასაც რაღაც სტკიოდა, მაგრამ ეს არ ამართლებდა მის ღალატს.

ცრემლი ნელ-ნელა ჩამოეწვეთა ლოყაზე. ფიქრობდა: „განა ასე სრულდება ყველაფერი? ასე იკარგება ნდობა? მე არ მცნობია ისე, როგორც მეგონა“...

ამ ფიქრებში იჯდა, გაუნძრევლად, მატულობდა კითხვები, თუმცა პასუხები არ ჩანდა...

* * *

იფიქრა, ცოტას ფეხით გავისეირნებ, მარტოც არ ვარ და ერთმანეთსაც უფრო კარგად მოვიკითხავთო,

მაგრამ...

არ დაელოდნენ, არც გაახსენდათ, რომ ეკითხათ, თუ მიდიოდა.

გზა შორიც არ იყო, მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი,

თუმცა, მხოლოდ საკუთარი ჩრდილი და ნაბიჯები

გაჰყვნენ ბოლომდე.

სიჩუმეში გულისცემის ხმა ესმის, გულში კი კითხვებია,

მიდის თუ მოდის?

და პასუხის მოლოდინში წამით შეჩერდა, მერე გაიღიმა, თავი ამაყად ასწია და ნელი ნაბიჯით გაუყვა გზას.

სევდა კი მთელ გზას მიჰყვებოდა...

* * *

საავადმყოფოდან გამოწერეს, თუმცა თავს კარგად ვერ გრძნობდა, ფიქრობდა, სახლში არავინ მელოდება და აქ, ოთახში ხმის გამცემი მაინც მყავდაო... ამ ფიქრებით შეაღო სახლის კარი.

ფიქრებით დატვირთული და ავადმყოფობის შემდეგ შინ დაბრუნებული, ის თითქოს პირისპირ დადგა სიცარიელესთან, სადაც ყველაზე მძიმე საკუთარ თავთან დიალოგია.

შესვლისთანავე იგრძნო, როგორ მოედო სახლს ძველი, ნაცნობი სიცივე. ოთახში თითოეულ ნივთს ისევე ჰქონდა ადგილი, როგორც ადრე. სამზარეულოს მაგიდა, სკამები, ფანჯრიდან შემომავალი შუქი... მაგრამ შინაგანად აღარაფერი იყო ისეთი, როგორიც დარჩა მაშინ, როცა საავადმყოფოში წაიყვანეს.

ხალათშემოხვეული, ფრთხილად მიუახლოვდა საწოლს. თითქოს ის ადგილი უფრო მეტად გრძნობდა მის არყოფნას, ვიდრე ვინმე სხვა. „დავბრუნდი...“, თითქოს ჩუმად ჩაილაპარაკა თავისთვის, თუმცა პასუხი არავის გაუცია.

ისევ იგრძნო, როგორ მოაწვა გულზე რაღაც ამოუცნობი – იმედგაცრუება თუ მოლოდინის გაცრუება, ვერ ხვდებოდა და ამ დროს, ფანჯრიდან წამოსული ქარის ჩურჩული მისი ერთადერთ ამხანაგი იყო.

* * *

დაუბერა ნელმა სიომ და ის ერთადერთი ფოთოლიც, ხეს რომ შერჩენოდა, მოსწყვიტა და საღღაც შორს გააქროლა... გული ეტკინა ნინოს, თითქოს, იმ ფოთოლმა მისი დიდი გულისნადები იცოდა და თან გაიყოლა...

გაქრა ფოთოლი, გაქრა ისე, როგორც ბევრი რამ ნინოს ცხოვრებიდან, უჩინრად, უკვალოდ, დაიკარგა უსასრულო ცისფერ სივრცეში.

ნინო დიდხანს უყურებდა ცას, ბოლოს ხელი ჩაიქნია და ოთახში შევიდა...

* * *

აცივდა... განა მარტო გარეთ? არა, ჩვენს სულშიც აცივდა!

შემოდგომაა, მოსავლის აღების და დაბინავების დრო. ჩვენც ვიმკით, ვიმკით იმას რაც დავთესეთ... იმ სიკეთის გაღვივებულ მარცვალს ვიმკით, რისი დათესვა და მოყვანაც შევძელით!

ცუდია, ძნელია, გულსატკენია ამდენ ნაფერებ და ნალოლიავებს, მკობამდე ქარი, ღვარცოფი რომ წალეკავს ან სულაც ვიღაც უცხო, თავისი დაუდევრობით ზედ გადაუვლის და გასრესს...

შემოდგომაა და ვიმკით ჩვენს დათესილს, ვაბინავებთ, ვახარისხებთ!

და როდესაც დაზამთრდება და გავხედავთ ჩვენს ბეღელს, გვიხარია, ამაყი და ბედნიერი ვართ თუ შევძელით მისი გავსება! მერე რა, თუ გზადაგზა ზოგი მარცვალი დაგვიცვივდა... ის იქ გაღივდება სადაც დავარდა და თუ კარგი პატრონი შეხვდება, იქაც შეძლებს ნაყოფის გამოღებას!

მთავარია ვთესოთ, ვთესოთ სიკეთე, ავივსოთ გულები სითბოთი და სიყვარულით, რომ მერე, შემოდგომის ბოლოს, ზამთარში ბუხარში აგიზგიზებული ცეცხლივით გაგვათბოს!

მეგობრობას ხომ სულ სხვა ძალა აქვს და სხვანაირად გვათბობს!

შემოდგომაა და გავყურებ ჩემს მოსავალს. ამდენი ქარბორბალას შემდეგ, მაინც არ ვარ უკმაყოფილო, კარგი მოსავალია, მადლობა ღმერთო, რომ ამდენი მეგობარი გარს მახვევია, ბედნიერი ვარ, რომ მე ეს შევძელი!

ახლა ვზივარ და იმ გზაზე შემთხვევით დაკარგულ მარცვლებზე ვფიქრობ... ნეტა მართლა ქარმა გაიტაცა თუ მე ვერ შევძელი ხელში კარგად დამეჭირა... ქანცგამოლეული, მაგრამ იმედით სავსე ისევ იმ გზაზე მივდივარ, ვინ იცის, იქნებ სადმე უადგილოდ დავარდა და ისევ მე ვიპოვო...

* * *

თვალებზე უძილობა ეტყობოდა... დარდის და ნერვიულობისგან თავი უსკდებოდა, ფიქრობდა, გამოსავალს ეძებდა, მაგრამ, ამაოდ!

ირგვლივ სიჩუმე გამეფებულიყო, უიმედობას კვალი დაემჩნია მის მუდამ მხიარულ სახეზე, თვალები სულ აწყლიანებული, ცრემლჩამდგარი ჰქონდა.

დაღლილობამ თავისი გაიტანა, ძილმა სიფხიზლეს აჯობა და ჩაეძინა.

– სამსახურში არ მიდიხარ? – ჩაესმა ძილში, თითქოს მხარზეც იგრძნო ხელის შეხება. წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა, მიმოიხედა, მაგრამ არავინ ჩანდა, ან ვინ შემოვიდოდა ჩაკეტილ კარებში, ის ხომ მარტო ცხოვრობდა.

ღია ფანჯარაში მზის სხივი ანათებდა, ისე თითქოს ახალი ცხოვრების დასაწყებად გზას უკვალავდა და ისიც გარეთ გავიდა, სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ნელი ნაბიჯით, იმედიანად გაუყვა გზას...

ᲛᲘᲠᲐᲖᲔᲚᲘ

ᲡᲐᲐᲓᲘ ᲨᲘᲠᲐᲖᲔᲚᲘ

ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ „ᲑᲣᲡᲢᲐᲜᲘᲓᲐᲜ“

* * *

ერთმა ფარვანას ასე უთხრა: თუ ჯერაც ფეთქავ,
წადი, სხვა სატრფო გამოძებნე, სხვა გულის ერთა.
სასოების გზით გაეშურე და ნუღარ იწვი,
აბა, სად შენ და სად – სანთელი, ელვარე მიწყივ.
ცეცხლთან ნუ ბრუნავ, სალამანდრა არა ხარ, იცი,
ჭიდილს სჭირდება ვაჟკაცობა და არა ფიცი.
ღამურა ბნელში იხაფრება მზისაგან მფრთხალი,
უმეცრებაა, რკინის მკლავებს მიუდგე ძალით.
ვინც დუშმანია, მოლიზღარი, გიმტრობს მარადის,
უგნურებაა, მას მოყვრობდე კუბოს კარამდი.
მოსათნებარედ ასეთ ქცევას არავინ გითვლის,
რადგან თვით სულიც შეგიწირავს ტარიგად მისთვის.
მეფის ასული თურმე ცოლად სურდა ამბოკარს,
ნირი წაუხდა, ვეღარ ითნო გულშესამკობად.
ის გულისწორად როგორ ჩაგთვლის, როცა გზნებიანს
თავად სულთნების სიყვარული მოყირჭებია.
ზიზილპიპილა ამ მეჯლისში ნასათუთები
ნუ გეგონება, ენიაზოს უბირს წუთებით.
თუ გინდ ყველასთან უწყინარი დარჩეს სრულებით,
საბრალოვ, დაგწვავს, როცა ახლოს დაეგულები.
დახეთ, ფარვანამ რა პასუხი გასცა ნელიად:
რომც დავიბუგო, საწუხარი არაფერია.
სატრფოა ცეცხლი, დავიწყებას რომ არ ბარდება,
წამეკიდება მისი ალი, თითქოს, ვარდებად.
მე არ ვეწევი სატრფოს კალთას გულის სიამით,
სულის საყელოს ექაჩება მისკენ ტრფიალი.

ცეცხლში ხომ ჩემით არ ვვარდები, მიხვდები ამდენს,
კირთმომსართველი ტრფობის ჯაჭვი კისერზე მადევს.
მე შორით მწვა და შორით მდაგა მისმა ხატებამ
და არა ახლა, ალებად რომ მეფარფატება.
ის არ მპასუხობს, სიყვარულზე არც კი იზრახვის,
ვით განდეგილი საამსოფლო სიცოცხლისათვის.
ვინ რას დამზრახავს თუ სატრფოსკენ მივიწევ ვნებით
და თანახმა ვარ მის ფეხებთან უსულოდ გდების.
იცი, დაღუპვას რად ვესწრაფვი? ესეც წესია,
როცა „ის“ არის, მე რომ გავქრე, უმჯობესია.
მინდა, დავიწვა, მისი ტრფობის მთანგავს ზმანება,
მასზე უკვალოდ არ ჩაივლის სატრფოს წამება.
– კვლავ საკუთარ თავს დაუბრუნდი-მირჩევ მუდარით, –
სხვა გამოძებნე, შენი სულის ნავსაყუდარი.
ეს იმას ნიშნავს, მორიელით დაგესლილს უთხრა:
ნუღარ ქვითინებ, თორემ გული გექცევა მწუთხად.
ნუ აძლევ რჩევას, საუნჯებელს ათას წიგნებად
მას, ვინც ვერასდროს ვერ მიიღებს შენს დარიგებას.
„სინდბად-ნამეში“ თქმულა ზუსტად ეს ერთი პწკარი:
„თავად ცეცხლია სიყვარული, რჩევა კი – ქარი“.
ოდეს პირველად სიყვარულმა გაშალა აფრა,
აღარ ჩავაგდე საკუთარი თავი არაფრად.
სიკვდილი სადმე ჩასაფრდება, ყოვლის მზვერავი,
სჯობს, სატრფოს ხელით მომეწიოს მოსაწევარი.
ერთ დღეს ხომ სული უნდა გაგძვრეს, სხეულში მდგარი,
უმჯობესია, სატრფოს ფერხთით განერთხა მკვდარი.

* * *

მახსოვს, ერთ ღამეს ვერ მოვხუჭე ვერაფრით თვალი,
მომესმა, სანთელს შესჩიოდა ფარვანა კრძალვით:
– მე მიჯნური ვარ, და თუ ვკვნესი, ჩემი წესია,
შენ რა გატირებს, მწარედ რატომ დაგიკვნესია?
მიუგო: ჩემთვის დათუთქულო, ვდნები და ვიწვი,
თაფლივით ტკბილი გულის ერთა დამშორდა სიმწრით.
გაქრა შირინი, ბედისწერა მომეავგულა,
და როგორც ფარჰადს, ბედმა ტრფობის ცეცხლი მარგუნა.
თან ასე ბჭობდა, ეს სახმილი მარად მენთება,
თან ყვითელ ღაწვზე მოწვეთავდა ცრემლი ღვენთებად.
შენ კი სიყვარულს რას ენუკვი, რა ხელყრი ტრფობას,
თუ არც მოთმენა შეგიძლია, არც მყარად დგომა.

შენ ერთ ნაპერწკალს გაურბიხარ, თუკი იალა,
მე ვდგავარ, რათა დავიბუგო ცეცხლში მთლიანად.
თუ ტრფობის ცეცხლმა ფრთა დაგიწვა, ჩემკენ რხეული,
მე შემომხედე, როგორ ვიწვი მთელი სხეულით.
ღამის პირველი სახმილავი არც კი გასულა,
სანთელი უცებ რომ ჩააქრო ზეცის ასულმა.
ლაპარაკობდა და ხრჩოლავდა გაბმით მკვნესარი,
უწყოდე, ყრმაო, სიყვარულის ბოლო ეს არი.
თუ აჰყოლიხარ სიყვარულის სწავლის ხვაშიადს,
თავს ნუ დაიხსნი ცეცხლისაგან, შვება წვაშია.
ნულარ დასტირი სატრფოს საფლავს, დარდს ნუ იკარებ,
გალაღდი, ღმერთმა შეიწყალა მოსხივცისკარე.
ტრფობა სამიზნედ ვინც დასახა განუსხვისარი,
მას ვერც ქვის ცვენა შეაშინებს, ვეღარც – ისარი.
ნუ შეხვალ ზღვაში, ფრთხილად, თორემ ღელვით გვარისხებს,
და თუ შედიხარ, შენი თავი ანდე ქარიშხლებს.

* * *

ყეზელ-არსლანს რომ ფეხქვეშ ეგო ცის ცხრა კამარა,
რაში დასჭირდა, როცა ჟამმა დაასამარა.
ცუდმედიდობის ფეხს ნუ ადგამ ზეციურ ფიწალს,
სჯობს სიწრფელის და კრძალვის სახე მიადო მიწას.
ცას მორჩილებით მიაპყარი მზერა ეული,
კრძალვაზე გადის მართალთა გზა სამოთხეული.
თუკი მონა ხარ შემოქმედის, მის სიტყვას ისმენ,
ეგ ხელმწიფური დიადემა მოიძრე მყისვე.
ღვთის მაღალ ზღურბლთან დაიკვნესე დაუზარებლად,
როგორც საბრალო ამბოკარმა მდიდრის კარებთან.
მეფურ სამოსელს დაეთხოვე დაუყვედრებლად,
და, ვით გლახაკმა, ზეამოთქვი წრფელი ვედრება:
უზენაესო, იქნებ შვების წყარო გვაღირსო,
შენ ხარ დერვიშთა სასოება სამარადისოდ.
მე არც მეფე ვარ, არც სრა მიდგას მოჩარდახული,
შენს კართან მდგომი ვარ უბრალო მონა – მსახური.
ძალი მომეცი, მადლსა ვთესდე ახალს და ახალს,
თორემ ამ ქვეყნად ჩემგან ვინ რა სიკეთეს ნახავს?
ღამით ილოცე გლახაკივით, წრფელად და მართლად,
თუ დღისით, როგორც ფადიშაჰი, ქვეყანას მართავ.

არ გიჟღერებენ მოჯანყენი რისხვის ნაღარებს,
მაშ, თავად შენაც ღვთის წინაშე თავი დახარე.
დიდება უფლის მორჩილ მონებს, წყალობა ყოვლად,
დიდება უფალს, ვისაც ესმის მონათა თხოვნა.

* * *

ეუბნებოდა შირუიეს ხოსრო ბედკრული,
როს სიკვდილის წინ თვალს ხუჭავდა, სიბრძნით შემკული:
რასაც არ უნდა იზრახვიდე ხვალის იმედით,
სჯობს, ქვეშევრდომებს არ მიაგო წყენა მცირედიც.
ნუ განშორდები სამართლის ბჭეს, მეფურ დიდებას,
რომ არ გაქციოს ხალხმა ზურგი დაურიდებლად.
ხალხი გაურბის მჩაგვრელ მეფეს, ვინც ყველას არბევს,
და მთელ ქვეყანას მოსდებს მისი სიმდაბლის ამბებს.
კიდევ ცოტაც და ამოძირკვავს საკუთარ ფუძეს
ის, ვისაც ლიბოდ სიავე და სიბილწე უძევს.
იმდენს მტერიც ვერ დაგიშავებს, ცრუ და ავსული,
რამდენსაც კვნესა ქვრივ-ობლების – ცამდე ასული.
ქვრივ ქალთა კვარმა როცა ხანძრად აიბრიალა,
ბევრი ქალაქი გადაბუგა, მოსპო მთლიანად.
ბედის რჩეული ის ყოფილა, დიდკაცად სცანი,
მართლმსაჯულების ვინც იწამა ანი და ბანი.
როდესაც წავა, იქ ერგება დიდების დაფნა,
სპეტაკი ცრემლი ქვეშევრდომთა დაულტობს საფლავს.
ავის და კარგის წარმავლობა გამოკვეთილა,
თუმცა, მაინც სჯობს მოგიგონოს ხალხმა კეთილად.

* * *

ერთხელ, ყრმობის ჟამს, როცა წლებთან არ ვიყავ უბრად,
არიფთა წრეში სანადიმოდ ვუსხედით სუფრას.
ხმით – ბულბულები, პირისახით – ვარდის კოკრები,
ქუჩას მოედო ჟრიამული დაუოკები.
გვერდით ბერიკაცს ვკიდეთ თვალი თეთრად დაპენტილს,
ჟამთასვლას მისთვის დღედ ექცია თმის კუნაპეტი.
პირი თხილივით შეეკუმა, დროისგან ნაგვემს,
ჩვენ კი ფსტასავით გადაგვშლოდა მღიმარი ბაგე.
ერთი ჩვენგანი მივიდა და ჰკითხა ღიმილით:
აქ რას უზიხარ, მოკართული ზღვა სიმძიმილით?

სევდას საყელო დაუფლითე, ადრეა ჯერაც,
ჭაბუკთა შორის იშვებდეო, ვითარცა ჯერ არს.
თავი ასწია ბერიკაცმა და სხვების წინვე,
დახეთ, რა ბრძნულად უპასუხა ნებიერ ნინველს:
როცა ზეფირი წამოქოჩრავს მწვანე მტილოვანს,
მაშინ შეჰფერის ხეთა მორჩებს მოხდენილობა.
ჯეჯილი ხარობს, სანამ მწვანე ზარ-ზეიმს მართავს,
სთველზე, სიყვითლეშეპარული ჩამოყრის თავთავს.
გაზაფხულობით, როცა სურნელს მოაფრქვევს ძეწნა,
დიდრონი ხენი გამხმარ ფოთოლს აფენენ ზეწრად.
აღარ შემფერის ყრმათა შორის ხტომა და ბუქნა,
რადგან სიბერის დილამ ლოყებს თავისი უქნა.
სულის მიმინო ტყვეობაში ისე მომკივის,
სურს წამისწამად დაამსხვრიოს ყველა ბორკილი.
თქვენი ჯერია ამ ნადიმზე ზმისა და დავლის,
ჩემს აქ ყოფნას კი, რა ხანია, გასვლია ყავლი.
სიბერის მტვერი დამაფერთხეს რახან უკლებლივ,
არა ხამს აწი ყრმასავით თუ გავცუნდრუკდები.
ჩამოიპენტა ყორნის ფრთებზე თოვლი მარადი,
აღარ შემფერის ბულბულივით ბაღში ნავარდი.
წაიკეკლუცებს ფარშევანგი, ცხადზე ცხადია,
ფრთამოსხეპილი ქორისგან კი რაღა გწადიათ.
არ ემეტება ამ ხოდაბუნს ჩემთვის თაველი,
აწი თქვენია საყანური და ეს მთა-ველი.
ჩემს საბაღნაროს ფერი მისდის, ჭირხლი ერევა,
დამჭკნარმა ვარდმა როგორ შეძლოს ყელის ღერება?
ჯოხს დავეყრდნობი, სანამ წლებმა სულ უფრო მძლიეს,
ვინც ამ ცხოვრებას დაეყრდნობა, შეცდება ძლიერ.
უთუოდ ფეხზე წამოხტება ჭაბუკი ყველა,
თუკი ბერიკაცს რაიმეში დასჭირდა შველა.
სახის ყირმიზ ვარდს უკვე ყვითლად ხურავს მანტია,
ჩამავალი მზეც მიმწუხრისკენ ყვითლად ანთია.
ის, რაც უბრალო სიგიჟმაჟედ ეთვლება ყმაწვილს.
დასაძრახია მოხუცისთვის ორწილ თუ ასწილ.
ცოდვათა გამო, სანამ ჟამი წარსულს გაღობავს,
მმართებს ბავშვივით ტირილი და არა – ლაღობა.
დიდმა ლოყმანმა ასე განბჭო, ბრძნულად და სწორად:
ცოდვილ სიცოცხლეს გერჩიოსო საფლავში წოლა.
სჯობს დილიდანვე კარი დახშო, უხმო გონებას,
ვიდრე ხელიდან წაგივიდეს მთელი ქონება.
სანამდე ჭაბუკს ალიონი ჩაენამქრება,
მოხუცის გვამი სამარეში ნელა გაქრება.

ნასერ ხოსროვი

* * *

შვილო, საწუთრო არის სიზმარი,
ბევრჯერ გვებავთა ვაით და ვიშით,
ნიშატით სავსე როგორ იქნები,
როცა ბორგავ და ვალალებ ძილში.
მამის სინათლევ, მისგან ვიდაგვით
დიდი თუ მცირე, ვინც ქვეყნად ვიშვით,
ეს მან წამგვარა თვალთა სინათლე,
ჩემს ნაგზაურსაც მოსილავს ქვიშით.
დროს მიაქვს ღაწვთა ვარდი ღაღანა,
გზნებაც მიმაქვსო – მომიგო ნიშნით,
გადამიქცია გზნება ხურვებად
და მუფარახის ძებნასაც მიშლის.
მისი სიმრუდით ბრწყინვაწაგვრილი,
გულჩაჟამული ვაგდივარ, შიშით,
მან გამომწირა ნათლის მისხალიც
და ჩაუძახა წყვდიადის გვიმში.
მზე მაღრიბისკენ გადამეწვერა,
ნამაშრიყალი მკრთალ სხივებს მიშლის,
ჩემს თავზე ბევრჯერ აშუბისტარდა,
ბევრჯერ ჩანავლდა ღრუბელთა რიგში.
სხვა რა საქმე აქვს ამ გულღრძო არწივს,
მოჭანგა კაცთა მოდგმა და ჯიში,
ამ სოფელს ფუჭად ელაქარდები,
ფუჭია სიტყვა, ვაი და ვიში.

ბაბა თაჰერი

* * *

შენი ბინაა ჩემი თვალი, თხოვნით გავწამდი,
როს მის ფოსოში დაივანო, დატკბე ამ წამით,
ოღონდაც ფრთხილად, ამ თვალებზე სეირნობისას
არ გამოგედოს ფეხში ეკლად ჩემი წამწამი.

* * *

ვარდი შევნიშნე ეკლის ძირას, ობლად ნამყოფი,
ვკითხე: „როდისღა შეგეხები, მთვრალი ამ ყოფით?“
მითხრა: „მებაღევ! მაპატიე, ნუკი დამძრახავ,
სიყვარულის ხემ გვიან იცის მოსხმა ნაყოფის“.

* * *

ამ ტრფობის ცეცხლმა გადამიხმო არსის ბალახი,
იმ ცეცხლში სულიც დამენაცრა მრავალნანახი,
შენმა გოშიამ თვალზე თითი თუ დამაბიჯა,
წამწამით უნდა გავუფერთხო ფეხის ტალახი.

სპარსულიდან თარგმნა **გიორგი ხულორდავამ**

შორენა
მახაჭაძე

ორ სამყაროს შორის გაჭედილი ცნობიერების ჭრაგედია

გლობალიზაციის, საინფორმაციო-კომუნიკაციური რევოლუციის ეპოქაში განსაკუთრებით გამწვავდა და აქტუალური გახდა განსხვავებულ, კერძოდ, აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა შორის დაპირისპირების, მათ შორის წინააღმდეგობრივი ურთიერთობისა თუ დიალოგის პრობლემა, ალბათ, ამიტომაც იქცა ის ერთ-ერთ ცენტრალურ, მთავარ თემად თანამედროვე თურქი მწერლების: ელიფ შაფაქისა და ორჰან ფამუქის შემოქმედებაში.

ამ ორ მწერალს ბევრი აქვს საერთო: ეროვნება, დასავლეთთან პირადი კონტაქტები (განათლება, ემიგრაცია), აქედან გამომდინარე, ამ ორი სამყაროს საფუძვლიანად ცოდნა, თუმცა სხვადასხვაგვარია მათი მიდგომა პრობლემისადმი: ელიფ შაფაქის ხედვა და ხატვის მანერაც აშკარად ფემინისტურია, ამასთან ის, ძირითადად, ემიგრანტის თვალით დანახულ აღმოსავლეთს გვიხატავს, ესაა გარედან დამკვირვებლის პოზიციიდან აღქმული სამყარო, თუმცა ის, ასევე, გვიხატავს აღმოსავლელი ემიგრანტის მიერ უშუალოდ განცდილი და შეგრძნობილი დასავლეთის ობიექტურ სურათსაც.

სრულიად განსხვავდება ორჰან ფამუქის მიდგომა საკითხისადმი: ის ფესვებიდან, შორეული ისტორიიდან ამოდის და ე. წ. შიგჩაბრუნებული მზერით გვიხატავს აღმოსავლეთის განუმეორებლობას, წინაპრებთან სულიერ კავშირს, ის ფაქიზად აყურადებს და გვასმენინებს ისტორიის გულისფეთქვას, გვაგრძნობინებს სხვად ქცევის შიშით შეპყრობილი სტამბოლის სევდას.

ჩვენი კვლევის მიზანიც და თემის აქტუალობაც იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული ნაწარმოებების საფუძველზე ვაჩვენოთ, რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა შორის სიღრმისეული მსგავსება-განსხვავებების შესწავლა, რადგან ქვეყნებს შორის საზღვრების „წაშლამ“, ტრანსნაციონალური ფაქტორების გააქტიურებამ, განათლების მობილურობამ, მართალია, გამოიწვია მსოფლიოს ახალი კულტურული სურათის ჩამოყალიბება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ბინარული ოპოზიციის წევრებს შორის ტრადიციული დაპირისპირების შესუსტებას, პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში ეს წინააღმდეგობანი გამწვავდა კიდეც, რადგან ამუშავდა „უცხოს“ მიმართ თავდაცვის მექანიზმები. ეს პრობლემები ყოველთვის იყო და დღესაც აქტუალურია საქართველოშიც, ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები (მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, გრ. რობაქიძე, ო. ჭილაძე, აკა მორჩილაძე და სხვები) თავიანთ

ნაწარმოებებში, პუბლიცისტიკაში განიხილავდნენ მას და გარკვეულ დასკვნებსაც გვთავაზობ-დნენ. ამდენად, საინტერესოა ჩვენი მეზობელი ქვეყნის, თურქეთის შემოქმედთა პოზიცია ჩვენი ხალხისთვისაც ესოდენ საჭირბოროტო საკითხზე, მით უმეტეს, რომ ამ ქვეყანასთან გვაკავშირებს ავ-კარგიანი ისტორია, ტრადიციებისადმი ერთგულება, ევროკავშირისადმი დიდი მისწრაფება და, რაც მთავარია, ორ სამყაროს შორის ბალანსის პოვნის სურვილი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ოცდამეერთე საუკუნეში აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა შორის სიღრმისეული მსგავსება-განსხვავებების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რა-დგან გლობალიზაციის პროცესმა, ქვეყნებს შორის საზღვრების „წაშლამ“, ტრანსნაციონალური ფაქტორების გააქტიურებამ, საინფორმაციო-კომუნიკაციურმა რევოლუციამ, განათლების მობი-ლურობამ, გამოიწვია მსოფლიოს ახალი კულტურული სურათის ჩამოყალიბება.

მსოფლიო საზოგადოება დინამიკურად ვითარდება, ყოველდღიურად იცვლის სახეს, ასეთ პი-რობებში სასიცოცხლოდ აუცილებელია სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და კულტურის მქონე ხალხების მიერ ურთიერთგაგების, კულტურათშორისი კომუნიკაციის მაღალი ხარისხის მიღწევა, რაც წარმოუდგენელია ერთმანეთის კულტურული თვითმყოფადობის ცოდნისა და პატივისცემის გარეშე.

აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირება-შეუთავსებლობის იდეა, რომელიც, რა თქმა უნდა, ჩვენს საუკუნეში არ დაწყებულა და კლასიკურ ფორმულად ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში, მისთვის ჩვეული პირდაპირობით, ჩამოაყალიბა რადიარდ კიპლინგმა: აღმოსავლეთი – აღმოსავლე-თია, დასავლეთი – დასავლეთი და ისინი ვერასოდეს გაუგებენ ერთმანეთს, ბუნებრივია, ნაწილობ-რივ შეიცვალა უახლოეს საუკუნეებში, თუმცა ამ ხისტი შეხედულების სრულყოფილად გადახედვა ვერ მოხერხდა და მისი არაერთი რეციდივი გვხვდება როგორც პოლიტიკურ რეალობაში, ასევე – მხატვრულ ლიტერატურაში. საინტერესოა, რომ პოპულარული თურქი მწერალი ორჰან ფამუქი, სიტყვა-სიტყვით იმეორებს რა კიპლინგის ზემოხსენებულ ფრაზას, თავის მხრივ, მრავალმნიშვნე-ლოვნად უმატებს: „ერთიც ალაჰისაა და მეორეც“ (ფამუქი, 2014:178).

სწორედ ნობელიანტი ორჰან ფამუქისა და მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი ელიფ შაფა-ქის შემოქმედებაზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობების სა-კითხზე, შევეცდებით, ჩვენეული ინტერპრეტაციით წარმოგიდგინოთ: როგორ დასვეს, გაშალეს და გადაწყვიტეს ეს პრობლემა მხატვრული სახეების მეშვეობით ჩვენმა უახლოესმა მეზობლებმა. ეს საინტერესოა იმ მიმართებითაც, რომ ქართულ პოლიტიკასა და, შესაბამისად, მწერლობაშიც, ოდითგან იდგა და დღესაც დგას აღმოსავლურ-დასავლური ორიენტაციის, მათ შორის არჩევანის გაკეთების პრობლემა; თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კულტურის სფეროში ეს დილემა ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში გენიალურად გადაწყვიტა ჩვენმა უდიდესმა წინაპარმა, შოთა რუსთაველმა, როცა ქართველებს დაგვიტოვა ფორმით აღმოსავლური, თუმცა შინაარსით, იდეე-ბით დასავლურ-რენესანსული პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

აღმოსავლურ-დასავლურად კულტურების დაყოფა უახლეს საუკუნეებში არ მომხდარა, ის უძვე-ლესი დროიდან მოჰყვება კაცობრიობას და ამას განაპირობებს არა მხოლოდ და არა იმდენად გე-ოგრაფიული მდებარეობა, რამდენადაც სამყაროს შემეცნების განსხვავებული მეთოდები, ტრადი-ციულ ღირებულებათა სისტემა, ძირითადი მსოფლმხედველობითი შეხედულებები, საუკუნეობით ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური, პოლიტიკური სტრუქტურები და, რა თქმა უნდა, რელიგია.

თუმცა არიან მეცნიერები, რომლებიც თვლიან, რომ მსგავსი დაყოფა, ანუ ოპოზიცია „დასავლე-თი-აღმოსავლეთი“ ევროპელების მიერ მოგონილი მითია და რეალურ სურათთან საერთო ბევრი

არაფერი აქვს. უფრო სამართლიანი და სწორი იქნება დიქოტომია: „დასავლეთი და დანარჩენები//სხვები“ (ხანტინგტონი, 2003:25-35), რადგან თუ დასავლეთი კულტურულ-მენტალურად, მართლაც, ერთიან სივრცეს ჰქმნის, ამას ვერ ვიტყვით აღმოსავლეთის შესახებ, სადაც შემავალი სახელმწიფოები//ცივილიზაციები (არაბული, ინდური, იაპონური, ჩინური, აფრიკული...) ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებიან როგორც რელიგიის, ისე – კულტურის, საზოგადოებრივი ურთიერთობების და, ზოგადად, ცხოვრების სხვადასხვა სფეროს//წესის მიხედვით; ჩვენც ამერიკელი მეცნიერის ამ მოსაზრებიდან უნდა ამოვიდეთ და დასავლეთ-აღმოსავლეთის ბინარული ოპოზიციის ანალიზისას უნდა დავაკონკრეტოთ: რომელ კულტურულ სივრცეზე გვაქვს საუბარი. ჩვენი ინტერესისა და, შესაბამისად, განხილვის ობიექტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს უახლოესი მეზობლის – თურქეთის წარმომადგენელთა – თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული, ნობელიანტი – ორჰან ფამუქისა და მსოფლიოში ცნობილი ქალი მწერლის – ელიფ შაფაქის შემოქმედებაა.

თურქეთთან, რომელიც საქართველოს მსგავსად, ორ სამყაროს – აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის – გზაჯვარედინზე დგას და ბალანსის პოვნის სურვილითაა შეპყრობილი, ბევრი რამ გვაერთიანებს: წინააღმდეგობებით სავსე ისტორია, ტრადიციებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება, იმავდროულად, დასავლური ცივილიზაციის მონაპოვართა გათავისებისადმი სწრაფვა, ევროკავშირში გაერთიანების სურვილი, იდენტობის დაკარგვის/გაუცხოების შიში და ა. შ. ორივე რომანისტის შემოქმედებაში ეს და კიდევ მრავალი სხვა პრობლემა მაღალმხატვრულადაა ხორცშესხმული, უაღრესად საჭირბოროტო კითხვებია დასმული და პასუხგაცემული. უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ავტორებს ბევრი აქვთ საერთო: წარმომავლობა, დასავლურ/ამერიკულ კულტურასთან ადრეული წლებიდანვე ზიარება და მისი გაშინაგანება. თუმცა, ვფიქრობ, განსხვავებაც დიდია: ჯერ ერთი, ელიფ შაფაქის პროზა, უპირველესად, „ქალური პროზაა“, მასში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ფემინიზმის, გენდერული თანასწორობის საკითხებს, ქალის თვალითაა დანახული და გადმოცემული მოვლენები, საგნები, ადამიანები. ამასთან ერთად, ეს არის, ხშირ შემთხვევაში, აწ უკვე ემიგრანტის – უცხო თვალით აღქმული და შეგრძნობილი მშობლიური სამყარო, რომელიც საკმაოდ დისტანცირებულია როგორც ფიზიკურად, ისე – სულიერად. სწორედ ის, რომ ელიფ შაფაქი ორგვარი რაკურსით ხედავს და ხატავს სამყაროს, ქმნის მისი პროზის განუმეორებლობას. ესაა, როგორც ვთქვით, ერთი მხრივ, მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი, უცხოეთს შეხიზნული თურქის მიერ გარედან დანახული სამშობლო, რომელიც, იმავდროულად, აღმოსავლეთსა და მის კულტურას განასახიერებს და, მეორე მხრივ, ამავე თურქის თვალით დანახული დასავლეთი ანუ ევროპა/ამერიკა. ორივე შემთხვევაში ეს არის გარედან ხედვა, ფამუქთან კი პირიქით – თურქეთი, სტამბოლი, აღმოსავლეთი ნაგრძნობია „შიგნიდან“, ესაა შიგჩაბრუნებული მზერა, მისი თხრობის ვექტორი ვერტიკალურია – ფესვებიდან ამოდის ზედაპირისკენ, ამიტომაცაა ასეთი დამაჯერებელი და უშუალო მისი „სტამბოლური სევდა“, ამიტომაც ასე ძალუმად იგრძნობა ფამუქის პროზაში ისტორიის გულისფეთქვა, ასეთი ხელშესახებია წინაპრებთან სულიერი კავშირი.

საინტერესოა, რომ ორჰან ფამუქი ევროპელების ორიენტალისტიკურ შეხედულებებს მისთვის ესოდენ ორგანული ირონიულ-პაროდიული ფორმით აფასებს. ის თვლის, რომ დასავლეთი საკუთარ წარმოდგენებს ახვევს თავზე აღმოსავლეთს, ფაქტობრივად, სიმულაკრებით ახასიათებს მისთვის უცხო სამყაროს, რაც სინამდვილისაგან ძალიან შორსაა.

თუ ორჰან ფამუქის რომანებში ევროპელებისა და თურქების შედარებითი ფსიქოლოგიური პორტრეტები, ირონიულ-პაროდიული რაკურსითაა დახატული, მაგალითად, გავიხსენოთ „თეთრი ციხე-სიმაგრიდან“ ხოჯისა და ვენეციელის კომიკურ-კარნავალიზებული მხატვრული სახეები, რომ-

ლებიც ორეულებიც არიან, თუმცა ერთმანეთს ვერ ხედავენ (ფამუქი, 2011:), ელიფ შაფაქი მთელი სერიოზულობით მსჯელობს ინგლისელებსა და თურქებს შორის მენტალურ განსხვავებებზე: „ინგლისელები თავიანთ აზრებს ირიბად გამოხატავდნენ, თურქებივით ზიზღს ზიზღითა და ბრაზს ორმაგი ბრაზით არ გადმოსცემდნენ...“ (შაფაქი, 2022:182).

ზოგად შტრიხებში მაინც უნდა დავაკონკრეტოთ: ძირითადად რა განასხვავებს აღმოსავლურ და დასავლურ კულტურებს?

მსოფლიო ისტორიის ქრესტომათიული ცოდნაც საკმარისია იმის დასადგენად, რომ დასავლური იდეალების საწყისი არის ძველი საბერძნეთის პოლისის ორგანიზაციაში, რომელიც გულისხმობდა მოქალაქეთა აუცილებელ მონაწილეობას საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, ასევე, ძველი რომის სამართალში, რომელმაც დაადგინა პიროვნების სამოქალაქო სუვერენიტეტი, ამის საპირისპიროდ, აღმოსავლური კულტურის, ნორმებისა და ტრადიციების სპეციფიკა ემყარება აგრარული აზიის საზოგადოების სათემო სტრუქტურების ცხოვრების თავისებურებებს.

აღმოსავლური მსოფლმხედველობა აგებულია ადამიანის თვითიზოლაციაზე გარე სამყაროსგან, ის ფოკუსირებულია შინაგან, სულიერ ცხოვრებაზე. მსოფლმხედველობის ამ ტიპს ახასიათებს ადამიანის პასიური დაქვემდებარება ბუნებრივი საწყისისადმი, რომელიც აქტიურად საკრალიზებულია. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ელიფ შაფაქის რომანში „სიყვარულის ორმოცი წესი“, რომელშიც მისტიკოსი პოეტის – ჯალალ ედდინ რუმისა (მევლანას) და დევრიშ შამს თებრიზის ურთიერთობის ისტორიაა გადმოცემული. ავტორი გვიხსნის ისლამის მისტიკური მოძღვრების, სუფიზმის არსს, რომლის მიზანი ადამიანის სულიერი სრულყოფაა. მისი დევიზია: „როცა საკუთარ „მეს“ შეიცნობ, შეიცნობ ღმერთსაც“ (შაფაქი, 2020:2:51), ღმერთი კი სიყვარულია, ამიტომაც არის, რომ შაფაქის აზრით, უდიდესთა შორისაც კი გამორჩეული ხელოვანები, ისეთები, როგორიც აღმოსავლეთის შექსპირად წოდებული ჯალალ-ედ-დინ რუმია, არ ეკუთვნიან „არც აღმოსავლეთს... და არც დასავლეთს. ის ეკუთვნის სიყვარულის საუფლოს. ეკუთვნის მას, ვინც უყვარს“ (შაფაქი, 2020-2:226).

დასავლური მსოფლმხედველობა, აღმოსავლურისაგან განსხვავებით, მიზნად ისახავს ადამიანის მიერ გარესამყაროს გაცნობიერებას და მასზე აქტიურ ზეგავლენას, შესაბამისად, დასავლეთი უპირატესობას ანიჭებს ადამიანის გარდამქმნელ ძალას, ლიბერალიზმს, უტილიტარიზმს, დარწმუნების უნარს; აღმოსავლური კულტურა კი აფასებს დუმილს, თვითჩაღრმავებას, კონსერვატიულობას, ტრადიციებს, აქედან გამომდინარე, დასავლური ცხოვრების მოდელი გულისხმობს დინამიკურ განვითარებას, რევოლუციურ ნახტომებს, ცხოვრების აჩქარებულ რიტმს, რაც მკვეთრად ეწინააღმდეგება აღმოსავლური საზოგადოების განვითარების ევოლუციურ, ბევრ შემთხვევაში – ინერციულ, მოდელს.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც მკვეთრად განასხვავებს ამ ორ კულტურას: აღმოსავლეთში, დასავლური ინდივიდუალიზმისგან განსხვავებით, თემის/კოლექტივის იდეისადმი მიჯაჭვულობა, ხალხის ერთიანობა ყველა ეპოქასა თუ საზოგადოებრივი წყობის პირობებში მნიშვნელოვანი იყო. შემთხვევითი არაა, რომ ოქსფორდში განათლებამიღებული, ლიბერალური აზროვნებით ცნობილი პროფესორ აზურის მოწაფე – პერიც კი, როცა მისი ქვეყნის პრესტიჟსა და კულტურას ეხება საქმე, გრძნობს, რომ „კოლექტიური გაერთიანების წარმომადგენელია“ (შაფაქი, 2022-1:277).

ორჰან ფამუქის პოსტმოდერნისტული პროზის პერსონაჟებიც კოლექტიური საზოგადოების განუყოფელ ნაწილად თვლიან თავს, მელანქოლიურნი, ფილოსოფიური განსჯისკენ მიდრეკილნი,

ხშირ შემთხვევაში – გაორებული ცნობიერების მქონენი არიან: რწმენა-ურწმუნობას, კოლექტიურსა და ინდივიდუალურს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ანუ სამყაროთა შორის „გაჭედილ“ ადამიანებად გვევლინებიან. ამავე აზრს, ოდნავ განსხვავებული ფორმულირებითა და აქცენტით, იმეორებს ელიფ შაფაქიც: „სადღაც ჩავრჩით, სადღაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს, წარსულსა და მომავალს შორის. ერთი მხრივ, გვყავს გამოსული მოდერნისტები, ...მეორე მხრივ, გვყავს ჩვეულებრივი ტრადიციონალისტები“ (შაფაქი, 2020-1:100).

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ პერსონაჟთა მსგავსი გაორება უცხო არაა ქართველი მწერლებისთვისაც. გავიხსენოთ კლასიკური მაგალითი – კონსტანტინე სავარსამისძე, რომლის არქეტიპიც დიონისეა და ესეც განაპირობებს მის გაორებას, მაგრამ, ამავე დროს, ის სწორედ დასავლური განათლების, ღირებულებებისა და აღმოსავლურ-ქართული ტრადიციული ფასეულობების, წარმართობისა და ქრისტიანობის ჭიდილის შუაგულში აღმოჩნდა: ,,მუდამ გზაჯვარედინზე ვირყევი. როცა შორს მივდივარ, ვერ გადამიწყვეტია: ზღვით თუ ხმელეთით? სასყიდელში ორნაირი ნივთი მომეწონება. ერთსა და იმავე დროს ორ კაცს ვემეგობრები. მუდამ ორ ქალზე ვარ შეყვარებული“ (გამსახურდია, 1992:79). მსგავსი გაორება, ორჭოფობა, შინაგანი წინააღმდეგობანი არც „მთვარის მოტაცების“ პროტაგონისტის – თარაშ ემხვარისთვისაა უცხო – ესაა ამ ევროპაში განათლებამიღებული პერსონაჟების ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზიც.

გამსახურდიას მსგავსად, ელიფ შაფაქიცა და ორჰან ფამუქიც საფუძვლიანად იცნობენ ორივე კულტურას – აღმოსავლურსა და დასავლურს და, აქედან გამომდინარე, მათ მიერ დახატული ამ ორი სამყაროს სურათი ზუსტად გადმოგვცემს მათ შორის მსგავსება-განსხვავების ნიუანსებს. საინტერესოა, რომ უმთავრესი ადგილი ამ ორი განსხვავებული მსოფლხედვის, კულტურის, ცივილიზაციის შეხვედრისა, არის სტამბოლი – კონტრასტების ქალაქი. ის არის გზაჯვარედინი, სადაც ყველაზე ნათლად ჩანს აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა შორის დიალოგიცა და წინააღმდეგობაც: „ლონდონი რომ ტკბილეულობა იყოს, ირისის კანფეტი იქნება – მდიდარი, შთამბეჭდავი და ტრადიციული. სტამბოლი კი ალუბლის ძირტკბილა, ნაირ-ნაირი გემოს ნაზავი, ერთდროულად მჟავე და ტკბილი“ (შაფაქი, 2022:93).

შაფაქის ამ ორიგინალურმა შედარებამ გამახსენა ნიჭიერი ქართველი ემიგრანტის, თუმცა, სამწუხაროდ, გერმანულენოვანი მწერლის, ნინო ხარატიშვილის მიერ დახატული თბილისი: „იმ ოთახიდან დიდებული ხედი იშლებოდა თბილისზე... აქ ერთდება სამყაროები, აქ ხდება მათი შეკავშირება. ეს ქალაქი ისე ინელებდა აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც, რომ ვერცერთი ვერაფერს აკლებდა“ (ხარატიშვილი, 215:271).

სრულიად განსხვავებულია პოსტმოდერნისტი აკა მორჩილაძის შეხედულება ამ საკითხზე: „ტფილისი პარიზი ვერ გახდება. ისინი ერთმანეთს ვერ შეხვდებიან“ (მორჩილაძე, 2001:49). როგორც ვხედავთ, მიუხედავად მასშტაბების განსხვავებისა, ძალიან დიდი მსგავსებაა ევროპა-აზიის გზაგასაყართან მდგარი ქვეყნებისა და ქალაქების, დავამატებდი, მეზობელი ხალხების სახეებსა და პრობლემებს შორის.

სხვად ქცევის სევდას შეუპყრია ორჰან ფამუქის მიერ თავის რომანებში ასე დიდოსტატურად დახატულ-გაცოცხლებული სტამბოლი. ის ქალაქი, რომელთანაც მწერლის ბავშვობისა და სიყმაწვილის უტკბესი წლებია დაკავშირებული, მხოლოდ შავ-თეთრ გრავიურებშიღაა შემორჩენილი, თანამედროვე სტამბოლი კი უფრო და უფრო ემსგავსება „უცხო ქვეყნის საოცნებო ქალაქებს“ (ფამუქი, 2013-1:413), ანუ კარგავს თავის განუმეორებლობას, ერთადერთობას, კოლორიტს.

ისევე როგორც ორჰან ფამუქის ტექსტებში, ელიფ შაფაქის რომანებშიც განსაკუთრებით შთამბეჭდავი და ექსპრესიულია სტამბოლის მხატვრული სახე. მას აბსოლუტურად განსხვავებულად

აღიქვამენ პერსონაჟები: ზოგისთვის ის ილუზიაა, ზოგისთვის – ოცნება, ზოგისთვის – ისტორიის წიაღში ჩაძირული, მოხეტიალე დერვიშებისა და მარჩიელების ქალაქი, ზოგისთვის – პირიქით: უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული ულტრათანამედროვე ურბანული გიგანტი – თავისი ახალ-ახალი სავაჭრო ცენტრებით, ცათამბჯენებითა და ავტომობილების ქაოსური საცობებით. ყველა შემთხვევაში სტამბოლი მრავალსახოვანი იანუსია, მასში არაფერია მუდმივი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, რადგან აქ და ამ კონკრეტულ ადგილას, ისტორიის თუ ბედისწერის მიერ განპირობებულ/დაგეგმილი განსაკუთრებული თამაშები იმართებოდა: „იმპერიული სტამბოლი პლებეურ სტამბოლს უპირისპირდებოდა; გლობალური სტამბოლი – პროვინციულ სტამბოლს; კოსმოპოლიტური სტამბოლი – ფილისტერულ სტამბოლს; მწვალებლური სტამბოლი – ღვთისმოშიშ სტამბოლს; ვაჟკაცური სტამბოლი – ქალურ სტამბოლს...“ (შაფაქი, 2020-3:275).

ელიფ შაფაქის აზრით, არსებობდა კიდევ „დიდი ხნის წასულთა“ სტამბოლიც, ემიგრანტების მეხსიერებაში მითებად შემორჩენილი, იდეალიზებული, მესიანისტური მისწრაფებებისგან შექმნილი. აღქმისა და შეგრძნების ეს მრავალფეროვნება გასაკვირი არაა, თუ გავითვალისწინებთ მწერლის ღრმა რწმენას, რომლის მიხედვით, ქალაქები თავიანთ მცხოვრებთა გულის, სულისა და ფიქრების ანარეკლები არიან.

თურქებისაც არ იყოს, მათი მთავარი უსაყვარლესი ქალაქიც გაორებულია და მუდმივად ცდილობს დილემის გადაწყვეტას: „სტამბოლი ევროპის მეზობლად მდებარეობდა. ასეთი სიახლოვე ხომ რაღაცას ნიშნავდა. ევროპა ისე სუნთქვის შემკვრელად ახლოს იყო, თურქეთს ცალი ფეხი მის კარიბჭეში ედგა და მთელი ძალით ცდილობდა შიგ შეღწევას. შესასვლელი კი ისეთი ვიწრო გახლდათ, თანაც, ევროპა კარს უხურავდა. რაც უნდა ეცადა სტამბოლს, ტანი არ შეეტეოდა“ (შაფაქი, 2022-1:13).

მართალია, გლობალიზაციისა და მულტიკულტურულობის პირობებში ტერიტორიული საზღვრები სხვადასხვა კულტურას შორის სულ უფრო და უფრო იშლება, მაგრამ, ფაქტია, რომ თავად განსხვავება კულტურათა შორის არსად არ ქრება, არამედ მხოლოდ მძაფრდება – ჩნდება ახალი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია „უცხო“ კულტურის ინტეგრაციასთან უკვე ჩამოყალიბებულ საზოგადოებაში და, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ორივე კულტურის თავდაცვითი ინსტინქტების გამძაფრებასთან. ამიტომაც თვლის ორჰან ფამუქი, რომ „სხვის უნიჭო ასლად ყოფნა“ დამღუპველია, ის არცერთი მხარისთვის არაა სასარგებლო, რადგან მხოლოდ თვითგამორკვევის კრიზისს, გაორების, დაბნეულობის განცდასა და მტრული განწყობების გააქტიურებას იწვევს (ფამუქი, 2013-2:); (ფამუქი, 2013-3:).

გავიხსენოთ ისევ ევროპაში განათლებამიღებული ქართველი კლასიკოსი, რომელიც „მთვარის მოტაცებაში“ ასეთ რამეს ათქმევინებს თარაშ ემხვარს: „თქვენ, ევროპელები, ეგოისტები ხართ, ჩვენგან მოითხოვთ გარდავიქმნეთ, ე.ი. ჩვენ არ ვიქნეთ ისეთი, როგორიც ვყოფილვართ, ან ვართ, ე.ი. თქვენ დაგემსგავსოთ... თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ჩვენი ენა დაგვავიწყდეს, თქვენ ენებზე გადავიდეთ“ (გამსახურდია, 1973:143) – ესეც იწვევს ორ სამყაროს შორის გაჭედილი ცნობიერების ტრაგედიას. ევროპელებიც ცდილობენ გადაასხვაფერონ სხვა ხალხები, ამიტომაც მიაჩნდა მწერალს, რომ საჭირო იყო ქართული ენისა და კულტურის ჰეგემონიის იდეის მკაცრად დაცვა. ჩემი აზრით, ეროვნული იდენტობის დაცვის საკითხში ქართველი მოდერნისტისა და თურქი პოსტმოდერნისტი შემოქმედის შეხედულებები მსგავსია.

თურქი მწერლების რომანებში ისიც თვალნათლივაა ნაჩვენები, რომ აღმოსავლელ ემიგრანტებს სურთ დასავლეთის ქვეყნებში ცხოვრება, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ცდილობენ, ერთი მხრივ, ახალ

კულტურულ გარემოსთან ადაპტირებას და, მეორე მხრივ, საკუთარი ტრადიციების, ენის, ადათ-ჩვევების შენარჩუნებას. ეს კი წარმოშობს მულტიკულტურულობისა და ტოლერანტობის პრობლე-მებს როგორც ემიგრანტების, ასევე – აბორიგენი მოსახლეობის მხრიდან, ამიტომაც გაისმის ელიფ შაფაქის რომანში – „ევას სამი ქალიშვილი“ – ევროპელი ფილოსოფოსების, ინტელექტუალების გა-მაფრთხილებელი ხმა: „ევროპა ევროპელებს უნდა შევუნახოთ... ევროპის კარი საგულდაგულოდ უნდა დავგმანოთ... ევროპა სახლია. მუსლიმები უცხოები არიან. ხუთი წლის ბავშვმაც კი იცის, რომ უცხოს შემოპატიჟება არ შეიძლება... რასებსა და რელიგიებს შორის ქორწინება დასავლურ საზო-გადოებას საფრთხეს უქმნის“ (შაფაქი, 2022-1:347).

ორჰან ფამუქისაგან განსხვავებით, ელიფ შაფაქი ყურადღებას ამახვილებს მედლის სწორედ ამ, მეორე მხარეზეც, ის ხედავს, რომ უცხო კულტურის მიღების პრობლემა მხოლოდ აღმოსავლელებს/ თურქებს არ აქვთ, ევროპელებიც ვერ იჩენენ ტოლერანტობის საკმარის ხარისხს: „ბრიტანელების ზიზღი უცხოელების მიმართ ძალიან მაცბუნებს. პირისპირ ყოველთვის არ გიწოდებენ „სპიკს“ – ბი-ნძურ არალეგალს, თუმცა ზოგჯერ ეგრეც ხდება, რასიზმი, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ყო-ველდღიური ცხოვრების ნაწილი არ არის. უფრო შეფარული და დახვეწილია“ (შაფაქი, 2022-2:169).

ან: „გერმანელები ქვეყანაში სამუშაოდ გიწვევდნენ და არა – მათ საზოგადოებაში გასარევად, როგორც კი საქმეს მორჩებოდი, უკან უნდა დაბრუნებულიყავი. მათი ცხოვრების წესთან შეგუება ზღარბთან ჩახუტებას ჰგავდა “ (შაფაქი, 2022-2:184).

ელიფ შაფაქის რომანებიდან მოყვანილი ეს ციტატები ხაზს უსვამს, რომ „უცხოს“ გაგება-მიღე-ბის პრობლემა რეალურად არსებობს ორივე მხარისთვის, უფრო მეტი, დასავლეთელებიც მზარდ შეშფოთებას (ალბათ, ამიტომ უყვართ და იყენებენ ხშირად ამ სიტყვას!) შეუპყრია ამასთან დაკავ-შირებით და თავდაცვით ზღუდეებსაც ქმნიან.

ორჰან ფამუქისა და ელიფ შაფაქის რომანებში მაღალმხატვრულად და დამაჯერებლადაა ნაჩვე-ნები, რომ სხვადასხვა კულტურის, ცივილიზაციის, მსოფლმხედველობის ადამიანები განსხვავებუ-ლად უყურებენ ღმერთსა და ადამიანს, ინდივიდსა და კოლექტივს, მოქალაქესა და სახელმწიფოს, მშობლებსა და შვილებს, ცოლსა და ქმარს შორის ურთიერთობებს; აქვთ თავისებური წარმოდგე-ნები მათი უფლებებისა და მოვალეობების, თავისუფლებისა და იძულების, თანასწორობისა და იერარქიის შესახებ. ეს განსხვავებები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, ტრადიციად, ადათად ფორმირდებოდა და მათი ერთი ხელის მოსმით გაქრობა, მათზე უარის თქმა (ხშირ შემ-თხვევაში – დიდი სურვილის მიუხედავადაც) არც ისე იოლია, ამიტომ უცხო კულტურაში მოხვე-დრილ ადამიანს სხვა გზა არ აქვს, როგორღაც უნდა იპოვოს ერთიანობის ფორმები, შეხების წე-რტილები კულტურული მრავალფეროვნების არსებობის ფარგლებში, ყველა ეძებს გამოსავალს, ზოგჯერ – კომიკურს, ზოგჯერ – სერიოზულს, რადგან: „საერთაშორისო პოლიტიკა ორაზროვნებას არ ცნობს... ჰო, ყველა ბოსფორის ხიდზე უნდა გავმწკრივდეთ, მთელი ძალით შევუბეროთ და ამ ქალაქს დასავლეთისკენ ვუბიძგოთ. თუ არ გაჭრის, სხვა გზას ვცდით და ვნახავთ, შეგვიძლია თუ არა აღმოსავლეთის შეტრიალება...“ (შაფაქი, 2020-1:176).

არადა, არც ისე ადვილია აღმოსავლეთის „შეტრიალება“, და ალბათ, არცაა საჭირო. ეს კარგად ჩანს ფამუქის რომანში „მე წითელი მქვია“, რომელშიც მწერალი კლასიკური/აღმოსავლური მინია-ტურის ხელოვნებაზე მსჯელობისას კონკრეტულად სვამს კულტურათა შორის განსხვავებისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებლობის საკითხს: „მხატვარი არ უნდა გა-ყოყოჩდეს, არ უნდა ფიქრობდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთზე, მარტო ისე უნდა ხატავდეს, რო-გორც გულიდან მოდის!“ (ფამუქი, 2014:336).

„კარგად რომ ჩავუფიქრდეთ, ოცდამეერთე საუკუნე მეცამეტე საუკუნისგან დიდად არ განსხვავდება. ორივე ჩაიწერება ისტორიაში, როგორც უპრეცედენტო რელიგიური დაპირისპირებებისა და კულტურული შეუთავსებლობის ეპოქა, რომლებიც გამსჭვალული იყო დაუცველობის გრძნობითა და უცხოს შიშით. ასეთ ეპოქაში სიყვარული განსაკუთრებულად სჭირდებათ ადამიანებს“ – (შაფაქი, 2020-2:20) – ელიფ შაფაქისა და ორჰან ფამუქის შემოქმედება ამ შეხედულების სამართლიანობაში გვარწმუნებს. სწორედ მსოფლმხედველობრივმა, მენტალურ-ფსიქოლოგიურმა განსხვავებებმა ამ ორ სამყაროს შორის განაპირობა აღმოსავლეთ-დასავლეთის საკმაოდ პრობლემატური, წინააღმდეგობებით სავსე ურთიერთობები, რომელთა შესახებ, როგორც ვნახეთ, მხოლოდ პოლიტიკოსები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, თუ მეცნიერების სხვა სფეროთა წარმომადგენლები არ მსჯელობენ, ეს პრობლემა დგას არაერთი ხელოვანის შემოქმედების ცენტრში, მათ შორის, თურქი მწერლების ჩვენ მიერ გაანალიზებულ ტექსტებშიც. განსხვავებული ხერხებით, სხვადასხვა რაკურსით ხატავენ და წარმოგვიდგენენ ისინი აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის საკითხს, სხვადასხვა გზით მიდიან საერთო დასკვნამდე: ამ სამყაროებმა/კულტურებმა ერთმანეთი უნდა მიიღონ, გაიგონ, შეავსონ. ამასთან ერთად, დასაგმობია როგორც ფანატიკური, ბრმა მიუღებლობა, ასევე, საკუთარის ნიჰილისტური უარყოფა, უცხოს მაიმუნური მიბაძვა და გაფეტიშება. დაუშვებელია როგორც კულტურული თვითიზოლაცია, ასევე – კულტურული ინტერვენცია. აუცილებელია კულტურათა შორის ღირსეული, თანასწორი დიალოგი და თითოეული ერის უფლების აღიარება იდენტობის შენარჩუნებაზე მულტიკულტურულ გარემოში.

ამრიგად, გლობალიზაციის პროცესში, მულტიკულტურული, მულტილინგვისტური და ციფრული გარემოს პირობებში ადამიანები, ერთი მხრივ, ცდილობენ იდენტობის შენარჩუნებას და, მეორე მხრივ, პრაქტიკულად სწავლობენ და ითავისებენ კულტურებს შორის დიალოგის, უცხო კულტურისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების აუცილებლობასა და იმას, რომ სხვა კულტურის მიღება მისი გაგების გარეშე წარმოუდგენელია. ამავე დროს, ელიფ შაფაქისა და ორჰან ფამუქის ნაწარმოებთა პერსონაჟების ცხოვრების გზაზე დაკვირვებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ, მართალია, მასობრივ კულტურას შეუძლია შეცვალოს კულტურის გარე, ზედაპირული ფორმები, მაგრამ არ აქვს უნარი, შეაღწიოს და ძირეულად შეარყიოს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ისინი, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული მენტალიტეტის ძირებთან.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა ერის ტრადიციები, აზროვნების ტიპი, მენტალიტეტი, მსოფლხედვის თავისებურებანი ათასწლეულთა მანძილზე ყალიბდებოდა და, ბუნებრივია, თუნდაც გლობალიზაციის არნახული მასშტაბების, მულტიკულტურიზმისა თუ მულტილინგვიზმის მასირებული შემოტევის ეპოქაშიც კი ისინი ძნელად აღმოიფხვრება, პირიქით, ექსტრემალური პირობები უფრო ამახვილებენ, ამწვავებენ, ზრდიან საკუთარი იდენტობის განმაპირობებელი ფაქტორების დაცვის მოთხოვნილებას ერებში. თუმცა, ამ პროცესს აქვს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, მხარეც: ხალხები სწავლობენ ურთიერთობის კულტურას, დიალოგს იწყებენ განსხვავებული კულტურის ადამიანებთან, გამოუმუშავდებათ „სხვის“//„სხვაგვარის“ მიმართ შემწყნარებლობის უნარი. მათ ამ უნარების ქონის აუცილებლობას ცხოვრებისეული, პრაგმატული საჭიროებებიც კარნახობენ. აქედან გამომდინარე, ჩვენი თანამედროვე თურქი პროზაიკოსების შემოქმედებაში აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის ასახვის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გლობალიზაციის პროცესში ადამიანთა საზოგადოება ბუნებრივად სწვდება კულტურებს შორის დიალოგის სიბრძნეს, სწავლობს სხვების მიმართ შემწყნარებლობას და იაზრებს ერთ მარტივ ჭეშმარიტებას: უცხო კულტურის მიღება გულისხმობს მის გაგებას – ამის გარეშე კიდევ უფრო გამძაფრდება ორ სამყაროს შორის გაჭედილი ცნობიერების ტრაგედია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამსახურდია კონსტანტინე, „მთვარის მოტაცება“, გამ. „საბ. საქართველო“, თბილისი, 1973.

2. გამსახურდია კონსტანტინე, „დიონისოს ღიმილი“, გამ. „დიდოსტატი“, თბილისი, 1992.

3. მორჩილაძე აკა, „გაქრები მადათოვზე“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა,“ თბილისი, 2001.

4. შაფაქი ელიფ, „სტამბოლელი ნაბიჭვარი“, გამ. „პალიტრა L“, თბილისი, 2020-1.

5. შაფაქი ელიფ, „სიყვარულის ორმოცი წესი“, თბილისი: გამ. „პალიტრა L“, 2020-2.

6. შაფაქი ელიფ, „ათი წუთი და ოცდაცამეტი წამი ამ უცნაურ სამყაროში“, გამ. „პალიტრა L“, თბილისი, 2020-3.

7. შაფაქი ელიფ, „ევას სამი ქალიშვილი“, გამ. „პალიტრა L“, თბილისი, 2022-1.

8. შაფაქი ელიფ, „ღირსება“, გამ. „პალიტრა L“, თბილისი, 2022-2.

9. ფამუქი ორჰან, „სტამბოლი. მოგონებები და ქალაქი“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი, 2013-1.

10. ფამუქი ორჰან, „თოვლი“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი, 2013-2.

11. ფამუქი ორჰან, „შავი წიგნი“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი, 2013-3.

12. ფამუქი ორჰან, „მე წითელი მქვია“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი, 2014.

13. ხარატიშვილი ნინო, „ჩემი საყვარელი ორეული“, გამ. „ინტელექტი“, თბილისი, 2015.

14. Хантингтон, С., «Столкновение цивилизаций и переустройство мирового порядка». «Издательство АСТ», Москва, 2003.



გიორგი მასაღკინი

მე უცნაური ავტორი აღმოვაჩინე

ბათუმელი გია ტუღუში, პროზაიკოსი და პოეტი. უფრო – პოეტი და პროზაიკოსი... მისი მხოლოდ ერთი ნაწარმოები მაქვს წაკითხული – „ირინეოსი“, რომელიც მაჩუქა იმ იმედით, რომ წავიკითხავდი (ერთმანეთი, ასევე ბათუმელი ავტორის, დავით ჩომახიძის ლიტერატურულ შეხვედრაზე გავიცანით). ასეთი მომენტების ყოველთვის მეშინია, ძირითადად იმიტომ, რომ, ხშირ შემთხვევებში, არ იცი, როგორ უთხრა ავტორს, როცა მისი ნამუშევარი არ მოგეწონა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ გია რთული პიროვნებაა. ის აბსოლუტურად დარწმუნებულია თავის გენიალურობაში (ეს თვისება ბევრ ხელოვანს ახასიათებს).

საბედნიეროდ, შიში არ გამართლდა და მე ძალიან ნიჭიერი, ძალიან საინტერესო და ძალიან უცნაური ავტორი აღმოვაჩინე.

სხვა პრობლემა შემექმნა, ვფიქრობ, ბოლომდე ვერ ჩავწვდი მისი წიგნის სიღრმეებს... წარმომიდგენია, როგორ მარტოსულად გრძნობს თავს... ბოლომდე ვერ ჩავწვდი, მაგრამ „ერთი ამოსუნთქვით“ წავიკითხე... ბოლომდე ვერ ჩავწვდი, მაგრამ რეცენზიამაგვარის დაწერის სურვილი მაინც გამიჩნდა, რომ სხვებს მოგიწოდოთ მისი შემოქმედების გაცნობისკენ.

მცირე ზომის რომანი, ან დიდი ზომის ნოველა (სულ 110 გვერდი), დისტოპიურ ჟანრშია დაწერილი და თეოლოგიურ-ფილოსოფიურ-მითოლოგიურ კონტექსტშია ჩაფლული. „ირინეოსი“ ინტელექტუალური პროზის ნიმუშია. მისი წაკითხვა მარტივი არ არის. ავტორი ლიტერატურისა და ფილოსოფიის ღრმა ცოდნას ავლენს (მათ შორის, აღმოსავლური ფილოსოფიის), და მისი ნაშრომი მკითხველისგანაც ანალოგიურს მოითხოვს. მასში ბევრი ალუზია დავინახე ჰომეროსის, ჰესეს, ორუელის, დოსტოევსკის, კაფკას, სარტრის, მარკესის შემოქმედებიდან. მთავარი გმირი, ირინეოსი, „ქალაქის ზომიერების დაცვის სამსახურის“ თანამშრომელი, გადის თავის გზას შინისკენ და გამარჯვებული მარცხდება, ან მარცხდება გამარჯვებული... აღსანიშნავია, რომ ნაწარმოები ზოგადსაკაცობრიო და ქართული რეალობის დახვეწილ სინთეზს წარმოადგენს.

ცალკეულმა მეტაფორებმა და ისტორიულ-ფილოსოფიურმა მიგნებებმა, რაც მრავლადაა მიმოფანტული ტუღუშის ნაშრომში, ღრმა ესთეტიკური ტკბობა მომანიჭა: „...გაახსენდა დღე, როდესაც ცოლს პირველად შეხვდა, რომელიც გაცნობამდე კიდევ უფრო მეტად უყვარდა“.

„ოსმანთა იმპერიას არსებობა მობეზრდა და კვდება“.

„თბილისის სასულიერო სემინარიაში ბიჭი აბარებს. ბიჭი ალუმინის ფირფიტასავით ნაზი და ფაქიზია. მომავალში ეს ბიჭი რკინის კაცად იქცევა. რკინის კაცი რკინასავით რუსეთს ქმნის. რკინის კაცი რუსეთს გამიზნულად ამზადებს მსხვერპლთშეწირვისთვის“.

„დანტე ალიგიერი მოძველებულ ქრისტეს მოწიწებით ებრძვის“.

„ჯვაროსნები ქრისტეს უკომპრომისო ბრძოლას უწყებენ“.

ნაშრომში ხვდებით ავტორის იპოსტასებს – ესენია პოეტის, მქადაგებლისა და მწერლის პერსონაჟები, რომელთა შემოქმედებისა და სოციალურ-სულიერი მისიის გაცნობა მთავარ გმირს სამსახურებრივად ევალება. ვფიქრობ, კიდევ ერთი პერსონაჟი – „ბიძაშვილის შვილის ქმარი“, შორეული ნაოსნობის მეზღვაური, – ასევე ავტორის ალტერ-ეგოა.

უკვე ვახსენე, რომ გია ტუღუში რთული და პრეტენზიული ავტორია. მის ნაშრომში, არც მეტი, არც ნაკლები, ახალი რელიგიისა და ახალი მორალის ჩამოყალიბების ამბიცია და ინტენცია იკითხება. პირადად ჩემთვის, ნაშრომის სწორედ ეს განზომილება აღმოჩნდა ყველაზე უფრო რთულად გასაგები. არ გამოვრიცხავ, რომ ავტორისთვისაც...

გია ტუღუში რამდენიმე პროზაული წიგნის და პოეტური კრებულის ავტორია, მაგრამ პირადად მე ის აბსოლუტურად ახალ ავტორად მომევლინა...

საშა
დეკვეიშვილი

პერიოდული სალიტერატურო ჟურნალების ისტორიიდან აჭარაში

ისტორიული ძნელბედობის გამო საუკუნეთა მანძილზე ჩამკვდარი ლიტერატურული ცხოვრება აჭარაში, დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, კვლავ გამოცოცხლდა. ლიტერატურის აღორძინებას მყარი საფუძველი შეუქმნა ქართულმა სკოლებმა, მშობლიურ ენაზე გამოცემულმა წიგნებმა და ჟურნალ-გაზეთებმა. ამ მხრივ თვალსაჩინო როლი ითამაშეს მწერლებმა, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩამოდიოდნენ ბათუმში და ავრცელებდნენ ქართულ წიგნებს, გაზეთებს (ზ. ჭიჭინაძე, კერესელიძე) ან ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ (დ. კლდიაშვილი, გრ. ვოლსკი, ი. მესხი და სხვ.).

წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას ხელს უწყობდა დამოუკიდებელი წიგნის მაღაზიები: 1889 წელს ბათუმში მოქმედებდა მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზია. 1895 წელს იგი მდებარეობდა მიხაილოვის (ახლ. გ. მაზიაშვილის) ქუჩაზე, თავადის ქალის – გურიელის სახლში. იყო წიგნისა და საწერი ქაღალდის მაღაზია „იუნონი“, რომელიც 1904 წელს მდებარეობდა სასტუმრო „ფრანციას“ ქვეშ და წიგნის მაღაზია „განთიადი“.

ლიტერატურული ცხოვრების გააქტიურებას დიდად უწყობდა ხელს პოლიტიკურ-ლიტერატურული ორგანო „ბათუმის გაზეთი“ (1911-1914), რომელშიც თანამშრომლობდნენ: პ. საყვარელიძე, დ. სულიაშვილი, ნ. გურიელი და სხვ. 1919-1921 წლებში პუბლიცისტების მემედ აბაშიძისა და ჰაიდარ აბაშიძის თაოსნობით ბათუმში გამოდიოდა გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, რომელიც აჭარის ლიტერატურულ ცხოვრებასაც ასახავდა.

ადგილობრივ მწერალთა ახალი კადრების გამოვლინებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვოდა გაზეთ „ფუხარა“-ს, რომლის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა ახალგაზრდა ავტორთა ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები, კრიტიკული წერილები.

1922 წელს გამოდიოდა გაზეთი „წითელი აჭარისტანი“ („კიზილ აჭარისტან“), იგი იყო აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკის „ფუხარა“ ხალხის კომიტეტის გამოცემა, რომელშიც იბეჭდებოდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად ადგილობრივი მუშები და გლეხები, რომლებმაც მოიტანეს ახალი თემები, ახალი სიტყვა და შექმნეს ე.წ. პროლეტარული მწერლობის ძირითადი ბირთვი.

ამავე პერიოდში ბათუმში გამოდიოდა ლიტერატურული მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები და გაზეთები. ადგილობრივ მწერალთა შედარებით დაბალი მხატვრული დონე საშუალებას არ აძლევდა ცალკეულ ენთუზიასტებს, ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ინიციატორებს, ბოლომდე მიეყვანათ დაწყებული საქმე. და, როგორც წესი, თითოეული ახალი ლიტერატურული ორგანო ერთი-ორი ნომრის გამოსვლის შემდეგ არსებობას წყვეტდა.

XX საუკუნის 20-იან წლებში გამოცოცხლდა ლიტერატურული ცხოვრება. გამოდიოდა გაზეთები: „პოეზიის დღე“, „მწვერვალი“, „ასპიროზი“.

1922 წელს ბათუმში დიდი ხნის ნანატრი ლიტერატურული ჟურნალი გამოვიდა. მას „კანდელი“ (ლამპარი) უწოდეს. ჟურნალის რედაქტორობა ითავა შალვა ჯანბერიძემ. პირველი ნომრის ფურცლებზე დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილის, ალექსანდრე აბაშელის, კიკნა ფშაველას, დავით კასრაძის, შალვა ჯანბერიძის და სხვათა ნაწარმოებები. „კანდელის“ პირველი ნომერი 500 ცალი გამოვიდა. შალვა ჯანბერიძეს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ჟურნალის პირველი ნომრის გამოშვებასთან დაკავშირებით. პუბლიცისტური წერილების – დავით კასრაძის „ცისფერი ყანწისმი“-ს და თ. სიხარულიძის „პოზიტიური ესთეტიკის ფსიქოლოგიიდან“ დაბეჭდვის გამო. მიუხედავად ამისა, ივლისში კიდევ დაიბეჭდა „კანდელი“-ს მეორე ნომერი, რომელშიც გამოქვეყნდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „კოშკი“, კიკნა ფშაველას „ხმა ეშმაკეულს“, ს. დოლიძის, გრ. ნუცუბიძის, შ. ჯანბერაძის და სხვათა ნაწარმოებები. ამ ნომერში გაგრძელდა დავით კასრაძის საუბარი ქართველი ცისფერყანწელების შესახებ. „კანდელის ორივე ნომერში დაიბეჭდა საზღვარგარეთის ლიტერატურის ნიმუშები, კერძოდ, ფრანგულიდან თარგმნილი ოქტავ მორბოს „მეძავი“ და საინტერესო წერილი ოსვალდ შპენგლერზე. მეორე ნომერი გამოვიდა 1000 ცალი.

სამწუხაროდ „კანდელმა“ მხოლოდ ორ თვეს ილაპლაპა, თუმცა ქართული ლიტერატურული პრესის ისტორიაში თავისი მოკრძალებული სიტყვა მაინც თქვა.

„კანდელის“ გამოცემიდან ორი წლის შემდეგ, 1924 წლის აპრილში ბათუმში გამოვიდა ახალი ლიტერატურული ჟურნალი „ისპირი“-ს სახელწოდებით. ჟურნალის შესავალ ნაწილში ნათქვამი იყო, რომ „ყოველი ხატი მშობლიური ხელოვნების ტაძრიდან ჩვენთვის ძვირფასია“. იქვე კი მიუთითებდნენ, რომ „როგორც აქ დაგროვილი მასალებიდან სჩანს, ჩვენ სრულიად შორსა ვდგევართ მწერალთა დიფერენციაციისაგან, გვიყვარს ქართული ლიტერატურის მთლიანი სახე, არსებულ ლიტერატურულ შკოლების გარეშე დგომაც და, ამრიგად გვრჩება მხოლოდ სიყვარული ქართული ხელოვნებისადმი“.

ეს განცხადება ჟურნალის რედაქციას იმიტომ დასჭირდა, რომ იმ დროს საქართველოში უამრავი ლიტერატურული დაჯგუფება იყო, რომლებსაც დაუპირისპირდა ახალი საბჭოთა მწერლობის წარმომადგენლები და მიუხედავად არა ერთი შეჯახებისა, ჭეშმარიტად რეალისტურმა სკოლამ გაიმარჯვა.

„ისპირი“ იყო ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სამეცნიერო ჟურნალი. რედაქტორი ვიქტორ გაბესკირია, გამომცემელი ალექსანდრე ესაკია (ფასი – 20 კაპ). ჟურნალში თანამშრომლებად მიწვეული იყო ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. რედაქცია მდებარეობდა მე-3 ინტერნაციონალის (ახლ. მემედ აბაშიძის) ქუჩა №23-ში ალექსანდრე ესაკიასთან. ამავე მისამართზე შეიძლებოდა როგორც მასალების გამოგზავნა, ასევე ხელის მოწერაც.

„ისპირი“-ს პოეზიის განყოფილებაში დაბეჭდილია ი. გრიშაშვილის, კ. გამსახურდიას, კ. მაყაშვილის, დუტუ მეგრელის და ვ. გაბესკირიას ლექსები. პროზიდან აღსანიშნავი იყო დ. ჩიანელის (ჩხეიძე) „ბათუმის ქრონიკა“ და გრ. ნუცუბიძის „ყმაწვილი წითელ მანტიაში“. განყოფილებაში „თეატრი“

დაბეჭდილი იყო შალვა გომართელის „ჩვენი თეატრი“ და ემილ ვალდის „ქართული თეატრი აჭარისტანში“. ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში საუბარი იყო ი. გრიშაშვილის ალმანახზე „ლეილა“, სოლომონ თავაძის და გრ. ცეცხლაძის ახალ წიგნებზე, რომლის ავტორი ბათუმელი მურად ფაღავა იყო.

ჟურნალ „ისპირი“-ს წერილებიდან საინტერესოა „ლიტერატურული ბათუმი“, სადაც ვკითხულობთ, რომ რედაქცია შეუდგა ტრადიციული „პოეზიის დღის“ მოწყობას, საღამოზე მონაწილეობას მიიღებდნენ ბათუმისა და თბილისიდან მოწვეული სტუმრები. ამიტომ „ისპირი“-ს მესამე ნომერი გამოვიდა „პოეზიის დღე“-ს სახელწოდებით.

ცნობილია, რომ 1922-1924 წლებში, მაისში, ბათუმში აღინიშნებოდა პოეზიის დღე. აჭარის სახალხო განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილების ლიტერატურული სექცია ბეჭდავდა ერთდროულ გაზეთს ამავე სახელწოდებით.

„ისპირი“-ს რედაქციამ ასეთი შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა: „დიდი ხანია ბათუმის ქართული საზოგადოება მშიერია ხელოვნებით. ბათუმს არ ეღირსა ბედნიერება ჰქონოდა პერიოდული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი, რომელიც მაჩვენებელი იქნებოდა ჩვენი ლიტერატორული განვითარების სიძლიერის და სისუსტის. ჩვენ დიდი სურვილი გვქონდა, მუდამ და არა ერთხელ ვცდილვართ კიდეც შეგვევსო ეს ნაკლი. მუდმივი დაბრკოლება – უფულობა – რასაკვირველია, არ გვაძლევდა საშუალებას ჩვენი კეთილი განზრახვა სისრულეში მოგვეყვანა“ (ჟურნალი დაცულია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ბიბლიოთეკაში).

1925 წლის თებერვალში ბათუმში გამოვიდა ახალგაზრდა მწერალთა ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „პონტოსი“. გამომცემელი იყო ხასან კომახიძე, ტირაჟი – 500 ცალი, ფასი – 35 კაპ. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ლელიან ანელი, ვ. გალდავა, თ. გორგილაძე, ვანიონ დარასელი, შ. დუდუჩავა, დათა თაქთაქაძე. ჟურნალის სულ 4 ნომერი გამოვიდა. აქედან ერთი ნომერი დაცულია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ბიბლიოთეკაში.

1927 წელს შეიქმნა მწერალთა პირველი ორგანიზაცია – საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარის განყოფილება, რომელმაც გამოსცა ალმანახი „სიტყვა ტრიბუნიდან“ (1928) გრ. შავიშვილისა და პ. ოდიშელის რედაქციით.

XX საუკუნის 30 წლებისათვის აჭარის მწერალთა ორგანიზაცია საკმაოდ მოღონიერდა. ამ დროს ბათუმში მოღვაწეობდნენ: პარმენ ლორია, პარმენ რურუა, ნესტორ მალაზონია, მამია ვარშანიძე, ნიკოლოზ კანდელაკი, ჯემალ ნოღაიდელი, გრიგოლ გორგაძე და სხვ.

1935 წლის 6 იანვარს ბათუმში გამოვიდა ორკვირეული ლიტერატორული გაზეთის „ლიტერატურული აჭარისტანის“ პირველი ნომერი. ეს იყო პირველი ლიტერატურული გაზეთი აჭარაში, რომელსაც დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდა ქართველი საზოგადოება. ცნობილი ბელეტრისტი მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „მე მჯერა, რომ აჭარლები... თავიანთ სამწერლო კადრებს მოაღონიერებენ. წრფელი გულით ვუსურვებ გაზეთის თანამშრომლებს, რომ ეს ტვირთი ხალისით და ბეჯითად ეზიდნოთ... თანამშრომელთა შორის მეც მიგულეთ“.

გაზეთს სათავეში ედგა სარედაქციო კოლეგია, რომელშიც შედიოდნენ: გიორგი სულუხია (რედაქტორი), ნიკოლოს კანდელაკი (მდივანი), გრიგოლ გორგაძე, დავით დუმბაძე, ილიას ქათამაძე, პარმენ ლორია, ჯემალ ნოღაიდელი.

სარედაქციო სტატიაში ასე იყო განსაზღვრული გაზეთის ძირითადი ამოცანა: „აჭარისტანი ცვლის უკულტურობისა და პატრიარქალური ჩამორჩენილობის კურსს... ჩვენი გაზეთის მიზანია ამ ბუბმერაზული წინსვლის მხატვრული ჩვენება, მისი ასახვა, მისი დასურათება“... გაზეთი თავის

ამოცანად თვლიდა აგრეთვე მდიდარი აჭარული ხალხური შემოქმედების ნიმუშების პუბლიკაციას, ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების შემოკრებასა და აღზრდას.

„ლიტერატურული აჭარისტანი“ ვრცელდებოდა სრულიად საქართველოში და ბევრი მკითხველი ჰყავდა. იბეჭდებოდა 6 გვერზე 4000 ეგზემპლარად. მიუხედავად ამისა, ორი თვის შემდეგ მოულოდნელად შეწყვიტა არსებობა.

1945 წელს ბათუმში გამოვიდა აჭარის მწერლების მხატვრული ლიტერატურის კრებული „დაფიონი“, შესული იყო პოეზია, პროზა, კრიტიკა და სხვ.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებამ 1953 წელს გამოსცა ალმანახი „ტალღა“, იყო 200 გვერდიანი, ფასი – 6 მან. ალმანახში იბეჭდებოდა: მხატვრული ლიტერატურა თარგმანები, ფელეტონები და სხვ. წარმოდგენილი იყო მწერლები: ნიკოლოზ თალაკვაძე, შოთა კომახიძე, ელიზბარ ზედგინიძე, ნანა გვარიშვილი, ქსენია მჟავია, გიორგი სალუქვაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ელისო აბრამიშვილი, ჯემალ ჯაყელი, იაკობ მელია, ვალერიან კანდელაკი, მამია ვარშანიძე, გიზო ჭელიძე, რევაზ ჩხარტიშვილი, ნუგზარ აფხაზავა, ალექსანდრე ჩავლეიშვილი.

ალმანახმა გამოსვლა შეწყვიტა 1957 წელს.

1958 წელს გამოვიდა ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“ – საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების ორგანო. რედაქტორი – შოთა ქურიძე. სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პ/მგ. მდივანი), ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში. რედაქციის მისამართი იყო გორკის (ახლ. გორგილაძის) ქუჩა №1. იბეჭდებოდა: ა. შერვაშიძის, ი. რურუას, ფრ. ხალვაშის, პ. ლორიას, რ. ართილაყვას, ს. მარშაკის, ჯ. უოლშის და სხვათა ნაწარმოებები. ჰქონდა პოეზიის, პროზის განყოფილებები, რუბრიკა: დღეები და ადამიანები, აჭარის წარსულიდან, ტურისტის ჩანაწერები, მწერლის არქივიდან, ფოლკლორი, პუბლიკაცია, წიგნის თარო და სხვ.

1970 წელს ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარას“ გადაერქვა სახელი და ეწოდა „ჭოროხი“. რედაქტორი იყო ა. შონია. სარედაქციო კოლეგია არ შეცვლილა.

„ჭოროხი“ გამოდის ორ თვეში ერთჯერ, არის სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი, გამომცემელი – აჭარის მწერალთა სახლი. მთავარი რედაქტორი – სანდრო ბერიძე.

აჭარის მწერალთა შემოქმედება ქართული ლიტერატურის ორგანული და განუყოფელი ნაწილია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „აჭარა“, 1988, 1 მარტი.
2. ქსე. ტ. V, თბ., 1980.
3. ქსე, ტ. XII, თბ., 1981.
4. ხ. ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხ/ფ №704 და №1141.
5. გაზეთი „ბათუმის გაზეთი“, 1913, 17 აპრილი.
6. Батумский алманах на 1904 г. – Выпуск I.
7. გაზეთი „Батумский день“, 1913, 27 აგვისტო.

საქართველოს და უკრაინის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

(XX ს-ის 20-40-იანი წლები)

ქართველი და უკრაინელი ხალხის კულტურული ურთიერთობა და ისტორიის სათავე საუკუნეების წინათ დაიწყო. დღეს, როცა ომის გამო ასე უჭირს მოძმე უკრაინას, ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი მხარდაჭერა გამოუცხადა.

უკრაინაში დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის, ხოლო საქართველოში უკრაინელი კლასიკოსი პოეტის – ლესია უკრაინკას სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მათი სახელები ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის სიმბოლოდ იქცა. მათმა შემოქმედებამ წარუშლელი კვალი დატოვა ორივე ქვეყნის კულტურულ და ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ დავით გურამიშვილი იარაღით ხელში თავგანწირვით იბრძოდა უკრაინელი ხალხის მტრის წინააღმდეგ, შემდეგ მან თავის პოეზიაში ასახა ამ ქვეყნის ისტორიის სინამდვილე.

უკრაინელებმა არა მარტო გულთბილი მასპინძლობა გაუწიეს ქართველ „ყარიბ“ პოეტს, არამედ მწერლებმა და მკვლევარებმა დიდი ღვაწლი დასდეს ქართულ ლიტერატურას დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის მანამდე უცნობი არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევით.

1937 წელს უკრაინელებმა თბილისში ჩამოიტანეს უცნობი დოკუმენტები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდა დადგენილიყო პოეტის საცხოვრებელი ადგილი უკრაინაში, ოჯახური გარემოება და ქონებრივი მდგომარეობა. მათი გულმოდგინე მუშაობის შედეგად დადგენილ იქნა დავით გურამიშვილის გარდაცვალების წელი, თვე და რიცხვი, მიაკვლიეს ქართველი პოეტის საფლავს.

1948 წელს საქართველოს დელეგაცია, რომლის წევრები იყვნენ: შალვა დადიანი, ალექსანდრე ბარამიძე და ლევან ასათიანი, ჩავიდა უკრაინაში და დავით გურამიშვილის საფლავთან მოწყობილ მიტინგს დაესწრო. დელეგაციამ თან ჩაიტანა დაფნის გვირგვინი და ორი მუჭა მიწა, რომელიც კლასიკოსების – ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ვაჟა ფშაველას საფლავებიდან იყო აღებული. მხცოვანმა ქართველმა მწერალმა შალვა დადიანმა მუხლი მოიდრიკა დავით გურამიშვილის საფლავზე, ხოლო ორი ქართველი დელეგატი მოწიწებით აყრიდა სამარეს მთაწმინდის მიწას.

1948 წელს მირგოროდის ერთ-ერთ ქუჩას და შვიდწლიან სკოლას მიენიჭა დავით გურამიშვილის სახელი, ხოლო ზუბოვსკის საშუალო სკოლაზე მემორიალური დაფა გააკეთეს.

1949 წლის 1-ელ აგვისტოს უკრაინაში ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის საფლავზე დაიდგა უკრაინელი მოქანდაკის რაჟბას მიერ თეთრი მარმარილოსგან გამოკვეთილი, უკრაინელი ლაბრადორის შავ ობელისკში ჩასმული ძეგლი. ძეგლის გახსნაზე მიწვეული იყვნენ საქართველოდან.

სიტყვით გამოვიდნენ და ქართველი ხალხისადმი სიყვარულით გამთბარი ლექსები წაიკითხეს ცნობილმა უკრაინელმა პოეტებმა პავლო ტიჩინამ და მიკოლა ბაჟანმა.

ლესია უკრაინკას ჯერ კიდევ სამშობლო მხარეში ყოფნის დროს გარკვეული წარმოდგენა ჰქონია საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ. კიევში მყოფი ქართველი სტუდენტების საშუალებით იგი გაცნობია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, რომელსაც პოეტ ქალზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

დაავადებულ პოეტ ქალს ხშირად უხდებოდა მოგზაურობა თბილ ქვეყნებში. 1903 წელს იგი სამკურნალოდ ეწვია თბილისს. ამის შემდეგ ლესია უკრაინკა სისტემატურად ჩამოდიოდა საქართველოში. იგი ცხოვრობდა თბილისში, თელავში, ხონში, ქუთაისში და ბოლოს სურამში. თავისი ცხო-

ვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მან საქართველოში გაატარა. საქართველოს შესახებ წერდა: „რა საინტერესო, რა საუცხოო მხარეა საქართველო! რა სიმამაცე და გმირობა უნდა ჰქონოდა ერთი მუჭა ხალხს, რომ გადარჩენოდა ამდენ საშნელ ქარტეხილსა და უბედურებას! მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ვირუსვებდი ქართველი ვყოფილიყავი!“

თავისი შემოქმედების გარკვეული ნაწილი ლესია უკრაინკამ საქართველოში დაწერა – ცნობილი დრამა „შემოდგომის ზღაპარი“ თბილისში, ხოლო ხონსა და ქუთაისში ყოფნის დროს „ტყის სიმღერა“ და „ქვის ბატონი“, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უჭრავს პოეტის შემოქმედებაში.

ლოგინად ჩავარდნილი ლესია უკრაინკა ქუთაისიდან სურამში ჩაიყვანეს, სადაც ის გარდაიცვალა. ქართველმა საზოგადოებამ ღრმა მწუხარებითა და პატივისცემით მიაბარა ქართულ მიწას უკრაინელი ხალხის საყვარელი მგოსნის ცხედარი. ქართული გაზეთი „სახალხო ფურცელი“ წერდა: „...სიკვდილმა მოსტაცა უკრაინას ერთი საუკეთესო შვილთაგანი, უკრაინაში ცნობილი მგოსანი ქალი – ლესია უკრაინკა (უკრაინელი), რომელიც 19 ივლისს დ. სურამში გარდაიცვალა. ასეთი ფსევდონიმით წერდა ლარისა კოსაჩევა, ასული ოლღა კოსაჩევისა, რომელიც აგრეთვე ცნობილი ქალი იყო „ოლენა პჩილნას“ სახელით“.

ლესია უკრაინკას ხსოვნას ქართველი ხალხი წმინდად ინახავს. მისი თითქმის ყველა თხზულება თარგმნეს ქართველმა პოეტებმა და მწერლებმა.

1952 წლის 3 აგვისტოს სურამში გაიხსნა უკრაინელი კლასიკოსის ლესია უკრაინკას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა. აქვე გაიხსნა მისი ძეგლი და ბიბლიოთეკა.

ორი მოძმე ხალხის მეგობრობის სიმბოლოდ იქცა აგრეთვე უკრაინელი კობზარის ტარას შევჩენკოსა და ქართველი ხალხის მგოსნის აკაკი წერეთლის მეგობრობა.

1911 წლის 15 აპრილს თბილისში, სახალხო სახლში, გაიმართა ტარას შევჩენკოსადმი მიძღვნილი საღამო. ზეიმში აკაკი მონაწილეობდა. ქართველი ხალხი დიდი ოვაციით შეხვდა მგოსნის გამოსვლას. აუდიტორია ფეხზე ამდგარი უსმენდა აკაკის სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით გამთბარ სიტყვას. პოეტ იოსებ გრიშაშვილის გადმოცემით – „აკაკი მიუახლოვდა სცენის შუაგულში დადგმულ შევჩენკოს ბიუსტს და ჭაღარა თავი დახარა მის წინაშე“. ამ სურათმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მქუხარე ტაში აზანზარებდა მთელ დარბაზს.

თავის მხრივ უკრაინელი ხალხი დიდად აფასებდა აკაკი წერეთელს. 1895 წელს უკრაინელმა და ქართველმა სტუდენტებმა აკაკი მიიწვიეს ხარკოვში, სადაც ქართველ მგოსანს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ხოლო 1908 წელს, როდესაც აკაკის ბაქოში მცხოვრებმა ქართველებმა საიუბილეო საღამო გაუმართეს, უკრაინის წარმომადგენლებმა აკაკის ტარას შევჩენკოს ძვირფასად მორთული სურათი უსახსოვრეს.

აკაკის გარდაცვალება უკრაინელმა ხალხმაც განიცადა. უკრაინის ახალგაზრდობამ საქართველოში ასეთი დეპეშა გამოაგზავნა: „ზარბაზნების გრიალი ვერ დაფარავს უკრაინელთა ღრმა მწუხარებას თქვენი ეროვნული დანაკლისის გამო. წერეთელი და შევჩენკო პირადად იყვნენ დაახლოებულნი და ეს ორი ძვირფასი სახელი ცოცხალი სიმბოლოა ჩვენთა იმედთა, მოლოდინთა და სურვილთა“.

ტარას შევჩენკოს ნაწარმოებები ფართოდ გავრცელდა საქართველოში. მწერალმა ნიკო ლომურმა საფუძველი ჩაუყარა დიდი კობზარის ლექსებისა და პოემების თარგმნას.

1911 წელს ტარას შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავთან დაკავშირებით მისი ლექსები თარგმნეს: მ. გურიელმა, ს. ხუნდაძემ, დ. თომაშვილმა, ს. შანშიაშვილმა, გ. ქუჩიშვილმა, ს. ფაშალიშვილმა და სხვ.

ორი მეგობარი ხალხის – ქართველი და უკრაინელი ხალხის კულტურული ურთიერთობის, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ამავე პერიოდის კიდევ ერთ აქციას გავიხსენებთ: 1931 წელს ზაქარია

ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ხარკოვში (უკრაინის მაშინდელ დედაქალაქში) დაიდგა (რეჟისორი – აკაკი ფაღავა), რომელიც დიდხანს მიდიოდა ამ თეატრის სცენაზე.

1932 წელს კი თბილისში დაიდგა ნიკოლო ლისენკოს ოპერა „ტარას ბულბა“, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ გულთბილად მიიღო. კულტურული ურთიერთობები სხვადასხვა ფორმით შემდეგაც გაგრძელდა.

ამ ორი ქვეყნის ხალხებს შორის ძველთაგანვე დამყარებული მეგობრობა ათეული წლების მანძილზე მჭიდრო და მტკიცე ხდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალმანახი „ტალღა“, ბათუმი, 1954, №16.
2. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1913, 2/III.
3. ქსე, ტ. X , თბ., 1980.
4. გურაბანიძე ნ., რეჟისორი გიზო ჟორდანია, თბ., 2015.

ჟურნალი 6

2024